




ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
Project funded by the European Union



Czech Development Agency



# დეველოპმენტის საფირმების კვლევა გუბდიდში, ფოთში, წყალტუბოში, გორსა და თეთრიწყაროში.



2023



# სარჩევი

შესავალი	4
კვლევის ძირითადი მიგნებები	6
1. მარეგულირებელი-პოლიტიკური ჩარჩოს მიმოხილვა	9
1.1. საქართველოს კანონმდებლობა	9
1.2. საერთაშორისო ნომრების მიმოხილვა	16
1.3. დევნილთა შესახებ სტრატეგიის, სამოქმედო გეგმის მიმოხილვა	23
2. კვლევის შედეგები თემატური	31
2.2. ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და ჩართულობა	31
2.3. სოციალური დაცვა და სერვისებზე ხელმისაწვდომობა	41
2.3.1. სოციალური დაცვის ინდიკატორები-საერთაშორისო ორგანიზაციების მიდგომები	41
2.3.2. კვლევის შედეგები სოციალური დაცვის მიმართულებით	44
2.4. ინფრასტრუქტურა	53
2.4.1. დევნილთა დასახლებები: უსაფრთხოება და ღირსეული საცხოვრისის სტანდარტთან შესაბამისობა	53
2.4.2. ტრანსპორტი, მობილობა როგორც უფლებების რეალიზების მექანიზმი	56
2.4.3. საცხოვრისის უფლება	58
2.5. სიღარიბე დევნილ მოსახლეობაში	67
2.6. ჯანდაცვა	71
2.7. ინტეგრაცია და სოციალური კაპიტალი	73
3. გენდერული განზომილება (Gender Mainstreaming)	75
3.1. გენდერული განზომილების ვალდებულებები და რეკომენდაციები საქართველოსთვის	75
3.2. დევნილი ქალების ეკონომიკური მდგომარეობა	76
3.3. დევნილი ქალების ჯანდაცვა, სოციალური დაცვა და ოჯახში ძალადობის რისკები	77
3.4. დევნილი ქალების რეპროდუქციული ინფორმირება	79
3.5. გენდერული სტატისტიკა	81
4. რეკომენდაციები	82
5. ფოტო-სურათები დევნილთა დასახლებებიდან	84
6. ინფორმაცია ვებ გვერდის შესახებ	90

# შესავალი

რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიის შედეგად, საქართველოში ოკუპირებული ტერიტორიებიდან, სხვადასხვა დროს იძულებით გადაადგილებული პირების რაოდენობა **292 887** პირს შეადგენს. (აღნიშნული ციფრი მოიცავს დევნილად რეგისტრირებულ პირებს). მათი საჭიროებების დასაძვინდვრად უკვე რამდენიმე წელია არ ჩატარებულა სიღრმისეული და მრავალფაქტორული კვლევა, რაც შესაძლებელს გახდიდა დევნილთა მიმართ არსებული სახელმწიფო პოლიტიკის გადახედვას და პროგრამების გაუმჯობესებას.

2023 წლის თებერვლიდან მაისის ჩათვლით ასოციაცია „თანხმობა“-ს შესაძლებლობა ჰქონდა განხორციელებინა მრავალფაქტორული, სიღრმისეული კვლევა საქართველოს რამდენიმე მუნიციპალიტეტში, რათა გამოვლენილიყო იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებით ძირითადი მიმართულებები, როგორც შემდგომი კვლევისა და სიღრმისეული ანალიზისთვის, ისე სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, გადაწყვეტილებების მიღების, პროგრამების, ბიუჯეტებისა და პოლიტიკის ფორმირების პროცესში გასათვალისწინებლად.

კვლევის თეორიული ჩარჩო ეფუძნება ევროკავშირის მეთოდურ სახელმძღვანელოებსა და სტანდარტებს სხვადასხვა მიმართულებით, ასევე სოციალური მეცნიერებების რამდენიმე თეორიას, (მათ შორის, მესამე სივრცის თეორია, სოციალური კაპიტალის თეორია, დამოკიდებულებების ფორმის თეორია და სხვა).

კვლევა ჩატარდა, როგორც თვისებრივი ( ფოკუს ჯგუფები, დოკუმენტების შესწავლა და ანალიზი) ასევე რაოდენობრივი კვლევის მეთოდის ( კითხვარების) გამოყენებით.

კვლევა ეფუძნება თეთრიწყაროში, გორში, წყალტუბოში, ზუგდიდსა და ფოთში ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებს, როგორც დევნილ მოსახლეობასთან, ისე დევნილების საკითხებზე მომუშავე საჯარო მოხელეებთან/ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან .

კვლევის განხორციელებისას ჩატარებული ფოკუს ჯგუფების რაოდენობა:

- ⇒ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი - სამი ფოკუს ჯგუფი, მათ შორის, ერთი საბიუჯეტო უწყების წარმომადგენლებთან
- ⇒ ფოთის მუნიციპალიტეტი - ორი ფოკუს ჯგუფი, მათ შორის, ერთი საბიუჯეტო უწყების წარმომადგენლებთან
- ⇒ წყალტუბოს მუნიციპალიტეტი - ორი ფოკუს ჯგუფი, მათ შორის, ერთი საბიუჯეტო უწყების წარმომადგენლებთან
- ⇒ გორის მუნიციპალიტეტი - ორი ფოკუს ჯგუფი, მათ შორის, ერთი საბიუჯეტო უწყების წარმომადგენლებთან
- ⇒ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი - ერთი ფოკუს ჯგუფი დევნილებთან.
- ⇒ ერთი ფოკუს ჯგუფი ჩატარდა თბილისში, ცენტრალური საბიუჯეტო უწყებების, დევნილი მუნიციპალიტეტებისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო უწყებების წარმომადგენლების მონაწილეობით.

ჯამში ჩატარდა 11 ფოკუს ჯგუფი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 35- მა საჯარო მოხელემ და 100-მა იძულებით გადაადგილებულმა პირმა.

ფოკუს ჯგუფებში მონაწილე დევნილების ასაკი 18 წლიდან 72 წლამდე მერყეობდა. მათ შორის იყვნენ განსახვავებული საჭიროების, პროფესიის და სოციალური სტატუსის მქონე მონაწილეები.

კვლევა ასევე მოიცავს ონლაინ ანონიმური (დამხმარე პირის საჭიროების შემთხვევაში - კონფიდენციალური) კითხვარის შედეგებს, სადაც მონაწილეობდა 400 დევნილი, მათ შორის, **264 ქალია, ხოლო 136 კაცი.**


რესპოდენტების წარმომადგენლობა ქალაქების მიხედვით ასეთია:



**თბილისი - 37** გამონაკლისის სახით დედაქალაქში გამოიკითხა 37 რესპოდენტი კვლევაში მონაწილეობა მიიღეს დევნილებმა, რომლებიც კონფლიქტის შედეგად, სხვადასხვა დროს, იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ საკუთარი საცხოვრებელი. **კერძოდ:** აფხაზეთიდან 1993 და 2008, ცხინვალიდან 1991, ლიახვის ხეობის სოფლებიდან 2008 წელს დევნილებმა.

გამოკითხული დევნილების რაოდენობა განსახლების სტატუსის მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა:

გამოკითხული დევნილების რაოდენობა განსახლების სტატუსის მიხედვით



ასაკობრივად, 18 წლიდან ზემოთ, კითხვარების მეშვეობით ყველა ასაკის წარმომადგენელმა კვლევაში მონაწილეობა მიიღო თითქმის თანაბრად.

სტრუქტურირებული კითხვარი შედგებოდა 68 კითხვისგან, კითხვების ნაწილი კი ჩაშლილი იყო ქვეკითხვებად. იგი მოიცავდა ძირითადად დახურულ, ასევე ღია, როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ კითხვებს.

თითო კითხვარის შევსების დაახლოებითი დრო 40 წუთს შეადგენდა. კითხვარის გავრცელება მოხდა თოვლის გუნდის შერჩევის პრინციპით.

ქალთა ასოციაცია „თანხმობა“-მ კვლევა დაუკვეთა არასამთავრობო ორგანიზაცია „ღია სივრცე“-ს. კვლევა უშუალოდ განახორციელეს იურისტ მკვლევარებმა: თეონა მაჭარაშვილმა და ირმა პავლიაშვილმა.

# კვლევის ძირითადი მიგნებები

## ● ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა (დევნილების ინფორმირება და ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში)

ევროკავშირის „ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის“ ერთ-ერთი ძირეული კომპონენტია - სამიზნე ჯგუფების პირდაპირი ჩართულობა პროგრამების შემუშავების, განხორციელების და შეფასების მთლიან ციკლში. თუმცა კვლევით გამოვლინდა, რომ დევნილი მოსახლეობისთვის არათუ წლების წინ შემუშავებული პროგრამებისა და კანონმდებლობის შესახებ არ არის ინფორმაცია ცნობილი, არამედ არც მიმდინარე/ახალ საკანონმდებლო ინიციატივებსა თუ პროგრამებზე მიუწვდებათ ხელი სრულფასოვნად. დევნილები ნაკლებად არიან ჩართული ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც ასევე ხელს უშლის მათ ინტეგრირებას და დევნილთა საჭიროებების იდენტიფიცირებას.

არასათანადოდ ინფორმირებულობა, ნაკლები ჩართულობა და პროცესებში მონაწილეობა შეუძლებელს ხდის დევნილების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც ეწინააღმდეგება ევროკავშირის ძირეულ პრინციპებს და მიდგომებს.

კვლევის მიგნებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია რამდენიმე შედეგი:

- ◆ გამოკითხულთა ნაწილი მიიჩნევს, რომ სხვადასხვა სფეროში სერვისების პროცედურებსა და კრიტერიუმებზე ინფორმაცია არ არის მკაფიო და გასაგები;
- ◆ კერძო სექტორში მცხოვრებ დევნილებთან ინფორმაცია თითქმის არ მიდის (ინფორმაციის გავრცელებისას დიდი მნიშვნელობა აქვს პირად ურთიერთობებს, და ინფორმაცია უფრო სწრაფად ვრცელდება ისეთ კოლექტიურ დასახლებებში, სადაც მცხოვრები ერთი დევნილი მაინც მუშაობს რომელიმე საჯარო უწყებაში);
- ◆ არ არსებობს ერთიანი საინფორმაციო ბაზა მარტივი საძიებო მექანიზმით;
- ◆ დევნილების სატელეფონო ბაზები მოძველებულია და სისტემურ განახლებას საჭიროებს.
- ◆ ადგილობრივ დონეზე საბიუჯეტო პროცესების გადაწყვეტილების მიღებისას ნაკლებად ისმის დევნილების ხმა.
- ◆ დევნილები თითქმის არ მონაწილეობენ მათთან დაკავშირებულ არც ერთ მნიშვნელოვან პროცესში, რომელიც უკავშირდება ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე პროგრამების, სტრატეგიების, თუ სხვა დოკუმენტების შემუშავებას და განხორციელებას.

## ● მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესი

თითქმის ყველა გამოკითხულ საჯარო უწყებასა ან მუნიციპალიტეტში, სტატისტიკური ინფორმაცია მოსახლეობის შესახებ გროვდება თვითდინებით შესული განაცხადებიდან, და ამ შემთხვევაშიც, არ მუშავდება მულტიფაქტორულად, მოსახლეობის ინტერსექციული მოწყვლადობის სხვადასხვა ნიშნით, რაც შეუძლებელს ხდის მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის წარმართვას.

შემოსული განცხადებები ხდება ძირითადი საფუძველი პროგრამებისა და სერვისების დაგეგმვის. იშვიათად, და ისიც მხოლოდ რამდენიმე სამიზნე მუნიციპალიტეტი (ზუგდიდი, ნაწილობრივ ფოთი და გორი) ახერხებს, გამონაკლისის სახით, ზოგადი კვლევის განხორციელებას მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებში საჭიროებების დასადგენად, რომლის შედეგებიც შემდგომში შესაძლოა გახდეს პროგრამის /სერვისის შემუშავების ან გაუმჯობესების საფუძველი.

ამავდროულად, არ იკვეთება პირდაპირი თანხვედრა არც ჰორიზონტალური (სხვადასხვა დარგობრივ სტრატეგიას შორის), და არც ვერტიკალური (არ არის სინერგია/პირდაპირი კავშირი დევნილებთან დაკავშირებულ სტრატეგიებს, პროგრამებსა და ბიუჯეტებს შორის) სახელმწიფო და მუნიციპალური პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტებს შორის.

არ არსებობს პროგრამების მონიტორინგის, შეფასების, ეფექტურობისა და ხარისხის შემოწმების სისტემური მექანიზმი, არც მუნიციპალურ და არც ცენტრალურ დონეზე, რაც შეუძლებელს ხდის სისტემურად შეფასდეს, თუ რამდენად სრულდება სტრატეგიული ამოცანები (მათ შორის, კანონით გათვალისწინებული ვალდებულება ადგილობრივი ინტეგრაციისა და დევნილების პრობლემების აღმოფხვრის შესახებ).

### ● გენდერული განზომილება (Gender Mainstreaming)

ადგილობრივი თვითმმართველობები და დევნილებზე მომუშავე ინსტიტუციები ნაკლებად ამუშავენ გენდერულ სტატისტიკას (მოსახლეობის საერთო რაოდენობისა და რამდენიმე მცირე გამონაკლისის გარდა), ხოლო პროგრამების შემუშავების დროს ასევე იშვიათად ხდება გენდერული განზომილების გათვალისწინება. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ დევნილი ქალების ინტერსექციული მოწყვლადობა ქმნის სიღარიბის ფემინიზაციის, ოჯახში ძალადობის რისკების ზრდასა და სხვა სისტემურ პრობლემებს. რამდენიმე საყურადღებო შედეგია:

- ◆ გამოკითხული დევნილი ქალების 78%-ს „საერთოდ არ აქვს“ მინიმალური საყოფაცხოვრებო კრიზისული მდგომარეობისთვის დანაზოგი;
- ◆ 67% უთითებს, რომ აქვს ჯანმრთელობის პრობლემები, თუმცა ან ექიმთან ვერ მიდის ან ექიმთან მისვლის შემთხვევაში, არ აქვს საკმარისი სახსრები შემდგომი მკურნალობისთვის;
- ◆ 63% მიიჩნევს, რომ მზრუნველობის ცენტრების/ახალგაზრდული კლუბების/ბაღების და დამატებით ზრუნვის სერვისებზე ნაკლები ხელმისაწვდომობა გავლენას ახდენს ქალების დასაქმებაზე, ხოლო დევნილი ქალების უმრავლესობას არ აქვს უსაფრთხო „მესამე სივრცე“ და ძირითად დროს სახლში და/ან სამსახურში ატარებს.

### ● სოციალური დაცვა და მედეგობა კრიზისების მიმართ

საქართველოში დევნილებისთვის არსებული სოციალური დაცვა ფრაგმენტულია და არ აკმაყოფილებს სოციალური დაცვის საერთაშორისო განმარტების ძირეულ პრინციპებს, მათ შორის, ყველაზე მთავარს - სოციალური დაცვა უნდა იყოს კომპლექსური, მრავალშრიანი და პრევენციულად იცავდეს მოქალაქეს, ოჯახს და მოქალაქეთა ჯგუფს გაღარიბებისაგან და სოციალური მდგომარეობის პერმანენტული გაუარესებისგან.

არსებული სოციალური დაცვის პროგრამები **ფრაგმენტული და /ან ერთჯერადია**, რის გამოც ვერ ახერხებს დევნილების გრძელვადიანი, სისტემური მდგრადობის გაზრდას რისკების მიმართ (რიგ შემთხვევაში, არსებული სისტემა წახალისებს მოწყვლადობას და სოციალურ დამოკიდებულებას და არ ქმნის განვითარების ხელშემწყობ გარემოს).

### ● საცხოვრისის უფლება

რესპოდენტთა 75% თვლის, რომ სოციალურად დაუცველობის სტატუსის მინიჭება ხდება „უსამართლოდ“ ან „სრულად უსამართლოდ.“ იმის გათვალისწინებით, რომ განსახლება დიდწილად მიბმულია სოციალურ სტატუსზე, გამოკითხულ დევნილებში განსახლების პროცესიც ერთ-ერთი ყველაზე ნეგატიურად შეფასებული მიმართულებაა. ჯამურად, რესპოდენტების ნახევარი ან მეტი „საერთოდ არ ეთანხმება“ ან „არ ეთანხმება დებულებას: კრიტერიუმები და პროცედურები მკაფიო და გასაგებია - 50%, პროცედურები იოლად გასაგებელია - 57%, ხელმისაწვდომია, თანასწორი და სამართლიანია - 60%, სერვისი საკმარისად ფარავს ჩვენს საჭიროებებს - 66%.

პრობლემურია საცხოვრისის მინიმალურ სტანდარტებთან შესაბამისობაც: ყველაზე მწვავე პრობლემებს შორისაა: კანალიზაცია (საშუალოდ, 56% აფასებს „ცუდად“ ან „ძალიან ცუდად“ სამივე სექტორში), შენობის ადგილობრივ კლიმატთან შეუსაბამობა (საშუალოდ, 51%), ლიფტების მდგომარეობა (საშუალოდ, 51%), შშმ პირებზე ადაპტირება (საშუალოდ, 69%), სადრენაჟო/წყალარინების სისტემა (64%) და მიუსაფარი ძაღლები (88%). **დამატებით, კოლექტიურ დასახლებებში** განსაკუთრებით პრობლემურია შენობის გადახურვა (43%), სასმელი წყალი (46%), შენობის სიმყარე (45%), ასევე შენობის მიმდებარე ტერიტორია და მისი უსაფრთხოება (51%).

### ● მობილობა - უფლებების დაცვის მექანიზმი

კვლევის როგორც, ხარისხობრივ, ისე რაოდენობრივ ნაწილებში გამოიკვეთა არასათანადო წვდომა საჯარო ტრანსპორტზე. ეს საგრძნობლად უზღუდავს დევნილებს საბაზო სერვისებზე წვდომას, რაც შეიძლება მივიჩნიოთ ირიბი ფორმის დისკრიმინაციად და ძირითადი უფლებების დარღვევად. წინამდებარე კვლევის რესპოდენტთა თითქმის მეოთხედი უთითებს, რომ საჯარო ტრანსპორტი მათ სახლთან ხელმისაწვდომია „ძალიან იშვიათად“ ან „საერთოდ არ არის“. ტრანსპორტი ნაკლებად ხელმისაწვდომია ადმინისტრაციული ცენტრიდან მოშორებით მდებარე სოფლებში. ამასთანავე, ტრანსპორტი არ არის ადაპტირებული და ზოგიერთ შემთხვევაში ტექნიკურად გამართული.

აღსანიშნავია, რომ რესპოდენტების 82% შემოსავლის 20%-მდე ხარჯავს ტრანსპორტირებაში, 15% - შემოსავლის 21-დან 40%-მდე, ხოლო 2% - შემოსავლის 51-დან 90%-მდე.



# მარეგულირებელი სამართლებრივ - პოლიტიკური ჩარჩოს მიმოხილვა

## 1.1. საქართველოს კანონმდებლობა

საქართველოში დღევანდელი მონაცემებით 292 887 იძულებით გადაადგილებული პირი - დევნილია რეგისტრირებული. შეიარაღებული კონფლიქტების, მუდმივი საცხოვრებლის და შემოსავლის დაკარგვის გამო დევნილები საზოგადოების ერთ-ერთ დაუცველ ჯგუფად რჩებიან. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ სპეციალური საკანონმდებლო ჩარჩოს ფარგლებში, მათ შორის, პოლიტიკის დოკუმენტებში, დეკლარირებულად განაცხადა, რომ უზრუნველყოფს დევნილის უფლებების დაცვას დევნილობის პერიოდში; ხელს უწყობს დევნილის ინტეგრაციას მისი რეგისტრაციის ადგილზე და ხელს უწყობს მათი პრობლემების გადაჭრას; დაადგინა დევნილების სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური გარანტიები<sup>1</sup>, დევლინების არც ისე მცირე ნაწილი იმგვარ მდგომარეობაში იმყოფება, რომელიც ლახავს მათ ღირსებას და აბრკოლებს არაერთი უფლების რეალიზებას (იხ. კვლევის მიგნებების ნაწილი).

იძულებითი გადაადგილებით გამოწვეული სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინებით, იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა პრობლემების გადაჭრისას სახელმწიფო მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად. ასევე ადგენს პოლიტიკის დოკუმენტებს, რომელთა მიზანია შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკის დაგეგმვა და განხორციელება.

სახელმწიფო ვალდებულია საქართველოში მცხოვრები ყველა ადამიანი დაიცვას მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან იძულებითი გადაადგილებისაგან. ამისთვის:

- ◆ უნდა მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა ისეთი ვითარების თავიდან ასაცილებლად, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს პირთა იძულებითი გადაადგილება;
- ◆ უნდა უზრუნველყოს იძულებითი გადაადგილებისას დაზარალებულთა სიცოცხლის, ღირსების, უსაფრთხოებისა და თავისუფლების უფლების დაცვა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იძულებითი გადაადგილება განპირობებულია გარდაუვალი აუცილებლობით;
- ◆ მინიმუმამდე უნდა შეამციროს გარდაუვალი აუცილებლობით განპირობებული იძულებითი გადაადგილება და ამით გამოწვეული ზიანი;
- ◆ უნდა უზრუნველყოს, რომ იძულებითი გადაადგილება არ გაგრძელდეს იმაზე მეტ ხანს, ვიდრე ამას მოცემული ვითარება მოითხოვს<sup>2</sup>.

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ, 2014. საკანონმდებლო მაცნე, ხელმისაწვდომია [ვებგვერდზე](#).

2. იქვე, მუხლი 5.

### საქართველოს კონსტიტუცია<sup>3</sup>

კონსტიტუციის მიხედვით, საქართველო არის სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფო, რომელიც ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს<sup>4</sup>, ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობაზე, სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებელი უზრუნველყოფაზე<sup>5</sup>. აგრეთვე, ადგენს, რომ ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით<sup>6</sup>.

### საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ<sup>7</sup>

კანონი ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ განსაზღვრავს დევნილის სამართლებრივ სტატუსს, პირისათვის დევნილის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის საფუძვლებსა და წესს; ადგენს დევნილის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს, მის უფლებებსა და მოვალეობებს. დევნილის უფლებებს იცავენ სახელმწიფო დაწესებულებები და მუნიციპალიტეტები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

აღნიშნული ამოცანების მისაღწევად, ამ კანონის მიზანია ისეთი სამართლებრივი მექანიზმების შექმნა, რომლებიც: ა) უზრუნველყოფს დევნილის უფლებების დაცვას; ბ) ხელს უწყობს დევნილის ინტეგრაციას მისი რეგისტრაციის ადგილზე; გ) ხელს უწყობს დევნილის პრობლემების გადაჭრას<sup>8</sup>. კანონი ადგენს დევნილთა დისკრიმინაციის დაუშვებლობას, დევნილის უფლება-მოვალეობებს, მისი დაცვისა (მათ შორის სოციალური დაცვის) და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის გარანტიებსა და სხვა საკითხებს, კერძოდ:

- ♦ **დისკრიმინაციის დაუშვებლობა** - დაუშვებელია დევნილთა ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია მათ მიერ საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებისას იმ მიზეზით, რომ ისინი არიან იძულებით გადაადგილებული პირები, ასევე რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის გამო;
- ♦ **უფლებები** - დევნილს უფლება აქვს მიიღოს დევნილის შემწეობა დევნილობის

3. საქართველოს კონსტიტუცია ხელმისაწვდომია საკანონმდებლო მაცნეს [ვებგვერდზე](#).

4. იქვე, მუხლი 4.

5. იქვე, მუხლი 5.

6. იქვე, მუხლი 11.

7. კანონი ხელმისაწვდომია საკანონმდებლო მაცნეს [ვებგვერდზე](#).

8. იქვე, მუხლი 3

სტატუსიდან გამოდინარე; მიიღოს სოციალური და სხვა სახის დახმარებები; ისარგებლოს სათანადო საცხოვრებლით უზრუნველყოფის უფლებით საქართველოს ფარგლებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი გრძელვადიანი საცხოვრებლით არის უზრუნველყოფილი;

- ♦ **სოციალური დაცვა** - ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და სხვა სახელმწიფო დაწესებულებები, ეხმარებიან დევნილებს დასაქმებაში; გასცემენ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ დევნილის შემწეობასა და სხვა დახმარებებს; უზრუნველყოფენ დევნილის მიერ განათლების კონსტიტუციური უფლების განხორციელებას და ზოგადი განათლების დაფინანსებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; წყვეტენ დევნილის საპენსიო უზრუნველყოფის საკითხებს; ეხმარებიან დევნილს სოციალური და საყოფაცხოვრებო საკითხების გადაწყვეტაში; მონაწილეობენ ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის შედეგად გარდაცვლილთა და დაღუპულთა სამარხებისა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების ღონისძიებებში; ეხმარებიან დევნილს მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებაში; უზრუნველყოფენ დევნილს საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში იძულებითი გადაადგილებისას აუცილებელი პირველადი დახმარებით; დევნილის გარდაცვალებისას ანაზღაურებენ მისი დაკრძალვის ხარჯებს დადგენილი წესით, შესაძლებლობის ფარგლებში;
- ♦ **დევნილის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებამდე მისი ქვეყნის სხვა ნაწილში განსახლებისა და ინტეგრაციის სახელმწიფო გარანტიები** - სახელმწიფო დაწესებულებები უზრუნველყოფენ შესაბამისი პირობების შექმნას ნებაყოფლობით, ღირსეულად და უსაფრთხოდ განსახლებისა და ცხოვრების დაწყების პროცესის განხორციელებისათვის; დევნილთა ჩართულობით, შეიმუშავენ მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფს დევნილთა ინტეგრაციას, რათა შეიქმნას დევნილის უსაფრთხო და ღირსეული ცხოვრებისათვის აუცილებელი სოციალურ-ეკონომიკური პირობები, დევნილებმა შეუზღუდავად და თანაბრად მიიღონ მონაწილეობა სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებში და ისარგებლონ სოციალური მომსახურებით.

**2022 წლის ბოლოს განხორციელებული ცვლილებები კანონში** - „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ ინიცირებული ცვლილებები პარლამენტმა 2022 წლის ბოლოს დაამტკიცა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფომ 2023 წლის 1-ლი იანვრიდან დაბადებული დევნილების მიმართ მოიხსნა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის ვალდებულება (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დევნილი მშობელ(ებ)ი გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფამდე გარდაიცვალა/გარდაიცვალნენ). ასევე, პირისთვის, რომელიც 2023 წლის 1 იანვრამდე არასრულწლოვანია, გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფისას გათვალისწინებული იქნება მისი აღმავალი შტოს ოჯახის წევრებთან ერთად და მას აღარ აქვს საცხოვრებლით უზრუნველყოფის ინდივიდუალურად მოთხოვნის უფლება.

გარდა ამისა, ცვლილება შევიდა დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის შესრულების სამოქმედო გეგმასა<sup>9</sup> და დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესში<sup>10</sup>. ცვლილებების მიხედვით, თუ დევნილი ოჯახი კენჭისყრით ბინების განაწილების შემდეგ უარს იტყვის შეთავაზებაზე, მისი საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხი ბოლო ეტაპზე განიხილება.

### **ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი<sup>11</sup>**

ადგილობრივ დონეზე, საქართველოს მოქალაქეების ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები აწესრიგებენ<sup>12</sup>.

აღნიშნული პრინციპი ძირითად ხაზად გასდევს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსს და ადგილობრივი თვითმმართველობის, მუნიციპალიტეტების სტრუქტურის, წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევის, ფუნქციებისა და უფლებამოსილებების გარდა, განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის გარანტიებსა და ფორმებს<sup>13</sup>, აგრეთვე, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებას საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე<sup>14</sup>. კერძოდ:

### **ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გარანტიები და ფორმები**

- ◆ მუნიციპალიტეტის ორგანოები და მუნიციპალიტეტის ორგანოების თანამდებობის პირები ვალდებული არიან ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად შექმნან ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობები მოქალაქეთა მიღების, მოქალაქეებთან შეხვედრების, მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობაში, მათ შორის, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომებში, მოქალაქეთა მონაწილეობისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის გამჭვირვალობისათვის. ნებისმიერ პირს აქვს უფლება, შეუზღუდავად ისარგებლოს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებით<sup>15</sup>, რისთვისაც მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში

---

9. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 5 მარტის No292 განკარგულება (2.1.9. პუნქტი).

10. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის (No01-30/5) ბრძანება, #1 დანართი, მუხლი 1, პუნქტი 3.

11. კოდექსი ხელმისაწვდომია საკანონმდებლო მაცნეს [ვებგვერდზე](#).

12. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 74.

13. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, კარი IV, თავი XI.

14. იქვე, მუხლი 164.

15. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებია: ა) დასახლების საერთო კრება; ბ) პეტიცია; გ) სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო; დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა; ე) მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა.

მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გაითვალისწინოს შესაბამისი პროგრამები;

- ◆ მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის განსაზღვრული ფორმების გარდა, შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაადგინოს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა ფორმები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას (მაგ: პირისპირ ინტერვიუება, ფოკუს ჯგუფები, ონლაინ გამოკითხვა და ა.შ.).

**რაც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებას საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ამ ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების გაწევას, სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი განსაზღვრავს, რომ:**

- ◆ ახალგორის, ერედვის, ქურთის, თიღვისა და აჭარის მუნიციპალიტეტებში 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნების შედეგად შექმნილი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, მათ შორის, გამგეობები და თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიული ორგანოები, უფლებამოსილებას ახორციელებენ აღნიშნულ ტერიტორიებზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩამოყალიბებამდე;
- ◆ ახალგორის, ერედვის, ქურთის, თიღვისა და აჭარის მუნიციპალიტეტების ორგანოებს უფლება აქვთ სხვა მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე, სადაც განსახლებული არიან ის იძულებით გადაადგილებული პირები – დევნილები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ ახალგორის, ერედვის, ქურთის, თიღვისა და აჭარის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე, განახორციელონ მათი საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებებით გათვალისწინებული მხოლოდ ის ღონისძიებები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება აღნიშნულ პირთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნებამდე მათთვის დახმარების გაწევას და სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, აგრეთვე „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით<sup>16</sup>, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით<sup>17</sup> და „თავდაცვის ძალების რეზერვისა და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით<sup>18</sup> სახელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებულ უფლებამოსილებებს;
- ◆ ამ მუნიციპალიტეტების მიერ საკუთარი უფლებამოსილებების განსახორციელებლად მათ ბიუჯეტებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოეყოფა სპეციალური ტრანსფერი.

---

16. კანონი ხელმისაწვდომია საკანონმდებლო მაცნეს [ვებგვერდზე](#).

17. კანონი ხელმისაწვდომია საკანონმდებლო მაცნეს [ვებგვერდზე](#).

18. კანონი ხელმისაწვდომია საკანონმდებლო მაცნეს [ვებგვერდზე](#).

## პოლიტიკის დოკუმენტები: სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიისა და პოლიტიკის შემუშავების მიზნით 2006 წლის 23 თებერვალს შეიქმნა იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის შემმუშავებელი სამთავრობო კომისია<sup>19</sup>. კომისიას უნდა შეემუშავებინა სახელმწიფო სტრატეგიის პროექტი. 2007 წლის დასაწყისში დამტკიცდა სახელმწიფო სტრატეგია თანდართული სამოქმედო გეგმით<sup>20</sup>, რომელშიც განისაზღვრა ორი მიზანი:

- ◆ პირობების შექმნა დევნილთა ღირსეულად და უსაფრთხოდ დაბრუნებისათვის;
- ◆ დევნილი მოსახლეობისთვის ღირსეულად ცხოვრების პირობების მხარდაჭერა და მათი ჩაბმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

სახელმწიფო სტრატეგია დევნილთა მიმართ უვადოა. რაც შეეხება სამოქმედო გეგმებს, მათი განახლება ყოველწლიურად ხდება<sup>21</sup>. ბოლო, 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა, დამტკიცდა 2023 წლის გვიან გაზაფხულზე და გაიწერა მისი დანართი იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2023-2024 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმისათვის საჭირო რესურსების საერთო შეფასების შესახებ. დოკუმენტში მიზანი 2: „დევნილი მოსახლეობის ღირსეული ცხოვრების პირობების მხარდაჭერა და მათი სოციალური ინტეგრაცია: გაიწერა შესრულების ამოცანები და ინდიკატორები, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს პრიორიტეტებია:

- ◆ დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება გრძელვადიანი განსახლების პროგრამებით უზრუნველყოფის გზით;
- ◆ დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება;
- ◆ დევნილთა ინფორმირებულობის გაზრდა.

2023 წლის 23 მარტს დამტკიცდა ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო სტრატეგია<sup>22</sup>, რომელშიც ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა უფლებრივი დაცვის საკითხი განისაზღვრა<sup>23</sup>.

„რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების უკანონო ოკუპაციის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის, მათ შორის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლების მოსახლეობისა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა<sup>24</sup>.“

სტრატეგიამ განსაზღვრა პრიორიტეტები, შესრულების მიზანი და ამოცანები. სადაც ხაზგასმულია, მათ შორის, იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ადეკვატური საცხოვრებელი პირობებით

19. ინფორმაცია ხელმისაწვდომია საკანონმდებლო მაცნეს [ვებგვერდზე](#).

20. იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგია ხელმისაწვდომია საკანონმდებლო მაცნეს [ვებგვერდზე](#).

21. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს [ვებგვერდზე](#).

22. დოკუმენტი ხელმისაწვდომია საკანონმდებლო მაცნეს [ვებგვერდზე](#).

23. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სამოქმედო გეგმაზე მუშაობა.

24. დოკუმენტი ხელმისაწვდომია საკანონმდებლო მაცნეს [ვებგვერდზე](#).

უზრუნველყოფა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა ინკლუზიური და ინფორმირებული პროცესის წარმართვის გზით<sup>25</sup>.

### სახელმწიფო სერვისები (ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე) და აღსრულების პრობლემები

იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინებით, სახელმწიფო, საკანონმდებლო ჩარჩოს საფუძველზე, ცენტრალური და ადგილობრივი უწყებების მიერ ახორციელებს პროგრამებსა და პროექტებს, რომლებიც მიმართულია დევნილთა სოციალურ -ეკონომიკური მდგომარეობისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისათვის. ამ მხრივ აღსანიშნავია:

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული პროგრამები, რომელთა შორისაა:

- ◆ სოფლად სახლის პროგრამა;
- ◆ მენაშენებისგან ბინების შესყიდვა;
- ◆ რეგიონებში მასშტაბური სამშენებლო სამუშაოების განხორციელება;
- ◆ მართლზომიერ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართების დაკანონება;
- ◆ დევნილთა დროებითი საცხოვრებლით (ქირის გადახდა) უზრუნველყოფა
- ◆ ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა.

მნიშვნელოვანია სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს პროგრამები. სააგენტომ 06/04/2023 წლის კორესპონდენციის თანახმად<sup>26</sup>, 2021-2022 წლებში განახორციელა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფაზე მიმართული შემდეგი პროგრამები:

- ◆ პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამა;
- ◆ დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამა;
- ◆ სასათბურე მეურნეობების მხარდაჭერის საგრანტო პროგრამა;
- ◆ ეკონომიკური აგენტის მხარდაჭერის პროგრამა;
- ◆ კანონმდებლობის შესაბამისად, საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფილ დევნილთა და ეკომიგრანტთა ინტეგრაციის საგრანტო პროგრამა.

---

25. დოკუმენტი ხელმისაწვდომია საკანონმდებლო მაცნეს [ვებგვერდზე](#).

26. პასუხი საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის წერილზე (IDP 3 23 00368927, 06/04/2023)

საერთო ჯამში 2021-2022 წლებში ხსენებული პროგრამებით ისარგებლა 507-მა ბენეფიციარმა. 2023 წელს, სააგენტოს მიერ დაგეგმილია, იგივე პროგრამების განხორციელება.

გარდა ცენტრალურ დონეზე განხორციელებული პროგრამებისა, საინტერესოა ის პროგრამები და პროექტები, რომლებიც ადგილობრივ დონეზე თვითმმართველობის ორგანოების მიერ ხორციელდება.

მუნიციპალიტეტები, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, ახორციელებენ პროგრამებს, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში იძულებით გადაადგილებული პირები-დევნილები ცალკე მიზნობრივ ჯგუფად არ ჰყავთ გამოყოფილი<sup>27</sup>. და, როგორც თავად აღნიშნავენ, მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობა შეუძლია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ყველა პირს, მათ შორის, დევნილებს.

კვლევის სამიზნე მუნიციპალიტეტებიდან, მაგ. ფოთის მერიაში ვხვდებით სოციალურ საკითხთა და დევნილთა განყოფილებას, როგორც საჯარო მოხელეების მონაწილეობით ჩატარებული ფოკუს ჯგუფის მსვლელობისას აღინიშნა, ამარტივებს დევნილთა საჭიროებების იდენტიფიცირებას და მათზე რეაგირებას ასევე დევნილთა ინფორმირებულობას.

## 1.2. საერთაშორისო ნორმების მიმოხილვა

წინამდებარე სამაგიდე მიმოხილვა ძირითადად აჯამებს საერთაშორისო მექანიზმებით გათვალისწინებულ დევნილების დაცვის მექანიზმებს და პრინციპებს, და ძირითადად ეყრდნობა სამი სახელმძღვანელო დოკუმენტის მიმოხილვას: გაეროს სახელმძღვანელო უფლებადამცველი ინსტიტუციებისათვის<sup>28</sup>, გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ<sup>29</sup>, და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესაბამისად, დევნილთა უფლებების დაცვის სახელმძღვანელო<sup>30</sup>. მიმოხილვა მოიცავს იმ ნაწილების შეჯამებას, რაც უშუალოდ ეხება საქართველოს კონტექსტს.

ლტოლვილებისგან განსხვავებით, ვისთვისაც არსებობს 1951 წლის ჟენევის კონვენცია „ლტოლვილთა სტატუსის“ შესახებ, დევნილებისთვის არ არსებობს რაიმე ცალკე, საერთაშორისო სავალდებულო სამართლებრივი მექანიზმი<sup>31</sup>. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომაც დევნილები განსაკუთრებულად მოწყვლად მდგომარეობაში

---

27. რაზედაც ნაწილობრივ მიუთითებს მუნიციპალიტეტებიდან გამოთხოვნილი ინფორმაციაც (2023 წლის თებერვალს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის საპასუხოდ), მაგალითისთვის: წყალტუბოდან მიღებული საჯარო ინფორმაციის მიხედვით ირკვევა, რომ პროგრამებით სარგებლობს ყველა მოქალაქე, და შესაბამისად, დევნილების სტატისტიკა ცალკე არ არის გამოკვეთილი - მსგავსი მიდგომა სხვა მუნიციპალიტეტებში. შედარებით მეტად ჩაშლილი ინფორმაცია აქვს ზუგდიდის მუნიციპალიტეტს, რომლის 2022 წლის მუნიციპალურ ანგარიშში ჩაშლილად ჩანს სხვადასხვა პროექტები, რაშიც მონაწილეობა მიღებული აქვთ დევნილებს.

28. Protecting Internally Displaced Persons: a Handbook for National Human Rights Institutions.

29. Guiding Principles on Internal Displacement

30. Protecting Internally Displaced Persons Under the European Convention on Human Rights and Other Council of Europe Standards, A Handbook.

31. 37 PACE Recommendation 1631(2003), Internal displacement in Europe, 25 November 2003, para. 3. -



იმყოფებიან. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ დევნილები აწყდებიან არა მხოლოდ მატერიალურ საჭიროებებს, არამედ მათი ჩვეული სოციალური რღვევიდან გამომდინარე სოციალურ გამოწვევებს, რაც ხშირად უხილავია, თუმცა მნიშვნელოვნად აფერხებს დევნილებს ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებთან წვდომაში.

მიუხედავად იმისა, რომ დევნილებისთვის არ არსებობს ცალკე საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმი, დევნილებზე, ერთი მხრივ, ჩვეულებრივ ვრცელდება ყველა საერთაშორისო ნორმა ადამიანის უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებით (ძირითად ჩარჩოდ მიიჩნევა გაეროსა და ევროკავშირისა და ევროსაბჭოს ჩარჩო მექანიზმები), ხოლო დამატებით, სამართლის ანალოგიით, დევნილებზე ასევე ირიბად ვრცელდება ლტოლვილებთან დაკავშირებული სამართლებრივი ჩარჩო.

**ძირითადი საერთაშორისო დაცვის მექანიზმები, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია დევნილთა უფლებების დაცვასთან, შემდეგია:**

- ◆ გაეროს ჰუმანიტარული საკითხების კოორდინაციის ოფისთან არსებული უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომიტეტი, და მის მიერ შემუშავებული ჩარჩო დევნილებისათვის გრძელვადიანი გამოსავლის შესახებ;
- ◆ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ქვეკომიტეტი გაეროში და მის მიერ შემუშავებული პრინციპები საკუთრების ანაზღაურების შესახებ (პინიეროს პრინციპები);
- ◆ გაეროს 2030 მდგრადი განვითარების გეგმა;
- ◆ გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა;
- ◆ გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო;
- ◆ გაეროს სპეციალური მომხსენებელი დევნილთა უფლებების შესახებ;
- ◆ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და სასამართლო, რომელიც მიჩნეულია დაცვის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებად (თუმცა, ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივია დროის თვალსაზრისით). დევნილებთან დაკავშირებული სასამართლოს გადაწყვეტილებების უდიდესი ნაწილი შეეხება სოციალური დაცვისა და საცხოვრისის უფლებებს, რომლებიც სხვადასხვა საქმეში გამომდინარეობს კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება), მე-3 (დაცვა არაადამიანური მოპყრობისგან), და მე-8 (ოჯახური და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა) მუხლებისგან. ამავდროულად, საქმეების უდიდესი ნაწილი შეეხება კვიპროს-თურქეთის, სომხეთ-აზერბაიჯანის, ბალკანეთისა და სხვა სახელმწიფოების საქმეებს (მათ შორის, მცირე რაოდენობა საქართველოდანაც არის).
- ◆ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა და მის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და რეზოლუციები, რომლებიც მუდმივად იმეორებენ მითითებას მთავრობის ვალდებულების შესახებ, უზრუნველყონ მდგრადი მექანიზმები დევნილთა დაბრუნების, ადგილობრივი ინტეგრაციის შესახებ.
- ◆ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი და მის მიერ 2006 წელს შემუშავებული

13 პრინციპი დევნილთა დაცვის შესახებ (რომლებიც თავის მხრივ, ეფუძნება უფრო ადრეულ, 1998 წლის, სახელმძღვანელო პრინციპებს)<sup>32</sup>;

- ◆ სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი;
- ◆ კონვენციები, მათ შორის, რომლებიც სპეციფიკურად ეხება ქალთა უფლებებს, როგორცაა კონვენცია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ (საერთაშორისო სამართლის ნორმებითა და დევნილთა დაცვის პრინციპებით მიჩნეულია, რომ ქალები და გოგონები განსაკუთრებული რისკის წინაშე დგანან, მათ შორის, კოლექტიურ დასახლებებში ანტისანიტარიის და მომატებული ძალადობის რისკებიდან გამომდინარე).

გაეროს ჰუმანიტარული საკითხების კოორდინაციის ოფისთან არსებული უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომიტეტი კონცეპტუალურად აჯამებს ძირითად პრინციპებსა და მიდგომებს, რაც უნდა იყოს ასახული დევნილებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში:

#### **გრძელვადიანი გამოსავლის ძიების ძირეული პრინციპები:**

- ◆ უმთავრესი ვალდებულებები დევნილთა დასაცავად აკისრია თავად სახელმწიფოს.
- ◆ არასამთავრობო ორგანიზაციებს გააჩნიათ დამხმარე როლი, და აუცილებელია მათთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა;
- ◆ დევნილების უფლებები და ლეგიტიმური ინტერესები უნდა წარმოადგენდნენ უმთავრეს ღერძს და ნებისმიერი საკანონმდებლო - პოლიტიკური ჩარჩო მათ უნდა ეფუძნებოდეს;
- ◆ სახელმწიფომ პატივი უნდა სცეს დევნილთა უფლებას მიიღონ ინფორმირებული და თავისუფალი გადაწყვეტილება მათი განსახლების თაობაზე, ასევე შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ, მონაწილეობა მიიღონ ამ საკითხებთან დაკავშირებული სტრატეგიებისა და პროგრამების დაგეგმვასა და მართვაში;
- ◆ სახელმწიფომ უნდა განახორციელოს „სათემო მიდგომა“, რათა ერთიანობაში იქნას გათვალისწინებული როგორც „დევნილები“, ისე „მასპინძლები“ და შემცირდეს ნებისმიერი დამაბულობის/კონფლიქტის რისკი.

#### **ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის ასახვა დევნილებისთვის მხარდაჭერის ორგანიზებაში:**

- ◆ დევნილებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, მიიღონ თავისუფალი და ინფორმირებული გადაწყვეტილება, მათ შორის, განსახლებასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით;

---

32. C oE, Committee of Ministers, Recommendation 2006(6) on internally displaced persons, 5 April 2006.

- ◆ დევნილებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა ჩაერთონ მათთან დაკავშირებული სტრატეგიებისა და პროგრამების დაგეგმვასა და მართვაში;
- ◆ დევნილებს უნდა ჰქონდეთ კავშირი ჰუმანიტარულ და მხარდაჭერა ორგანიზაციებთან;
- ◆ დევნილებს უნდა ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა სახელმწიფოს მიერ ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის მექანიზმებთან. ამ პროცესში, სახალხო დამცველს შეიძლება განსაკუთრებული როლი მიენიჭოს.

**დევნილებისთვის „გრძელვადიანი გამოსავლის“/მხარდაჭერის კრიტერიუმი:**

- ◆ უზრუნველყოფილია ძირეული უსაფრთხოება და დაცულობა;
- ◆ უზრუნველყოფილია ცხოვრების სათანადო დონე, მათ შორის, თანაბარი ხელმისაწვდომობა ადეკვატურ საცხოვრისზე, ჯანდაცვისა და განათლების სერვისებზე;
- ◆ ხელმისაწვდომობა დასაქმებისა და სოციალური დაცვის შესაძლებლობებზე;
- ◆ ხელმისაწვდომობა ეფექტურ მექანიზმებზე, რათა დაცული იყოს მიწის, საცხოვრისის და სხვა კერძო საკუთრების უფლება;
- ◆ ხელმისაწვდომობა პირად და სხვა სახის დოკუმენტაციაზე;
- ◆ ოჯახის ერთიანობის პრინციპი (უფლება, ოჯახმა სურვილისამებრ მოითხოვოს, რომ არ იყოს განცალკევებული);
- ◆ დევნილებისთვის ხელმისაწვდომობა საჯარო პროცესებზე, რათა თანაბრად შეძლონ მონაწილეობით მართვაში ჩართვა;
- ◆ ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე.

გარდა ამისა, 1998 წელს, იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილთა) უფლებების პირველი წარმომადგენლის - ფრანსის დენგის კოორდინაციით შემუშავებული „დევნილთა დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები“ აერთიანებს 30-მდე პრინციპს დევნილთა დაცვის მინიმალური სტანდარტის დასამკვიდრებლად. მართალია, პრინციპები არ არის უშუალოდ სამართლებრივად სავალდებულო, თუმცა თითოეული მათგანი აჯამებს საერთაშორისო სამართლის ნორმებს და, შესაბამისად, გააჩნია ირიბი იურიდიული ძალა. მსოფლიოში მზარდი თანხმობა პრინციპების მნიშვნელობაზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს აღნიშნულ პრინციპებს და ისინი გამოიყენება როგორც დევნილების დაცვის ძირითადი ჩარჩო (განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც დევნილებს, ლტოლვილებისგან განსხვავებით, არ აქვთ ცალკე კონვენცია დევნილთა უფლებების შესახებ). შესაბამისად, 30 პრინციპისგან შემდგარ ჩარჩო სახელმძღვანელო ინსტრუმენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამართლებრივი ნორმების, პრაქტიკისა და დევნილებთან დაკავშირებული საერთაშორისო მექანიზმების შეჯერების მიზნით<sup>33</sup>.

---

33. იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვა: სახელმძღვანელო ეროვნული უფლებადამცველი ინსტიტუციების; UNCHR, UN Human Rights Special Rapporteurs, GANHRI, UNDP, 2021.

#	სფერო	პრინციპის შინაარსი
1.1.	თანასწორობა	თანასწორობა დისკრიმინაციის გარეშე (სახელმწიფოს მხრიდან თანასწორი მოპყრობის ვალდებულება დევნილებისა და სხვა მოქალაქეების მიმართ).
3.1.	სახელმწიფოს ვალდებულება	დევნილების მხარდაჭერისა და დაცვის ვალდებულება ეკისრება სახელმწიფოს (როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ ხელისუფლებას).
3.2.	მოთხოვნის უფლება	დევნილებს აქვთ უფლება მოითხოვონ და მიიღონ დახმარება, დაუშვებელია დევნილზე ზეწოლა ამგვარი მოთხოვნისთვის.
4.2.	განსაკუთრებული დაცვის სუბიექტები	ბავშვები, დედები, ძირითადად ქალზე დამოკიდებული ოჯახები, შშმ პირები და საპენსიო ასაკის დევნილები განსაკუთრებულ დაცვას ექვემდებარებიან - სახელმწიფო ვალდებულია მათი სპეციფიკური საჭიროებებიდან გამომდინარე დამატებითი მხარდაჭერა შესთავაზოს.
11.1.	ღირსეული ცხოვრება	დევნილების, ისევე როგორც სხვა ყველა ადამიანის უფლება ღირსეულ ცხოვრებაზე, ფიზიკურ, მენტალურ და მორალურ კეთილდღეობაზე.
14.1.	არჩევანის თავისუფლება	ყველა დევნილის გადაადგილების თავისუფლება და უფლება აირჩიოს მისი საცხოვრებელი.
16.4.	საფლავებზე წვდომა	ყველა დევნილის უფლებაა მოითხოვოს წვდომა წინაპრების, ახლობლების საფლავებზე.
17.1.	ოჯახი	ყველას აქვს უფლება ოჯახური ცხოვრების პატივისცემის.
18.1.	საცხოვრისის სტანდარტი	ყველა დევნილს აქვს ადეკვატური სტანდარტის საცხოვრისის უფლება
18.2.	საბაზო საჭიროებები	ყველა დევნილისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს მინიმუმ: A. საკვები და წყალი B. ძირითადი თავშესაფარი და საცხოვრებელი C. სამოსი D. სამედიცინო სერვისი და ჰიგიენური საჭიროებების დამაკმაყოფილებელი პირობები.
18.3.	ქალების ჩართულობა	განსაკუთრებული ზომების მიღების ვალდებულება, რათა ქალები ჩართონ დევნილებთან დაკავშირებული პროცესების დაგეგმვასა და მართვაში.
19.1.	ჯანდაცვა	ყველა დევნილის ხელმისაწვდომობა ჯანდაცვაზე, ფსიქოლოგიურ და სოციალურ სერვისებზე.
19.2.	რეპროდუქციული უფლებები	განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ქალების ხელმისაწვდომობას ჯანდაცვაზე, მათ შორის, რეპროდუქციულ უფლებებზე; აუცილებელია სერვისებზე ხელმისაწვდომობა ძალადობის მსხვერპლთათვის.
20.1.	კანონის წინაშე ხილვადობა	ყველა დევნილს აქვს უფლება, იყოს კანონისთვის ხილული სუბიექტი.
20.2.	საბუთების გაცემა	სახელმწიფო ვალდებულია გაამარტივოს ნებისმიერი საბუთის გაცემა დევნილებზე, რაც ომის გამო დაიკარგა, რათა არ შეიზღუდოს დევნილების შესაძლებლობა ჩაერთონ სამართლებრივ - ადმინისტრაციულ ურთიერთობებში.

#	სფერო	პრინციპის შინაარსი
22.1.	დისკრიმინაციის აკრძალვა	დაუშვებელია დევნილის წინააღმდეგ დისკრიმინაცია, მათ შორის, შემდეგ უფლებებში: A. დასაქმება და ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილეობა B. სათემო საკითხებში (ე.ი. თვითმმართველობაში) თანასწორი მონაწილეობა. C. ხმის მიცემისა და არჩევნებში მონაწილეობისთვის აუცილებელი გარემოს შექმნა.
23.1.	განათლება	ყველას აქვს განათლების უფლება.
23.2.	განათლებაზე ხელმისაწვდომობა ბავშვებისთვის	განათლების უფლების რეალიზებისთვის, ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ხელმისაწვდომი გარემო ბავშვებისთვის.
23.3.	განათლება ქალებისა და გოგონებისთვის	საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული ძალისხმევა საგანმანათლებლო პროცესებში ქალებისა და გოგონებისთვის სრული და თანასწორი მონაწილეობისთვის.
23.4.	პროფესიული გადამზადება	დევნილებისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი განათლებისა და ტრენინგის სივრცე.
24.1.	მიუკერძოებლობა	ყველა ჰუმანიტარული დახმარება უნდა განხორციელდეს მიუკერძოებლად.
25.1.	ძირითადი ვალდებულება	სახელმწიფოს აკისრია დევნილების მხარდაჭერის ძირითადი ვალდებულება, სხვა ორგანიზაციებს შეუძლიათ დამხმარე როლის შესრულება.
26.	ჰუმანიტარული ორგანიზაციების დაცვა	აუცილებელია ჰუმანიტარული ორგანიზაციების პატივისცემა და დაცვა, დაუშვებელია მათზე თავდასხმა.
28.2.	მონაწილეობა დაბრუნების დაგეგმვაში	დევნილები უნდა მონაწილეობდნენ დაბრუნების დაგეგმვაში.
29.1.	დაბრუნებულთა დისკრიმინაცია	დაბრუნებულთა დისკრიმინაცია დაუშვებელია.

### მონაცემებზე დაფუძნებული მართვა

დევნილების შესახებ სრულყოფილი, მუდმივად განახლებადი ინფორმაციის მიღება და დამუშავება აუცილებელია, რათა სახელმწიფომ და დამხმარე ორგანიზაციებმა შეძლონ დევნილთა მხარდაჭერის საჭიროებების ზუსტად განსაზღვრა, რათა საკანონმდებლო-პოლიტიკური ჩარჩო და მისგან გამომდინარე დამხმარე პროგრამები და ბიუჯეტი იყოს დაგეგმილი არსებული საჭიროებების მაქსიმალური ასახვით. აუცილებელია, რომ გარდა სახელმწიფოს მხრიდან ინფორმაციის პროექტიული გამოქვეყნებისა, დევნილებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს სახელმწიფოსთვის ინფორმაციის ნებაყოფლობით მიწოდების შესაძლებლობა, რაც უნდა იყოს უფასო ან მაქსიმალურად ბიუჯეტური, შეიცავდეს მინიმალურ ბიუროკრატიულ ბარიერებს,

და მარტივი იყოს დევნილებისთვის. აუცილებელია ისეთი მონაცემების შეგროვება, როგორცაა: რაოდენობა, ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი, საცხოვრებელი პირობები, მოწყვლადობის სხვადასხვა ინდიკატორი (სოციალურად დაუცველობა, შშმ პირი, და ა.შ.), დასაქმება, ჯანდაცვის საჭიროებები, და სხვა.

### **გადაწყვეტილების მიმღებ პირთა გადამზადების ვალდებულება**

გარდა ამისა, აუცილებელია სახელმწიფო მოხელეები და მოსამართლეები ჩაერთონ პერიოდული გადამზადების პროცესში, რათა დევნილთა საკითხებზე მომუშავე საჯარო მოხელეებმა და გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციაზე მომუშავე პირებმა (სხვადასხვა სამინისტროს, მუნიციპალიტეტის, სასამართლოს და სხვა თანამშრომლები) ინფორმაცია მიიღონ დევნილების სპეციფიური საჭიროებების, დაცვის სტანდარტების შესახებ, და გამოიმუშაონ მგრძობელობა დევნილობის საკითხის გარშემო, რათა მათ შორის შემცირდეს საკითხთან არსებული სტიგმა და სახელმწიფოს წარმომადგენლებმა გაიაზრონ სახელმწიფოზე დაკისრებული ვალდებულება დევნილთა დაცვის სფეროში<sup>34</sup>.

### **დისკრიმინაციის დაუშვებლობა**

საერთაშორისო სტანდარტით განსაზღვრულია დევნილების მიმართ ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციის აკრძალვა, ასევე რიგ შემთხვევებში ვხვდებით ე.წ პოზიტიური დისკრიმინაციის წახალისებას, რაც მოიცავს ისეთი დამხმარე პირობების შექმნას დევნილებისათვის, რაც მათ ხელ შეუწყობს არსებული ბარიერების გადალახვაში და სხვა მოქალაქეების მსგავსად შეექმნებათ შესაძლებლობა სრულად ისარგებლონ უფლებებითა და თავისუფლებებით<sup>35</sup>.

ერთ-ერთი მაგალითია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ვრუნტუ კვიპროსის წინააღმდეგ, რომელიც ეხებოდა დევნილთა დისკრიმინაციას სქესის საფუძველზე. კერძოდ, გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ ლტოლვილთა სტატუსისა და მასთან დაკავშირებული სარგებლის გაცემა კაცი დევნილის შვილებისთვის, და აღნიშნულ სტატუსზე უარი ქალი დევნილების შვილებისთვის - წარმოადგენს დისკრიმინაციას და არღვევს მე-14 მუხლსა და დამატებითი პირველი პროტოკოლის პირველ მუხლს.

### **ხელმისაწვდომობა სამართლიან სასამართლოზე**

სამართლიან სასამართლოზე ხელმისაწვდომობა მოიცავს დროულ, ფიზიკურად, ფინანსურად და გეოგრაფიულად ხელმისაწვდომ სასამართლო სერვისებს. რიგ შემთხვევებში, სახელმწიფოს შესაძლოა დაეკისროს უფასო სამართლებრივი დახმარების ვალდებულება დევნილებისთვის, როდესაც უსახსრობის გამო არსებობს რისკი, რომ შეეზღუდოს წვდომა მართლმსაჯულებაზე. აღნიშნული ვალდებულება შეიძლება მოიცავდეს სასამართლო მოსაკრებლის, ადვოკატისა და

---

34. CoE Project “Strengthening the Human Rights Protection of Internally Displaced Persons in Ukraine” Under the Framework of the CoE Action Plan for Ukraine 2015-2017, June 2016, pp. 115-116.

35. Information document prepared by the secretariat of the ESC, “The right to health and the European Social Charter”, (March 2009), p. 2.

მართლმსაჯულების სხვა ხარჯების ანაზღაურების ვალდებულებას<sup>36</sup>. ამავდროულად, ევროსაბჭოსა და სხვა სახელმძღვანელო პრინციპები გულისხმობენ საჯარო მოხელეებისა და მოსამართლეების გადამზადების საჭიროებას დევნილობის სპეციფიური არსისა და უფლებრივი საკითხების შესახებ, რათა უზრუნველყოფილი იყოს სამართლიან სასამართლოზე ხელმისაწვდომობა.

დღეისათვის დევნილებისთვის უფასო სამართლებრივ კონსულტაციებს და გარკვეულ შემთხვევებში სასამართლო წარმომადგენლობას უზრუნველყოფს იურიდიული დახმარების ბიურო, ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე წარმოდგენილი ტერიტორიული ოფისების მეშვეობით. თუმცა როგორც ფოკუს ჯგუფებიდან, კითხვარებიდან და დევნილებთან პრაქტიკული მუშაობით იკვეთება, აღნიშნული სრულფასოვნად ვერ უზრუნველყოფს დევნილების, განსაკუთრებით კი სოციალურად დაუცველი დევნილების ხელმისაწვდომობას სასამართლოზე.

### 1.3. დევნილთა შესახებ სახელმწიფო სტრატეგიის, სამოქმედო გეგმის მიმოხილვა

როგორც უკვე აღინიშნა, 2007 წელს მთავრობის განკარგულებით ძალაში შევიდა დევნილთა შესახებ სახელმწიფო სტრატეგია, რომელიც უვადოა, სამოქმედო გეგმების განახლება და დამტკიცება კი ყოველწლიურად ხდება.

კვლევის დროს შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა თავად სტრატეგიის დოკუმენტი, რომელიც სამომავლოდ საჭიროებს განახლებას და დღეს არსებულ რეალობასთან დაახლოებას. შედეგად, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მიზანშეწონილია სტრატეგიის ამოცანების და მიზნების განსაზღვრა განხორციელდეს თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით.

მოცემული ეტაპისთვის სტრატეგიაში :

1. აღწერილია განსახორციელებელი ამოცანები და ადმინისტრირების ის აქტივობები, რაც თავისთავად უნდა ხორციელდებოდეს. მაგალითისთვის, შევადაროთ: ამოცანა 2.1. „საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება“ და ამოცანა 2.4. „მენეჯმენტი, კოორდინაცია და მონიტორინგი“. ამ შემთხვევაში, პირველი ამოცანა ემსახურება გარკვეული მდგომარეობის გაუმჯობესებას, ხოლო მეოთხე - მიმდინარე საქმიანობას აღწერს, რაც არ არის მართებული. ამის სანაცვლოდ, შესაძლოა, მეოთხე ამოცანის ჩამოყალიბება ისე, რომ ისიც მოიცავდეს გარკვეული მდგომარეობის გაუმჯობესებას, მით უფრო იმ გამოწვევების გათვალისწინებით, რაც დევნილებმა გამოკვეთეს ინტერვიუების დროს, მაგალითისთვის, 2.4. (მეოთხე) ამოცანის ჩამოყალიბება შესაძლებელია შემდეგი გზით: „დევნილთა საკითხის მართვის, კოორდინაციისა და მონიტორინგის მექანიზმების გაუმჯობესება იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს ადამიანის

---

36. 550 C oE, “Implementing the European Convention on Human Rights in times of economic crisis”, Dialogue between judges, European Court of Human Rights, January 2013, page. 9.

უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა“. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა, როგორც წინამდებარე კვლევაში უკვე აღნიშნულია, მოიცავს მრავალ საკვანძო მიმართულებას, მათ შორის, გულისხმობს სახელმწიფო პროგრამების იმგვარად დაგეგმვას, რომ ისინი ეფუძნებოდეს რეალური საჭიროებების შეფასებას, მრავალფაქტორულ მონაცემებს, ხოლო პროგრამების შემუშავების პროცესში უშუალოდ უნდა იყვნენ ჩართული პროგრამის სამიზნე ჯგუფები - დევნილები და გასათვალისწინებელია მათი ხედვები და სურვილები. ამავდროულად, აუცილებელია მონაცემებზე დაფუძნებული მართვა (რაც, თავის მხრივ, საჭიროებს მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგიის, ინსტრუმენტისა და ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის განსაზღვრას), მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმის შემუშავებას იმგვარად, რომ ის იძლეოდეს შესაძლებლობას მუდმივად იდენტიფიცირდეს არსებული ხარვეზები სახელმწიფო პროგრამებში, მათი გრძელვადიანი გადაჭრისთვის.

2. მეორე ამოცანა (2.2.), რომელიც ჩამოყალიბებულია შემდეგი ფორმით: „დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება“ არასათანადოდ ასახავს დევნილთა საჭიროებებისა და საერთაშორისო დაცვის ასპექტების კომპლექსურობას. კერძოდ, მიზანშეწონილია ამოცანის გაყოფა ორ დამოუკიდებელ ამოცანად, რომლებიც არსობრივად განსხვავდება ერთმანეთისგან, კერძოდ:

a. დევნილთათვის სოციალური დაცვის სისტემის გაუმჯობესება (რაც მოიცავს, უმუშევრობისგან დაცვას, ჯანდაცვას, სოციალურ სერვისებს - მათ შორის, შინ მოვლა, შშმ პირთათვის დღის ცენტრები/შინ მოვლა, მობილობის გასაზრდელად მუნიციპალური ტრანსპორტით უზრუნველყოფას, სხვა სოციალურ სერვისებსა და დაცვის მექანიზმებს). აღნიშნული საკითხები პირდაპირ უკავშირდება სოციალური დაცვის საბაზო მექანიზმის შექმნას, რათა დევნილი დაცული იყოს იმ საფრთხეებისგან, რასაც სოციალურად დაუცველის მდგომარეობა მოიცავს. აღსანიშნავია სოციალურად დაუცველობის გენდერული ასპექტი - საერთაშორისო სტანდარტით განსაზღვრულია, რომ სოციალურად დაუცველი (მათ შორის, დევნილი) ქალები, ვინც ძირითადად ფეხით გადაადგილდება მოკლე დისტანციაზე, განსაკუთრებით მოწყვლადი არიან ძალადობის მიმართ. ამიტომ, აუცილებელია დევნილებისთვის - განსაკუთრებით დევნილი ქალებისთვის - მობილობის გასაზრდელად უსაფრთხო, დაცული, რეგულარული, გეოგრაფიულად და ფინანსურად ხელმისაწვდომი მუნიციპალური ტრანსპორტით უზრუნველყოფა, რაც სოციალური დაცვის სისტემის განუყოფელი ნაწილია. ამავდროულად, სოციალურად დაუცველობას აღრმავებს ის ფაქტორები, რაც ხელს უშლის დევნილს დასაქმებაში - როგორცაა: საბავშვო ბაღების, შშმ პირთა და პენსიონერების შინ მოვლისა და დღის ცენტრების არარსებობა. ამიტომაც მსგავსი სერვისებიც, თავის მხრივ, სოციალური დაცვის სისტემის განუყოფელი ნაწილია.

b. აღნიშნული ამოცანის მეორე, მსხვილი, მიმართულებაა - დევნილების ეკონომიკური გაძლიერება და მათთვის იმ გარემოს შექმნა, რათა მათ შეძლონ ფინანსური დამოუკიდებლობის მოპოვება, და შეამცირონ საკუთარი დამოკიდებულება სახელმწიფო სოციალურ დაცვაზე. სოციალური დაცვისგან



განსხვავებით (რომელიც ძირითადად საბაზო დაცვის სისტემას უნდა ქმნიდეს დევნილისთვის), აღნიშნული მეორე კომპონენტი, უნდა ფოკუსირდებოდეს დევნილების ეკონომიკურ განვითარებასა და მათი ფინანსური დამოუკიდებლობის ხელშეწყობაზე. აღნიშნული კი, თავის მხრივ, უნდა მოიცავდეს პროფესიულ გადამზადებას, საბრუნავი საშუალებებისა და აღჭურვილ უზრუნველყოფას (რაც ნაწილობრივ ასახულია მიმდინარე პროგრამებში, თუმცა საჭიროებს ცალკე ამოცანად ჩამოყალიბებას მისი არსისა და მნიშვნელობიდან გამომდინარე, და მოცულობისა და თემატური დაფარვის გაზრდას). ამავდროულად დევნილებში თითქმის გამოუყენებელია თანამედროვე ციფრული ეკონომიკის უდიდესი შესაძლებლობები. აღნიშნული მიმართულება უნდა დაემატოს სტრატეგიას შემდეგი ფორმით: „დევნილების ციფრულ ეკონომიკაში ჩართულობის გაზრდა“, რადგანაც ეს არის მცირედანახარჯიანი, თუმცა, ეფექტური და სწრაფი შესაძლებლობა, დევნილები დასაქმდნენ მსოფლიოს მასშტაბით დისტანციურად, იოლად შეღწევადი ციფრული პროფესიების ათვისებით (როგორცაა, მაგალითად, ციფრული დიზაინი, საიტების აწყობა, ონლაინ მაღაზიებისა და დისტანციური მიტანის სერვისის აწყობა, და ა.შ.).

3. თავის მხრივ, მესამე (2.3.) ამოცანა ჩამოყალიბებულია ზედაპირულად „დევნილთა ინფორმირებულობის გაზრდა“, მაშინ, როდესაც თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტები განსაზღვრავს „სამიზნე ჯგუფების ჩართულობას პროგრამების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მთლიან ციკლში“ როგორც დემოკრატიული თანამონაწილეობის სტანდარტს. შესაბამისად, აუცილებელია ამოცანის ჩამოყალიბება იმგვარად, რომ ფოკუსი გაკეთდეს არა მხოლოდ დევნილების ინფორმირებულობაზე, არამედ ასევე მათი არსებითი მონაწილეობის უზრუნველყოფაზე, მაგალითად: „დევნილების სრულყოფილი ინფორმირება სახელმწიფო სტრატეგიის, პროგრამების, მათ მისაღებად აუცილებელ კრიტერიუმებზე, ვადებზე, პროცედურებსა და სხვა საკითხებზე, დევნილების აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა სტრატეგიების, პროგრამებისა და ბიუჯეტების შედგენის, განხორციელებისა და შეფასების პროცესში.“ აუცილებელია ყურადღება დაეთმოს დევნილთა სპეციფიურ ჯგუფებს: ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ დევნილებს, კერძო და კომპაქტურ დასახლებებში მცხოვრებ დევნილებს (რადგანაც სწორედ ოკუპირებულ ტერიტორიებსა და კერძო სექტორში მცხოვრებ დევნილებს ყველაზე ნაკლები ხელმისაწვდომობა აქვთ ინფორმაციასა და ჩართულობის მექანიზმებზე).

**თავის მხრივ, ინდიკატორების დონეზე გასათვალისწინებელია შემდეგი ხარვეზები:**

4. მეორე მიზნის პირველი ამოცანის (2.1.) ინდიკატორები შემდეგი ფორმით არის ჩამოყალიბებული:

*2.1.1 დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული მოსამზადებელი ღონისძიებები.*

*2.1.2 დევნილთა გრძელვადიანი განსახლების პროგრამები განხორციელდა არსებული შენობების ფარგლებში და ახალი ჩასახლებების შექმნის გზით.*

დევნილი ოჯახების შერჩევა განხორციელდა მინისტრის ნორმატიული აქტით

დამტკიცებული დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის წესის, სტანდარტებისა და კრიტერიუმების მიხედვით.

### 2.1.3 დევნილთა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გაუმჯობესებული მდგომარეობა.

აღნიშნული ფორმულირება პრობლემურია რამდენიმე მიზეზის გამო:

- ◆ ტექნიკურ ნაწილში, ინდიკატორების ნაწილი ჩამოყალიბებულია, როგორც დასრულებული მოქმედება/მიღწეული შედეგი, ხოლო ნაწილი - როგორც არსებული მოცემულობა.
- ◆ შინაარსობრივ ნაწილში, თუ გავითვალისწინებთ, რომ 2.1. ამოცანა მოიცავს დევნილთა საცხოვრებელი მდგომარეობის გაუმჯობესებას, მაშინ აუცილებელია, სტრატეგია/სამოქმედო გეგმა ასახავდეს იმ პრაქტიკულ პრობლემებს და მათ გადაჭრაზე ორიენტირებულ აქტივობებსა და ინდიკატორებს, რაც დევნილთა ონლაინ გამოკითხვით გამოვლინდა ამავე კვლევის ფარგლებში, კერძოდ:
  - საცხოვრებლების ნაწილში არსებული ნესტი;
  - მოუწესრიგებელი წყალარინების (კანალიზაციის) სისტემები, რომლებიც რიგ დასახლებებში ჟონავს საცხოვრებელ სივრცეებში;
  - წყალმომარაგების პრობლემები (დევნილთა გარკვეული ნაწილი, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში ვერ სარგებლობს სასმელი წყლით და უწევთ დიდი მანძილიდან წყლის მიტანა საცხოვრებელ ფართამდე);
  - ლიფტების უსაფრთხოების მოწესრიგება;
  - ეზოს და საცხოვრებლის მიმდებარე ტერიტორიის უსაფრთხოება (დევნილების დიდი ნაწილი წუხს ბავშვების უსაფრთხოებაზე, რადგანაც გადაცემული ფართების ნაწილი არ მოიცავს საერთო სარგებლობის სივრცეებს, რთულდება უსაფრთხოების ზომების მოწესრიგება - მაგალითად, ეზოს შემოღობვა, რომ მცირეწლოვანი ბავშვები ტრასაზე არ გადადიოდნენ და ა.შ.);
  - ნარჩენების მართვა (ურნების რაოდენობა და ნარჩენების გატანის სიხშირის პრობლემურობა);
  - ტრანსპორტის ნაკლებობა (როგორც საჯარო ისე კერძო სექტორში მცხოვრები დევნილებისთვის), რაც არსებითად აუარესებს დევნილების მობილობას, და, შესაბამისად, ზღუდავს დევნილების შესაძლებლობას განახორციელონ საკუთარი უფლებები განათლების, პროფესიული განვითარების, დასაქმების, ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის და სხვა კუთხით. ამ კუთხით, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სახელმწიფოს გააჩნია პოზიტიური ვალდებულებები: უზრუნველყონ გეოგრაფიულად და ფინანსურად ხელმისაწვდომი, რეგულარული ტრანსპორტი დევნილების მობილობის გასაზრდელად;
  - სახელმწიფოს თანამონაწილეობა დევნილთა დასახლებებში საერთო სივრცეების მოწესრიგებასა და კეთილმოწყობაში იმ შემთხვევაშიც, როცა ადგილზე ამხანაგობა არ არის ჩამოყალიბებული.

5. მეორე ამოცანის (2.2. დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება) ინდიკატორები ჩამოყალიბებულია შემდეგი ფორმით:

*2.2.1. დევნილთა სოციალური დახმარების სისტემის გაუმჯობესება* - აუცილებელია სოციალური დახმარების სისტემის გაუმჯობესებისთვის სტანდარტების და ხარისხის განსაზღვრა (იხ. კომენტარი 2-ბ). **ამავდროულად, აუცილებელია აღინიშნოს, რომ დაუშვებელია დევნილობის 45-ლარიანი დახმარებისა და სოციალური დახმარების ალტერნატიულად წარმოჩენა. 45-ლარიანი დევნილობის დახმარება, დევნილების აღქმით, მეტწილად უკავშირდება სტატუსს, დაბრუნების იმედს, და ამავდროულად, დევნილობიდან გამოწვეული სირთულეების გადასაღახად არსებული დანამატია, ხოლო სოციალური დახმარება თავისი არსით სოციალური მოწყვლადობის საპასუხოდ არსებული დახმარებაა, ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. სტრატეგიის მიღების დროსაც ძირითად მიზნად განისაზღვრა დევნილის სტატუსის სოციალური დახმარებისაგან გამიჯვნა. შესაბამისად, აუცილებელია გადაიხედოს არსებული სისტემა და დევნილებს არ უწყვედეთ არჩევანის გაკეთება ამ ორს შორის. ამავდროულად, გამოკითხულ დევნილთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ სოციალური დაცვის სისტემა არასაკმარისი და უსამართლოა, შესაბამისად, აუცილებელია გაუმჯობესდეს კრიტერიუმები, შეფასების პროცედურები, რომლებითაც დგინდება სოციალურად დაუცველობის სტატუსი და ქულები (რაც, მათ შორის, გავლენას ახდენს განსახლებაზეც და, ამდენად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია).**

*2.2.2. საარსებო წყაროებზე დევნილთა გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა* - აუცილებელია შეიქმნას ერთიანი სისტემური ბაზა უფრო დეტალიზებული ინდიკატორებით (არსებული სისტემა მოიცავს მხოლოდ სქესს, ასაკს, სოციალურ სერვისებში ჩართულობას და განსახლების ტერიტორიას, რაც არასაკმარისია მონაცემებზე დაფუძნებული მართვის პრინციპის დასაწერად). მნიშვნელოვანია დეტალურად მოხდეს ისეთი ინდიკატორების განსაზღვრა ბაზაში, როგორცაა: დევნილების უნარ-ჩვევები, ენების ცოდნა, ციფრული უნარები, ხელმისაწვდომობა ინტერნეტზე, სურვილები, განსაკუთრებული საჭიროებები და სხვა ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს იმაზე, თუ რა ტიპის დასაქმების შეთავაზება შესაძლებელია მათთვის. აღნიშნული ბაზა უნდა ივსებოდეს როგორც პროაქტიულად საჯარო ინსტიტუციების მხრიდან, მაგრამ ამავდროულად ნებაყოფლობით იყოს მარტივად ხელმისაწვდომი დევნილის რეგისტრაციისთვის (სმს შეტყობინებები, მარტივად მიკვლევადი ლინკი, ონლაინ შესავსები ფორმატები, დასახლებებში გამოკრული საინფორმაციო ბროშურები, პირისპირ შეხვედრები და სხვა).

- ◆ ამავდროულად, მეორე ამოცანის რისკებში მითითებულია: „დაინტერესებული მხარეების არასათანადო ჩართულობა საარსებო წყაროების პროგრამების განხორციელებაში“ - მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული გარემოება ყველაზე მარტივად მართვადი გარემოებაა, სტრატეგია არ უთითებს ამ რისკის თავიდან აცილების/შემცირების არანაირ მექანიზმს. შესაბამისად, აუცილებელია დაემატოს ამ რისკის თავიდან ასაცილებლად დაგეგმილი ღონისძიებები (მაგ. დაკავშირებული ინფორმაციის პროაქტიულად გავრცელებასთან, ე.წ. „მესამე სივრცეების“ შექმნა დევნილების საფუძვლიანი მონაწილეობისთვის, და ა.შ.).
6. მეორე მიზნის მესამე ამოცანის (2.3. დევნილთა ინფორმირებულობის გაზრდა) ინდიკატორები ჩამოყალიბებულია შემდეგი ფორმით:

2.3.1 დევნილთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ცნობიერების/ ცოდნის და ინფორმირებულობის დონის გაზრდა დევნილთათვის ხელმისაწვდომ პროგრამებზე; იურიდიული კონსულტაციების ხელმისაწვდომობა და ასევე მათი სამოქმედო გეგმაში ჩართულობის ხელშეწყობა, რაც საერთოდ არასაკმარისია დასახული ამოცანის მისაღწევად (იხ. ზემოთ მოცემული კომენტარი თავად ამოცანის ნაკლოვანებასთან დაკავშირებით). აუცილებელია დაემატოს ინდიკატორები, რომლებიც ყურადღებას გაამახვილებს შემდეგ ფაქტორებზე:

- ◆ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა დევნილებს შორის ინფორმაციის მოხმარების სხვადასხვა ტიპოლოგიის მიხედვით (დევნილების ნაწილს არ აქვს ციფრული უნარ-ჩვევები და/ან ხშირი ხელმისაწვდომობა ინტერნეტთან და უპირატესობას ანიჭებს პირისპირ, ტელევიზიით, გადმოცემულ ან ბეჭდურ ინფორმაციას, ხოლო ნაწილს ურჩევნია სოციალური ქსელები, სმს და/ან ვებ გვერდის მეშვეობით ინფორმაციის მიღება). აუცილებელია ინფორმაციის გავრცელების არხების, ფორმატებისა და მეთოდების გამრავალფეროვნება, რომ ყველას ჰქონდეს ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა (განსაკუთრებით, ქალ დევნილებს/დიასახლისებს ვინც შეზღუდული მობილობით გამოირჩევა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ დევნილებსა და კერძო სექტორში დასახლებულ დევნილებს, სადაც ინფორმაცია ან შენელებულად/ არასრულყოფილად, ან საერთოდ არ აღწევს).
  - ◆ სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება პროგრამების მიღების კრიტერიუმებზე, პროცედურებზე, ვადებზე, მოცულობაზე, პირობებზე, აუცილებელ საბუთებსა და სხვა საკითხებზე (განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც გამოკითხულ დევნილთა დიდი ნაწილი ახსენებს, რომ დიდი დრო დასჭირდათ მხოლოდ იმისთვის, რომ გაერკვიათ, ეკუთვნით თუ არა ესა თუ ის პროგრამა).
  - ◆ ხელმისაწვდომი პროგრამების შესახებ ინფორმაციის თავმოყრა ერთიან სივრცეში, რათა მკაფიოდ და გასაგებად იყოს აღწერილი ყველა პროგრამა (და შესაძლებელი იყოს ინფორმაციის გაფილტვრა მიმღები სუბიექტის, ვადის, გეოგრაფიული არეალის, თემატიკისა და სხვა არსებითი ინდიკატორების მიხედვით, რათა ბენეფიციარს გაუმარტივდეს შესაბამისი ინფორმაციის მოძიება).
7. ბოლო, მეოთხე ამოცანის (2.4. - მენეჯმენტი, კოორდინაცია და მონიტორინგი), ინდიკატორები ჩამოყალიბებულია შემდეგი ფორმით:

2.4.1. *სხვა სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების ანგარიშების მომზადება, სადაც გათვალისწინებულია დევნილთა საკითხები და შესაბამისი აქტივობები, მათ შორის ადამიანის უფლებების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა; მდგრადი განვითარების მიზნები; გენდერული თანასწორობის გეგმა: "ქალები, მშვიდობა, უსაფრთხოება"-ს გეგმა; ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის გეგმა და ა.შ.*

2.4.2. *სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები;*

2.4.3. *ტექნიკური საექსპერტო ჯგუფის შეხვედრები.*

თავის მხრივ, აღნიშნული ინდიკატორები პრობლემურია არა მხოლოდ თავად ამოცანის ნაკლოვანების გამო, არამედ დამატებით იმ მიზეზითაც, რომ ინდიკატორები მოცემულია აქტივობების ფორმულირებით და რეალურად

ინდიკატორები არ არის მითითებული. ეფექტური მენეჯმენტის, კოორდინაციისა და მონიტორინგის ინდიკატორები უნდა მოიცავდეს გადაფარვის თავიდან აცილებას (ადგილობრივ და ცენტრალურ პროგრამებს შორის), კოორდინაციისა და გადამისამართების დაჩქარებას, და ა.შ. (იხ. კომენტარი 1.)

არასათანადოდაა დაგეგმილი მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი მისი კრიტერიუმები, პასუხისმგებელი ორგანოები და პროცედურები.

#### **აქტივობებისა და ბიუჯეტის დონეზე, გასათვალისწინებელია შემდეგი ხარვეზები:**

8. 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით პირველი ამოცანის (2.1. საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება) აქტივობები მოიცავს 5962 საცხოვრებელი ფართის გადაცემას დევნილებისთვის (ახლის აშენება, არსებულის გადაცემა, და ა.შ.), რაც, იმას ნიშნავს, რომ დევნილთა განსახლების პროცესის სრული დასრულება კიდევ არაერთ ათეულ წელზე შეიძლება გადანაწილდეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ოკუპაციიდან გასულია უკვე 30 წელზე მეტი, ხოლო საშუალო სტატისტიკური ცხოვრების ხანგრძლივობა საქართველოში მერყეობს 60-70 წლებს შორის, გამოდის, რომ თეორიულად, დევნილების პირველი თაობის დიდი ნაწილი შესაძლოა ვერ მოესწროს ბინით უზრუნველყოფას, რაც პოტენციურად ნიშნავს, საერთაშორისო სტანდარტების დარღვევას საცხოვრისის უზრუნველყოფასთან და სხვა თანმდევ უფლებებთან დაკავშირებით. ამავდროულად, აქტივობების ნუსხა მოცემულია არეულად - ნაწილი აღწერს ბინების რაოდენობას, ხოლო ნაწილი - ოჯახების რაოდენობას, რაც თანხვედრაში არ მოდის ერთმანეთთან. გასათვალისწინებელია ასევე, რომ საშუალო სტატისტიკური თანხა თითო ბინაზე გამოდის დაახლოებით 25'000 ლარი (დაახლ. 10'000 დოლარი), რაც რუსეთის მოქალაქეების მკვეთრი შემოდინების შედეგად, უძრავ ქონებაზე გაოთხმაგებული ფასების პირობებში, ვერ უზრუნველყოფს საბაზისო სტანდარტის საცხოვრისს.
9. მეორე ამოცანა (2.2. დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება) მოიცავს ჯამში 1'750'000 ლარს 10'000 დევნილისთვის (თითო დევნილზე 175 ლარს) ფულად დახმარებას, დროებით საცხოვრებლით უზრუნველყოფას 2000 ოჯახისთვის, რაზეც ჯამში გამოყოფილია 750'000 ლარი (ოჯახზე 375 ლარი), და საარსებო წყაროების სამოქმედო გეგმის შემუშავებას (რაზეც გათვალისწინებულია 2.2 მილიონი ლარი). შეიძლება ითქვას, რომ ერთი მხრივ, თავად აქტივობები არასაკმარისად პასუხობს არსებულ საჭიროებებს, ხოლო, მეორე მხრივ, თითო ოჯახზე გასაცემი თანხის ოდენობის გათვალისწინებით არსებული თანხები ვერ შეცვლის ვერც საერთო სურათს, ვერც ინდივიდუალური დევნილი ოჯახის მდგომარეობას და წარმოადგენს არაეფექტიან მოდელს. თავის მხრივ, სოციალური წყაროების სამოქმედო გეგმისთვის გათვალისწინებული 2.2 მილიონი ლარის მიზნობრიობა ბუნდოვანია. აუცილებელია ისეთი მოდელის დაზუსტება, რომელიც დაეხმარება დევნილებს უფრო გრძელვადიანი, დაცული გარემოს შექმნაში, ხოლო მეორე მხრივ, ისეთი სისტემის შექმნას, სადაც დევნილები დამოუკიდებლად შეძლებენ ფინანსური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას და ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნას.

10. საერთოდ არ არის თვალსაჩინოდ გათვალისწინებული რესურსი მესამე (2.3. დევნილთა ინფორმირება) და მეოთხე (2.4. მონიტორინგი, კოორდინაცია, შეფასება) ამოცანებისთვის. ხოლო გათვალისწინებული აქტივობები სრულად არასაკმარისია დევნილთა ინფორმირებისთვის ქვეყნის მასშტაბით (მითუმეტეს, რომ უშუალოდ დევნილთა ჩასახლებებში მხოლოდ 20 შეხვედრაა დაგეგმილი 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმით).

**გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმაში ცალკე არ არის ნახსენები, მაგრამ აუცილებელია შემდეგი საკითხების გამოყოფა ცალკეულ ამოცანებად ან/და ინდიკატორებად:**

11. გენდერული მეინსტრიმინგი - ქალების განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით პროგრამების დაზუსტება;
12. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების განსაკუთრებული საჭიროებების მიხედვით პროგრამების დაგეგმვა;
13. კერძო სექტორში მცხოვრები დევნილების საჭიროებების მიხედვით პროგრამების დაგეგმვა, რადგანაც მათთან ინფორმაცია თითქმის არ აღწევს;
14. ახალი შესაძლებლობების - ციფრულ ეკონომიკაში ჩართულობის შესაძლებლობების გამოყენება;
15. არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის უფრო ეფექტური ჩართულობა დევნილთა ინფორმირების პროცესში - განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ დევნილების უდიდესი ნაწილი ახსენებს, რომ უფრო ეფექტურად ინფორმაცია არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან ვრცელდება;
16. უძრავი ქონების ბაზარზე საფუძვლიანი ცვლილებების გათვალისწინებით ბიუჯეტის მორგება;
17. მეტი ანალიტიკური საქმიანობა, მონაცემებზე დაფუძნებული მიდგომების განვითარება.

# კვლევის შედეგები თემატურად

## 2.2. ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და ჩართულობა

დემოკრატიული სახელმწიფოს „მოქალაქეობა“ გულისხმობს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას შექმნას ხელშემწყობი გარემო მისი მოქალაქეების უფლებების განხორციელებისთვის, და ამ უფლებების განხორციელებაში თანასწორობის უზრუნველყოფისთვის - მიუხედავად (მათ შორის) სოციალურ-ეკონომიკური თუ სხვა მახასიათებლისა. რიგ შემთხვევებში, როდესაც რაიმე ნიშნით გამორჩეული (მოწყვლადი) ჯგუფები აწყდებიან უფრო მეტ დაბრკოლებას ამ უფლებების რეალიზებაში ვიდრე სხვა მოქალაქეები, სახელმწიფოს გააჩნია პოზიტიური ვალდებულება შექმნას სისტემური მექანიზმები ამ უთანასწორობის აღმოსაფხვრელად. საერთაშორისო ნორმები ისევე, როგორც სახელმწიფოს მიერ პირდაპირ ნაკისრი ვალდებულებები საერთაშორისო შეთანხმებების/ინსტრუმენტების ფარგლებში და ეროვნული პოლიტიკურ-საკანონმდებლო ჩარჩო განსაზღვრავს სახელმწიფოს ვალდებულებას, **უზრუნველყოს მოქალაქეების სრულყოფილი და დროული ინფორმირება და ჩართულობა** როგორც დაგეგმვის, ისე განხორციელებისა და შეფასების მთლიან ციკლში, სახელმწიფო ინსტიტუციების ფუნქციონირების თითოეულ დონეზე:

- ♦ **სტრატეგიულ დონეზე:** ეროვნული დონის სტრატეგიული დოკუმენტების, კანონმდებლობის, საერთო პოლიტიკური კონცეფციების შემუშავება და განხორციელება;
- ♦ **საოპერაციო დონეზე:** სტრატეგიული დოკუმენტების ასახვა სხვადასხვა ეროვნულ და მუნიციპალურ პროგრამასა და სამუშაო მიმართულებაში;
- ♦ **ტაქტიკურ დონეზე:** ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტების, კონკრეტული აქტივობებისა თუ სერვისების განხორციელება.


ამავდროულად, ევროკავშირის ჩარჩო მეთოდოლოგია - ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია მოქალაქეების, როგორც საჯარო სერვისების მიმღები პირების მოსაზრებების ასახვა და მათი პირდაპირი ჩართულობა სხვადასხვა დონესა და სექტორში პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების სრულ ციკლში. მოქალაქეების დროული წვდომა სრულყოფილ ინფორმაციაზე მათი ჩართულობის ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა, რის გარეშეც მოქალაქეების მონაწილეობა ზედაპირული და არაეფექტურია.

დევნილი მოსახლეობის ინფორმირებისა და ჩართულობის კუთხით კვლევის პროცესში გამოვლინდა, რომ **დევნილი მოსახლეობა არ არის სათანადოდ ჩართული** მათთან დაკავშირებული პროგრამების, ბიუჯეტის, სახელმწიფო სტრატეგიების, სამოქმედო გეგმებისა თუ კანონმდებლობის შემუშავებისა და შეფასების პროცესში. დევნილების მონაწილეობა თემის თუ მუნიციპალურ დონეზე განვითარებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მინიმალურია.

კვლევის შედეგად გამოვლინდა რომ, ერთ-ერთი დაბრკოლება დევნილთა ჩართულობის მხრივ - ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობაა.

**კითხვაზე: „მონაწილეობთ თუ არა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და პროგრამების დაგეგმვაში?“** რაოდენობრივი გამოკითხვის რესპოდენტთა უმრავლესობა (82%) ასახელებს ინფორმირებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს:

- ◆ „არა, არ ვიცი როგორ ჩავერთო“ – 37%
- ◆ „არა, არ ვიცი რა ღირებულება აქვს ჩემს ჩართულობას“ – 29%
- ◆ „არა, არ გვაწვდიან ინფორმაციას“ – 16%
- ◆ „არა: ვიცი როგორ ჩავერთო და რისთვისაა, მაგრამ ჩემთვის არაფერი არსებითი არ შეიცვლება“ – 7%
- ◆ „დიახ, სისტემურად ვესწრები სხდომებს და ვისმენ ინფორმაციას“ – 7%
- ◆ „დიახ, სისტემურად ვაწვდი რეკომენდაციებს და ვუზიარებ მოსაზრებებს“ – 4%



აღნიშნული შედეგები გარკვეულწილად ემთხვევა ქალთა ასოციაცია „თანხმობა“-ს მიერ 2020 წელს ლტოლვილთა დანიის საბჭოს დაკვეთით განხორციელებული კვლევის შედეგებს, სადაც ფოკუს ჯგუფებისა და რაოდენობრივი კითხვარის მეშვეობით გამოკითხული რესპოდენტების 68% (5 სამიზნე მუნიციპალიტეტიდან: წალენჯიხა, ზუგდიდი, სენაკი, ფოთი და მარნეული) აღნიშნავდა რომ, ისინი არ არიან ჩართული ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, არც ერთ ეტაპზე.




„არასოდეს არ მიმიღია მონაწილეობა ბიუჯეტის დაგეგმვაში, არც ვიცი დევნილებზე რომელ უწყებას რამდენი აქვს გამოყოფილი ან ვინ გვკითხავს ჩვენ... მსგავს პროცესებში მონაწილეობას ალბათ მეტი ცოდნაც სჭირდება...“

*/ მონაწილე თეთრიწყაროში გამართული დევნილთა ფოკუს ჯგუფიდან /*

**კითხვაზე:** რა უნდა გაკეთდეს, რათა დევნილებს უფრო მეტად ჰქონდეთ შესაძლებლობა ჩაერთონ ადგილობრივი თუ ცენტრალური ბიუჯეტის, პროგრამების, კანონებისა და სტრატეგიების/სამოქმედო გეგმების შემუშავებაში: 320 მა უპასუხა, რომ საჭიროა ინფორმაციის უკეთ გავრცელება, 197- საჭიროა უნარ-ჩვევები.


რა უნდა გაკეთდეს, რათა დევნილებს უფრო მეტად ჰქონდეთ შესაძლებლობა ჩაერთონ ადგილობრივი თუ ცენტრალური ბიუჯეტის პროგრამების, კანონებისა და სტრატეგიების/სამოქმედო გეგმების შემუშავებაში?



■ საჭიროა ინფორმაციის უკეთ გავრცელება 320      ■ საჭიროა უნარ-ჩვევები 197

**კითხვაზე:** თუ როგორ ჩავერთოთ პროცესებში, 76- მა აღნიშნა, რომ საჭიროა უფრო მეტად ხელმისაწვდომი იყოს ტრანსპორტი, 74- მა აღნიშნა, რომ აუცილებელია დამატებითი ზრუნვის ცენტრების ( დღის ცენტრები, ბალების, შშმ პირთა ცენტრების) არსებობა და ხელმისაწვდომობა, 15- მა მიუთითა სხვა.

## როგორ ჩავერთოთ პროცესებში?



- საჭიროა უფრო მეტად ხელმისაწვდომი იყოს ტრანსპორტი 76
- რომ აუცილებელია დამატებითი ზრუნვის ცენტრების ( დღის ცენტრები, ბაღების, შშმ პირთა ცენტრების) არსებობა და ხელმისაწვდომობა 74
- სხვა 5

დევნილ მოსახლეობაში ჩატარებული ფოკუს ჯგუფები და ინტერვიუები აჩვენებს, რომ დევნილები იღებენ ინფორმაციას დაგვიანებით (მაგალითად, გამოკითხულთა უმრავლესობას არ ჰქონდა ინფორმაცია 2022 წლის დეკემბერში დევნილთა შესახებ კანონში განხორციელებული ცვლილების შესახებ, ისევე როგორც არ ფლობენ ინფორმაციას ე.წ 45 ლარიან დახმარების რეფორმის საკითხზე. არ არსებობს ერთიან სისტემაში თავმოყრილი, მარტივად გასაგები და იოლი საძიებო სისტემით აღრიცხული დეტალური ინფორმაცია დევნილებისთვის ხელმისაწვდომი სერვისებისა და სახელმწიფო/მუნიციპალური პროგრამების შესახებ.

უმეტესად პროგრამები ცალკეული საბიუჯეტო უწყებების ვებ გვერდებზეა განთავსებული, რაც დევნილს ხელს უშლის დროულად, მარტივად და მისთვის გასაგებად გაეცნოს იმ პროგრამებსა თუ სერვისებს, რომლითაც სარგებლობა შეუძლია.

ფოკუს ჯგუფების დისკუსიების დროს, რამდენიმე მუნიციპალიტეტში გამოიკვეთა, რომ თავად საჯარო მოხელეებიც არ ფლობდნენ ინფორმაციის იმავე მუნიციპალიტეტში წარმოდგენილი სხვა უწყებების პროგრამების და სერვისების შესახებ, რაც საბოლოო ჯამში კვლავ დევნილთა ინფორმირებულობის ხელშემშლელ ფაქტორად გვევლინება.

*„როდესაც მოდის მოქალაქე, ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა - უკითხავს, კიდევ რითი შემიძლია ვისარგებლო? - ჩვენ არ გვაქვს პასუხი. ჩვენ მერე ვცდილობთ მოვიძიოთ ინფორმაცია და გავარკვიოთ. კარგი იქნება, თუ ინფორმირებული იქნება ყველა მოქალაქე. ასე მგონია, განზე ვართ ინფორმაციის კუთხით.“*

*/ მონაწილე თბილისში გამართული საჯარო მოხელეების ფოკუს ჯგუფიდან /*

*„შვილი სტუდენტი რომ იყო, არ ვიცოდი - თურმე სწავლის გადასახადის დაფარვა, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე რომ შეიძლებოდა, შემთხვევით გავიგე, თორემ მიჭირდა თანხის გადახდა, ქონების გაყიდვაც მომიწია.“*

*/ მონაწილე გორში გამართული დევნილთა ფოკუს ჯგუფიდან /*

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში, მაღალია იმ რესპოდენტთა წილი, რომელიც არ ეთანხმება („საერთოდ არ ვეთანხმები“ და „არ ვეთანხმები“) მოსაზრებას, რომ დევნილებისთვის პირდაპირ ან ირიბად განკუთვნილი პროგრამების „კრიტერიუმები და პროცედურები მკაფიო და გასაგებია“.

კერძოდ 37 % აღნიშნავს, რომ პროგრამებში მონაწილეობის კრიტერიუმები და პროცედურები მათთვის მკაფიო და გასაგებია, ხოლო 63% ამ მოსაზრებას არ ეთანხმება.

პროგრამების მიმართულებით კი აღნიშნული პროცენტული მაჩვენებელი შემდეგ ნაირად გამოიყურება:

- ◆ საცხოვრისთან დაკავშირებით: 50%
- ◆ ჯანდაცვასთან დაკავშირებით: 36%
- ◆ შშმ პირების დაცვის მიმართულებით: 33%
- ◆ სოციალური დაცვის მიმართულებით: 32%
- ◆ ბიზნესის ხელშეწყობის მიმართულებით: 32%
- ◆ სოფლის მეურნეობის პროგრამებთან დაკავშირებით: 31%
- ◆ ახალგაზრდების განვითარებასა და სწავლებასთან დაკავშირებით: 29%
- ◆ ზრდასრულთა პროფესიულ გადამზადებასა და მხარდაჭერასთან დაკავშირებით: 26%

*„კრიტერიუმებზე არაფერს გვეუბნებიან, ადგილზე რომ მიხვალ ნორმალურად ვერ გვიხსნიან. უნდა იყვირო რომ მოგვხედონ და რამე აგვიხსნან.“*


*/ მონაწილე ზუგდიდში გამართული დევნილთა ფოკუს ჯგუფიდან /*

რაოდენობრივი კვლევის კიდევ ერთი შედეგი ამყარებს მოსაზრებას, რომ აუცილებელია დევნილთა ინფორმირების გაზრდაზე მუშაობა.

**კითხვაზე:** „ როგორ შეაფასებდით თქვენთვის მოწოდებული ინფორმაციის ხარისხს, დევნილებისთვის განკუთვნილ სერვისებზე, პროგრამებზე და კანონმდებლობაზე? „ პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა:


ინფორმაციის მისაღებად არ დამჭირდა გადამისამართება სხვა უწყებაში: საერთოდ არ ვეთანხმები - 39, არ ვეთანხმები - 178, მეტნაკლებად ვეთანხმები - 115, სრულიად ვეთანხმები - 68

### ინფორმაციის მისაღებად არ დამჭირდა გადამისამართება სხვა უწყებაში




ინფორმაცია სწრაფად და დროულად მომეწოდა: საერთოდ არ ვეთანხმები - 45, არ ვეთანხმები - 207, მეტნაკლებად ვეთანხმები - 121, სრულიად ვეთანხმები - 27.

### ინფორმაცია სწრაფად და დროულად მომეწოდა



ინფორმაცია ადვილად ხელმისაწვდომია: საერთოდ არ ვეთანხმები - 28, არ ვეთანხმები - 248, მეტნაკლებად ვეთანხმები - 100, სრულად ვეთანხმები - 24.

## ინფორმაცია ადვილად ხელმისაწვდომია



ფოკუს ჯგუფების მსვლელობისას აღინიშნა, რომ ინფორმაციაზე წვდომა განსაკუთრებით უჭირთ გალში მცხოვრებ, ან ადმინისტრაციული ცენტრებიდან მოშორებით სოფლებში მცხოვრებ დევნილებს, ასევე შშმ პირებს, ხანდაზმულებს.

ფუკუს ჯგუფების დისკუსიებისას აღინიშნა ასევე, რომ ზოგიერთი საბიუჯეტო უწყებების ტერიტორიული წარმომადგენლობები ( მაგ., დევნილთა სააგენტო, აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობები) არ ფლობენ ამომწურავ ინფორმაციას მიმდინარე პროგრამების, პროგრამების კრიტერიუმების და პროცედურების შესახებ, რაც უარყოფითად აისახება დევნილთა დროულ და ამომწურავ ინფორმირებულობაზე.

*„გავაკეთე განაცხადი სოფლად სახლის შესყიდვაზე, ეს განაცხადი 2022 წლის მგონი შემოდგომა იყო, დღემდე არავინ მოსულა შემოწმებაზე. არც ის ვიცი, სად გავიგო როდის მოვლენ. აქ რომ მივდივარ მეუბნებიან მალე მოვა დაელოდეთ. მას მერე ახლა რა დროა? 2023 წლის მარტია და ისევ იგივე პასუხის მოლოდინში ვარ.“*

*/ მონაწილე ზუგდიდში გამართული დევნილთა ფოკუს ჯგუფიდან /*

აღინიშნა ასევე, რომ სრულყოფილი და საჭირო ინფორმაციის მიღება ვერ ხდება ცხელი ხაზის მეშვეობით, რომელიც სხვადასხვა საბიუჯეტო უწყებებში ფუნქციონირებს.

*“ცხელი ხაზი ან არ მპასუხობს, ან დიდი ხანი სჭირდება ლოდინი. თუ უპასუხეს ზუსტად არაფერს აგიხსნიან, ვერ გაწვდიან ამომწურავ ინფორმაციას.”*

*/ მონაწილე წყალტუბოში გამართული დევნილთა ფოკუს ჯგუფიდან /*

ფოკუს ჯგუფებისა და ინტერვიუების დროს, მუნიციპალიტეტებისა და დევნილთა საკითხებზე მომუშავე სხვა ინსტიტუციების საჯარო მოხელეებმა დაასახელეს მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდებისა და ჩართულობის სხვადასხვა მოქმედი მექანიზმი - მათ შორის, შეხვედრები მოსახლეობასთან (მათ შორის, დასახლებების ამხანაგობის თავმჯდომარეებთან), ინფორმაციის გავრცელება მერის წარმომადგენლების მეშვეობით, ახალგაზრდული და სხვა თემატური საბჭოების მეშვეობით, ასევე ტექსტური შეტყობინებითა და ვებ-გვერდების თუ სოციალურ ქსელში არსებული ოფიციალური გვერდების მეშვეობით ინფორმაციის გავრცელება.

ცალსახად გამოიკვეთა, რომ მეტი ურთიერთობა და კომუნიკაცია დევნილებთან მუნიციპალური ორგანოების წარმომადგენლებს აქვთ. თუმცა ამ უკანასკნელთ შეუძლიათ დევნილებს ძირითადად მიაწოდონ ინფორმაცია იმ პროგრამების შესახებ, რომლებიც მუნიციპალურია. რაც კვლავ ვერ უზრუნველყოფს დევნილთა სრულფასოვან ინფორმირებულობას.

*„მარტო სოფლის რწმუნებულებს დაავალო პროგრამის გავრცელება - არასაკმარისია. როდესაც ახალი პროექტი შემოდის, სიახლეებზე აქტიურად უნდა შეხვდე მოსახლეობასაც, მიაწოდო ინფორმაცია, უფრო ინტენსიურად.“*

*/ მონაწილე გორში გამართული საჯარო მოხელეების ფოკუს ჯგუფიდან /*

*„მერიაშ არის დევნილთა საკითხებზე პასუხისმგებელი პირი. ვცდილობთ, რომ მას სრული ინფორმაცია ჰქონდეს ყველა იმ პროგრამის შესახებ რაც დევნილებს უკავშირდება „*

*/ მონაწილე ფოთში გამართული საჯარო მოხელეების ფოკუს ჯგუფიდან /*

დევნილებთან ჩატარებულ თითქმის ყველა ფოკუს ჯგუფსა და ინტერვიუში გაქდერდა რომ:

⇒ წლების განმავლობაში არც ერთი ტექსტური შეტყობინება არ მიუღიათ პროგრამებთან და სერვისებთან დაკავშირებით. თუმცა აღნიშნული მოსაზრება არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა, დევნილებს სისტემურად ეგზავნებოდეთ მოკლე ტექსტური შეტყობინება. ამასვეს ადასტურებს ზოგიერთი ჩაღრმავებული ინტერვიუ საბიუჯეტო უწყებების წარმომადგენლებთან, ასევე რაოდენობრივ კითხვარში მოცემული პასუხები ნაწილობრივ. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ დევნილების სატელეფონო მონაცემების ბაზები შესაძლებელია საჭიროებდეს განახლებას, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი შეიძლება იყოს ტექსტური შეტყობინებების არ მიღების.

⇒ შეხვედრები დევნილებთან იმართება ძირითადად წინასაარჩევნოდ, შერჩევით და არ ემსახურება რეალური საჭიროებების სისტემურ მოგვარებას. ფოკუს ჯგუფებში გაჟღერებული ინფორმაციით, დევნილებთან შეხვედრები დასახლებებში იშვიათია. არის პრეცედენტები, როდესაც ე.წ. დევნილთა კორპუსების ამხანაგობების თავმჯდომარეებს იწვევენ შეხვედრებზე, თუმცა აღნიშნული პირები, დევნილთა აზრით, არ არიან ინფორმაციის გავრცელების ეფექტური წყარო.

*„არჩევნების წინა პერიოდში მოვლენ, შეგვეკრიბავენ ამხანაგობების თავმჯდომარეებს, დაგვპირდებიან მაგრამ რა მერე ისევ არაფერი იცვლება ჩვენთვის.“*

*/ მონაწილე წყალტუბოში გამართული დევნილთა ფოკუს ჯგუფიდან /*

*„ დაგვიბარებენ, ვითომ გამოგვკითხავენ რა გიჭირთო, მერე დაგვპირდებიან, მაგრამ გაკეთებით ვინ რას აკეთებს?! რამდენი ხანია არც სტადიონი გვივარგა, სარდაფები წყლითაა სავსე, წვიმაში ეზოში ვერ გავა ადამიანი.“*

*/ მონაწილე წყალტუბოში გამართული დევნილთა ფოკუს ჯგუფიდან /*

კვლევის პროცესში, არც ერთ შემთხვევაში არ გამოიკვეთა მოსახლეობასთან შეხვედრების ერთიანი, სისტემური მეთოდოლოგიის არსებობა როგორც მუნიციპალურ, ისე ცენტრალურ დონეზე. (არ არის განსაზღვრული საბიუჯეტო პროცესის დაგეგმვის რა ეტაპზე ტარდება შეხვედრები, არ არის განსაზღვრული მონაწილე სუბიექტები და მოსახლეობის წარმომადგენლობითობის უზრუნველსაყოფად რაიმე კვოტების სისტემა, არ არის განსაზღვრული შეხვედრის ჩატარების ფორმატი, ინფორმაციის უფრო სისტემური შეგროვებისა და მოსაზრებების გაცვლისთვის). მოსახლეობასთან შეხვედრები არ ატარებს ციკლურ ხასიათს (მაგალითად, მოსახლეობის მოსაზრებების შეკრება, ასახვა ადგილობრივ პროგრამებში, შეფასებისთვის იგივე ჯგუფებთან მიბრუნება) და მეტწილად, ქაოტური პროცესით ხასიათდება. დევნილების დიდი ნაწილი მიუთითებს უკუკავშირის ნაკლებობაზე.

⇒ **კერძო სექტორში მცხოვრები დევნილები განსკუთრებით მწვავედ აღნიშნავენ, რომ მათთან ინფორმაცია საერთოდ არ მიდის.** კერძო სექტორთან კომუნიკაციის ნაკლებობაზე მიუთითებდნენ თავად შესაბამისი საბიუჯეტო უწყებების წარმომადგენლებიც.

პარალელურად, მკაფიოდ შეინიშნება გარკვეული ნიჰილიზმი ჩართულობის იდეის მიმართ, როგორც მოსახლეობის, ისე მუნიციპალიტეტის მხრიდან - მოსახლეობის დიდი ნაწილი თვლის, რომ მათი ჩართულობა არ გამოიწვევს მათთვის რაიმე დადებით შედეგს, ხოლო მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ხშირ შემთხვევაში მიიჩნევენ, რომ მოსახლეობის ჩართულობას არ მოაქვს საკმარისი ღირებულება.

„დევნილებს ზემოქმედების ბერკეტები არ გვაქვს.“

/ მონაწილე წყალტუბოში გამართული დევნილთა ფოკუს ჯგუფიდან /

„აგერ დევნილთა დასახლებები საერთოდ ამოგვიღეს სოფლის მხარდაჭერის პროგრამიდან. ვინ გვკითხა რამე, რომ ამოგვიღეს ეგეც მაშინ გავიგეთ, როცა სოფელში კრება ჩატარდა“

/ მონაწილე გორში გამართული დევნილთა ფოკუს ჯგუფიდან /

„ერთი- ერთს გეუბნება, მეორე - მეორეს. ვერ ჩამოყალიბდნენ - სოფლის საჭიროებას ვერ გაიგებ ასე. წარმომადგენელმა უკეთ იცის, თუ რა საჭიროება აქვს ადგილობრივ მოქალაქეს, ზეპირად იცინა.“

/ მონაწილე გორში გამართული საჯარო მოხელეების ფოკუს ჯგუფიდან /


სამიზნე მუნიციპალიტეტებში არსებული ჩართულობის მექანიზმების შესწავლით და გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ არც ერთ მუნიციპალიტეტში დევნილების მხრიდან არ დაფიქსირებულა პეტიციების მომზადების პრეცედენტი, დევნილები არ არიან წარმოდგენილი მერთან არსებულ მრჩეველთა საბჭოებში. მუნიციპალურ დონეზე მონაწილეობის დამატებით მექანიზმებში, როგორც არის სამოქალაქო ბიუჯეტი (ზუგდიდი, წყალტუბო, გორი) იკვეთება დევნილთა ინიციატივების წარდგენა მინიმალურად. მონაწილეობა-ჩართულობის გამოწვევები გამოიკვეთა აფხაზეთის სამთავრობო უწყებების და დევნილი მუნიციპალიტეტების დონეზეც, სადაც არ არის არანაირი მონაწილეობის ქმედითი მექანიზმი წარმოდგენილი.

რაც შეეხება დევნილთა სააგენტოს, აქ ფუნქციონირებდა დევნილთა მიმართულებით რამდენიმე საექსპერტო თემატური ჯგუფი, თუმცა ბოლო რამდენიმე წელია მათი საქმიანობა ეფექტურად და სისტემატიურად არ განხორციელებულა.

რაოდენობრივი კითხვარის მეშვეობით გამოკითხულ იქნა ინფორმაციის მიღების წყაროები დევნილებში.

**კითხვაზე:** რომელი წყაროებიდან იღებთ ინფორმაციის ყველაზე ხშირად? პასუხები გადანაწილდა შემდეგი სახით.

რომელი წყაროებიდან იღებთ ინფორმაციის ყველაზე ხშირად? (შესაძლებელი იყო ერთდროულად რამდენიმე პასუხის მონიშვნა)





## 2.3. სოციალური დაცვა და სერვისებზე ხელმისაწვდომობა

### 2.3.1. სოციალური დაცვის ინდიკატორები - საერთაშორისო ორგანიზაციების მიდგომები

სოციალური დაცვის სისტემის არსი შეჯამებულია გაეროს ადამიანის უფლებათა უნივერსალურ დეკლარაციაში (მუხლი 25/1), რომლის თანახმადაც:

*„ყველას აქვს უფლება ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, საკვების, ტანსაცმლის, საცხოვრებლის, სამედიცინო და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად, და უფლება უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადმყოფობის, შეზღუდული შესაძლებლობის, ქვრივობის, მოხუცებულობის ან მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო არსებობის სხვა საშუალებათა დაკარგვის შემთხვევაში.“*

მართალია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პირდაპირ არ ადგენს სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებზე გარანტიებს, თუმცა სხვადასხვა პრეცედენტულ საქმეში მან დაადგინა ადამიანის უფლებათა კონვენციიდან გამომდინარე საბაზო სოციალურ-ეკონომიკური უფლებებიც. მაგალითად, საქმეში სტევი და სხვები დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ, სასამართლო ადგენს მჭიდრო კავშირს პოლიტიკურ და სამოქალაქო ერთი მხრივ, და სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებს შორის და განმარტავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია ეხება სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, ისინი პირდაპირ გავლენას ახდენენ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე და შესაბამისად, ეს უფლებები განუყოფელია<sup>37</sup>.

ევროპული საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაციის<sup>38</sup> თანახმად, წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან „გაზარდონ ხელმისაწვდომობა დევნილებისთვის ეკონომიკური საქმიანობის შესაძლებლობებზე, მათ შორის, დასაქმებაზე თანასწორი ხელმისაწვდომობის ხელშეწყობით, სოციალური დაცვის სისტემების შემუშავებით“ და სხვა. მსგავს რეკომენდაციას იმეორებს ევროპის სოციალური ქარტია და განმარტავს, რომ თანაბარი პირობების შექმნა, მათ შორის ეხება თანაბარ დასაქმებას, ანაზღაურებას, წვდომას ჯანდაცვაზე, საცხოვრისზე, და ასევე გადამზადების/ პროფესიული სწავლების პროგრამებზე. აღსანიშნავია, რომ სოციალური დაცვა, დასაქმება, განათლება-გადამზადება და ჯანდაცვა ერთი მთლიანი ურღვევი ციკლის ნაწილად მიიჩნევა და საერთო ჯამში ქმნის სოციალური დაცვის გარანტიებს.

სხვადასხვა საერთაშორისო წყაროში ვხვდებით „სოციალური დაცვის“ სხვადასხვაგვარ განმარტებებს, მათ შორის ყველაზე გავრცელებული განმარტებებია:

---

37. იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვა ადამიანის უფლებათა კონვენციით და ევროსაბჭოს სხვა სტანდარტებით (სახელმძღვანელო), კოსტას პარასკევა, ევროსაბჭო, 2017.

38. PACE Recommendation 1877(2009), “Europe’s forgotten people: protecting the human rights of long-term displaced persons”, 24 June 2009.

- ◆ **შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის განმარტება<sup>39</sup>:** სოციალური დაცვა არის ადამიანის უფლება და ის უნდა მოიცავდეს ისეთ პროგრამების, რომლებიც ორიენტირებულია სიღარიბისა და მოწყვლადობის შემცირებასა და თავიდან არიდებაზე ადამიანის სიცოცხლის მთლიანი ციკლის განმავლობაში. სოციალური დაცვა მოიცავს ბავშვებისა და ოჯახების, მშობლების, უმუშევრობის, ავადმყოფობის, შეზღუდული შესაძლებლობის, ასაკისა და სხვა ჯგუფებზე მორგებულ პროგრამებს;
- ◆ **მსოფლიო ბანკის განმარტება<sup>40</sup>:** სოციალური დაცვა მოიცავს პოლიტიკას და პროგრამებს, რომლებიც ეხმარება ცალკეულ ადამიანებს და საზოგადოებას მთლიანობაში უკეთ მართონ რისკები და დაიცვან თავი სიღარიბისა და სასოწარკვეთისგან - მათ შორის ისეთი ინსტრუმენტების დანერგვით, რაც ხელს შეუწყობს მედეგობას, თანასწორობას და შესაძლებლობებს ადამიანების განვითარებისთვის;
- ◆ **ინკლუზიური ზრდის საერთაშორისო პოლიტიკის ცენტრის განმარტება<sup>41</sup>:** სახელმწიფო უნდა ახორციელებდეს სოციალურ დაცვას კომპლექსური ნაბიჯების ერთობლიობით: ოჯახების მხარდაჭერა, რათა მათი ცხოვრების განმავლობაში კრიზისული პერიოდები გადალახონ; მხარდაჭერა მოწყვლადი ჯგუფებისთვის, რათა გაიზარდოს მათი მედეგობა კრიზისების, განსაკუთრებით კი, სოციალურ-გარემოსდაცვითი რისკების მიმართ; გაიზარდოს სოციალური ინკლუზია და ოჯახების კომპლექსური მხარდაჭერა;
- ◆ **აზიის განვითარების ბანკი<sup>42</sup>:** სოციალური დაცვა არის პოლიტიკისა და პროგრამების ერთობლიობა, რომელიც ემსახურება სიღარიბის შემცირებას და შრომითი ბაზრების ეფექტურ მართვას, რისკების მიმართ მოწყვლადობის შემცირებას და საზოგადოების შესაძლებლობის ზრდას, თავი დაიცვას შემოსავლის წყვეტისგან/წყვეტის პერიოდში. სოციალური დაცვა მოიცავს: შრომით საბაზრო პოლიტიკას, სოციალურ დაზღვევას, სოციალურ მხარდაჭერას და მიკრო-სქემებს საზოგადოების დაცვისთვის.
- ◆ **გაეროს განვითარების პროგრამის განმარტება<sup>43</sup>:** სოციალური დაცვა მოიცავს პოლიტიკას და ინსტრუმენტებს ეროვნულ დონეზე, რომლებიც იცავენ ოჯახებს შემოსავლის წყვეტის/ შეზღუდული შესაძლებლობების პერიოდში;
- ◆ **ევროკომისიის განმარტება<sup>44</sup>:** სოციალური დაცვა გულისხმობს ყველა პოლიტიკას და მოქმედებას, რომელიც ხელს უწყობს ადამიანებს, განსაკუთრებით,

39. „World Social Protection Report 2017-2019: Universal social protection to achieve the sustainable Development Goals”, 2020, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია;

40. „Resilience, Equity and Opportunity: The World Bank’s Social Protection and Labor Strategy 2012-2022”, 2020, World Bank;

41. “Global Innovations in Social Protection”, 2012, ლალ. რ. და სხვები;

42. “Social Protection – Our Framework: Policies and Strategies”, 2020, Asian Development Bank;

43. “Leaving No One Behind: A Social Protection Primer for Practitioners”, 2020, United Nations Development Programme;

44. “Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions”, 2020, European Commission;

დაბალშემოსავლიან და მოწყვლად ჯგუფებს, რომ თავი დააღწიონ სიღარიბეს ან თავი აირიდონ გაღარიბებას, უკეთ მართონ რისკები, რომლებიც გამოწვეულია გარემო პირობების შოკური პერიოდებით, და რომელიც ხელს უწყობს სოციალური დაცვის გაძლიერებას საბაზო სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდის მეშვეობით, მიუხედავად ადამიანების შემოსავლისა (მათ შორის, ჯანმრთელობისა და განათლების მიმართულებით).

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური დაცვის ფორმულირება განსხვავდება სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის სამუშაო სისტემაში, მათ ახასიათებთ რამდენიმე საერთო ინდიკატორი:

- ♦ **სათემო მიდგომა:** სოციალური დაცვის კონცეფციები აწყობილია როგორც ცალკეული ადამიანის, ისე ადამიანების ჯგუფის საჭიროებებზე მორგებულად - ოჯახზე, ცალკეული საჭიროებების მქონე ჯგუფებზე (მაგალითად, შშმ პირები, დევნილები და სხვა);
- ♦ **რისკების მიმართ მედეგობა:** რაც გულისხმობს, რომ ადამიანი, ოჯახი და საზოგადოება დაცული უნდა იყოს სხვადასხვა სახის გარემო მოვლენებისგან და რისკებისგან, და ჰქონდეთ მრავალშრიანი დაცვა იმ პერიოდებისთვის, როდესაც პირადი ან გარემო პირობების გამო მას არ შეუძლია შემოსავლის მიღება დამოუკიდებლად;
- ♦ **მრავალშრიანი მიდგომა:** სოციალური დაცვა მოიცავს ყველა საბაზისო საჭიროებას - როგორცაა განათლება, ჯანდაცვა, ფინანსური დაცვა, შრომა და სხვა მიმართულებებს;
- ♦ **სტრატეგიული და საოპერაციო დონე:** თითქმის ყველა განმარტებაში გვხვდება „პოლიტიკისა“ და „პროგრამების/აქტივობების“ ერთობლიობა;

შესაბამისად, შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სოციალურ დაცვად მიიჩნევა ისეთი სახელწმიფო სისტემა (სტრატეგიულ დონეზე პოლიტიკურ-საკანონმდებლო ჩარჩოსა და საოპერაციო დონეზე - პროგრამების ერთობლიობა), რომელიც შესაძლებელს ხდის, კრიზისულ პერიოდებში ინდივიდი და საზოგადოება უფრო მეტად გამძლე იყოს სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების მიმართ, არ გაღარიბდეს, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ასევე ნიშნავს საზოგადოების უნარს, აქტიურად ჩაებას ეკონომიკურ საქმიანობაში და შესაბამისად, სახელმწიფოზე ნაკლებ ფინანსურ ტვირთს.

აღნიშნული კვლევის ფარგლებში, არსებული ვითარების შეჯამება ზემოთ გამოყოფილი ოთხი ინდიკატორის მიხედვით წარმოაჩენს შემდეგ სურათს:

- ♦ **სათემო მიდგომა:** არსებული სოციალური დაცვის პროგრამები ნაკლებად ითვალისწინებს საერთო ოჯახურ მდგომარეობას და ინდივიდუალურად, ერთი პირის შემოსავალზე/მოწყვლადობაზე დაყრდნობით მიიღება გადაწყვეტილებები (მაგალითად, დევნილთა შემწეობის შესახებ);
- ♦ **რისკების მიმართ მედეგობა:** არსებული სოციალური დაცვის სისტემა არ ახალისებს გაღარიბებისგან პრევენციულ პროგრამებს და სიღარიბისგან დაცვის გრძელვადიან მექანიზმებს, რაც დევნილს მისცემდა შესაძლებლობას,

გაძლიერებულიყო დამოუკიდებლად (ამის სანაცვლოდ, სისტემა ადამიანს აყენებს არჩევანის წინაშე: დაკარგოს სოციალურ დაცვასთან დაკავშირებული ყველა ბენეფიტი და სტაბილურობა, ან გარისკოს და სცადოს განვითარება და ეკონომიკურ საქმიანობაში ჩაბმა). შესაბამისად, სისტემა ვერ ახერხებს სრულყოფილად უზრუნველყოს სოციალურ-ეკონომიკურად მოწყვლადი მოსახლეობა საბაზო საჭიროებებით და, ამავდროულად, გრძელვადიანი მიდგომის არარსებობის გამო, შესაძლოა, პირიქით, წახალისებდეს ადამიანების გაღარიბებას და ბიუჯეტზე დამოკიდებულების ზრდას;

- ◆ **მრავალშრიანი მიდგომა:** არსებული პროგრამები სხვადასხვა მიმართულებით (განათლება, ჯანდაცვა, ფინანსური დაცვა, შრომა, სხვა) ფრაგმენტულია და არ არის დანახული ჰოლისტურად, ერთიან სისტემაში, რის გამოც, შესაძლოა, ზიანდებოდეს მათი ეფექტურობა და გრძელვადიანი სარგებლიანობა (მაგალითად, რამდენიმე ჯგუფში აღინიშნა, რომ საკვირაო სკოლაში ბავშვები მიყავთ საკვების გამო, ხოლო რიგ შემთხვევებში, დამატებით განმავითარებელ პროგრამებში ბავშვები ვერ ერთვებიან ტრანსპორტის არარსებობის გამო - აუცილებელია პროგრამების კომპლექსურად დაგეგმვა, რათა რომელიმე საბაზო საჭიროების არარსებობამ არ დააზიანოს მეორე პროგრამის ეფექტურობა);
- ◆ **სტრატეგიული და საოპერაციო დონე:** კვლევის ფარგლებში შესწავლილი საბუთებიდან არ იკვეთება მტკიცებულებებზე დაფუძნებული, ჩართული და ინფორმირებული პოლიტიკის პროცესი; თავის მხრივ, პოლიტიკა (სტრატეგიის დოკუმენტები, ხედვები) არ ითარგმნება პირდაპირ კონკრეტულ დათვლად ინდიკატორებსა და პროგრამებში, ხოლო ბიუჯეტი, თავის მხრივ, არ მიჰყვება ცალკეულ პროგრამულ პრიორიტეტებს და იქმნება შთაბეჭდილება, რომ სტრატეგია, პროგრამები და ბიუჯეტი იგეგმება ცალ-ცალკე და არა როგორც ერთიანი ციკლის ურთიერთდამოკიდებული ნაწილები, რაც ართულებს იმის შეფასებას, თუ რამდენად ეფექტურად ხორციელდება ესა თუ ის პროგრამა და მიიღწევა თუ არა სტრატეგიული ამოცანები.

*„თუ ასე გაგრძელდა, ათ წელიწადში მივიღებთ ვითარებას, როდესაც თითქმის სრული პროგრამული ბიუჯეტი სოციალურ გასაცემლებზე იქნება მიმართული“.*  
*/ მონაწილე თბილისში გამართული საჯარო მოხელეების ფოკუს ჯგუფიდან /*

### 2.3.2. კვლევის შედეგები სოციალური დაცვის მიმართულებით

კვლევის რაოდენობრივ კომპონენტში რესპოდენტებმა შეაფასეს დევნილებისთვის განკუთვნილი პროგრამები სხვადასხვა სფეროში:

- ◆ *სოციალური დაცვის მიმართულებით;*
- ◆ *შშმ პირებისთვის განკუთვნილი პროგრამები;*
- ◆ *პროგრამები საცხოვრისთან დაკავშირებით;*
- ◆ *პროგრამები ჯანდაცვასთან დაკავშირებით;*
- ◆ *პროგრამები განათლებასა და ეკონომიკურ გაძლიერებასთან დაკავშირებით;*

პროგრამების შეფასება დევნილებმა განახორციელეს 4 ინდიკატორის მიხედვით:

- ◆ კრიტერიუმებისა და პროცედურების სიცხადე;
- ◆ პროცედურების გავლის სიმარტივე;
- ◆ პროგრამების/სერვისების თანასწორობა და სამართლიანი ხელმისაწვდომობა;
- ◆ სერვისის დაფარვა - რამდენად საკმარისად ფარავს დევნილთა საჭიროებებს.


საერთო ჯამში, თითქმის ყველა თემატური მიმართულებისა და თითქმის ყველა ინდიკატორში, რესპოდენტების თითქმის მესამედი ან მეტი არ ეთანხმება ან საერთოდ არ ეთანხმება, რომ „კრიტერიუმები და პროცედურები მკაფიო და გასაგებია“, „პროცედურები იოლად გასავლელია“, „ხელმისაწვდომობა თანასწორი და სამართლიანია“ და რომ „სერვისი საკმარისად ფარავს ჩვენს საჭიროებებს“. ყველაზე უარყოფითი შეფასება დაფიქსირდა პროგრამების/სერვისების შემდეგ სფეროებში: განსახლება/საცხოვრისი, ჯანდაცვა, და შშმ პირებისთვის განკუთვნილი პროგრამები. ყველაზე პრობლემური აღმოჩნდა განსახლების/საცხოვრისის სერვისებში საჭიროების დაფარვა (არასაკმარისად ფარავს არსებულ საჭიროებებს), ასევე, დევნილების აღქმით, ხელმისაწვდომობა არ არის თანასწორი და სამართლიანი, პროცედურები არ არის იოლად გასავლელი და არც კრიტერიუმები/პროცედურები არ არის საკმარისად მკაფიო და გასაგები. შედარებით უკეთესი შეფასებები დაფიქსირდა ახალგაზრდების განვითარების, ზრდასრულთა პროფესიული განვითარების, ბიზნესის ხელშეწყობისა თუ სოფლის მეურნეობის მიმართულებით.

იმ რესპოდენტთა ჯამური წილი, ვინც უპასუხა „საერთოდ არ ვეთანხმები“ და „არ ვეთანხმები“ (%):

მიმართულება	"კრიტერიუმები და პროცედურები მკაფიო და გასაგებია"	"პროცედურები იოლად გასავლელია"	"ხელმისაწვდომობა თანასწორი და სამართლიანია"	"სერვისი საკმარისად ფარავს ჩვენს საჭიროებებს"
სოციალური დაცვა	32	41	46	52
შშმ პირებისთვის	33	39	43	46
საცხოვრისი	50	57	60	66
ჯანდაცვა	36	42	42	52
ახალგაზრდების განვითარება	29	31	34	42
ზრდასრულთა პროფესიული განვითარება	26	30	29	35
ბიზნესის ხელშეწყობა	32	35	34	40
სოფლის მეურნეობა	31	31	33	39

თავის მხრივ, კითხვაზე, თუ რა სფეროშია პროგრამები ყველაზე პრიორიტეტული დევნილებისთვის, თითქმის ორჯერ მეტი რესპოდენტი უთითებს „განსახლებას“ და „ჯანდაცვას“, რიგითობით მესამე პრიორიტეტთან შედარებით:

### გთხოვთ მიუთითოთ რა მიმართულებითაა პროგრამები ყველაზე პრიორიტეტული



- განსახლება 32%
- განათლება ახალგაზრდებისთვის 16%
- ზრდასრულთა სწავლება 5%
- სხვა 1%
- ჯანდაცვა 27%
- საცხოვრის ინფრასტრუქტურა 15%
- სერვისები ზრდასრული შშმ პირებისთვის 4%

ერთ-ერთი ძირეული პრობლემა სხვადასხვა სერვისის მიწოდებაში, არის პროგრამების/სერვისების მდგრადობის ნაკლებობა: ფაქტობრივად, მუნიციპალიტეტები და დევნილთა საკითხებზე მომუშავე ინსტიტუციები ფუნქციონირებენ, როგორც საქველმოქმედო ფონდები (პროგრამული ბიუჯეტის არც ისე მცირე ნაწილი იხარჯება ერთჯერადი ტიპის დახმარებაზე სხვადასხვა მიმართულებით - ჯანმრთელობის სერვისების/მედიკამენტების საფასურის თანადაფინანსება, საცხოვრებლის შეკეთება, დროებითი ქირა, კომუნალური ხარჯების დაფარვა და სხვა). ერთი მხრივ, ბიუჯეტის ხარჯვის არსებული მიმართულებები პირდაპირ პასუხობს მოსახლეობის საჭიროებებს (მაგ. ჯანდაცვა), და იმ პირობებში, როდესაც ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტი და სუსტი სახელმწიფო სოციალური დაცვის სისტემაა, ფაქტობრივად, გარდაუვალია მსგავს მიმართულებებზე ფინანსური სახსრების მიმართვა. თუმცა, მეორე მხრივ, თუ არ მოხდება სისტემური და მდგრადი მიდგომების ჩამოყალიბება, არსებობს რისკი, რომ მხოლოდ მოკლევადიანი საჭიროებების დაკმაყოფილებით, უარყოფითი გვერდითი ეფექტი მივიღოთ: გაიზარდოს მოსახლეობის დამოკიდებულება ერთჯერად საბიუჯეტო დახმარებაზე. აღნიშნული რისკის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია ერთჯერადი დახმარების პარალელურად მდგრადი მოდელების მოძიება და დანერგვა, რაც სისტემურად და გრძელვადიანად გააძლიერებს დევნილებს და იქნება ორიენტირებული მათი ფინანსური და სოციალური დამოუკიდებლობის ზრდაზე (მაგალითად, GITA-სთან თანამშრომლობით შეიქმნას პროფესიული განვითარების პროგრამა მომვლელი პირების ციფრულ ეკონომიკაში ჩართულობის გასაზრდელად, რათა მარტოხელა მომვლელ პირებს ჰქონდეთ შესაძლებლობა დისტანციურად, სახლის პირობებში დასაქმდნენ).

„ჩვენმა მუნიციპალიტეტმა ჯერ კიდევ წლების წინ თქვა უარი ერთჯერად ფულად გასაცემელზე და ვცდილობთ, რომ პროგრამები გრძელვადიანი იყოს, გაძლიერებაზე ორიენტირებული“.

/ მონაწილე ზუგდიდში გამართული საჯარო მოხელეების ფოკუს ჯგუფიდან /

„დოკუმენტაციას ვამზადებინებთ, რომც არ ჰქონდეთ, ვეხმარებით, რომ ონლაინ მერიას გამოუგზავნონ, კლინიკებს ვუკავშირდებით, ყველა კლინიკის რეესტრი მაქვს ტელეფონში. თანხმობით უგზავნიან მერიას დოკუმენტაციას. გარდა იმისა, რომ მერია უფინანსებს, მერია ეხმარება რეფერალში, თუ ონკოლოგიურებზეა - რამდენიმე სახის დაფინანსება აქვთ, კრიზისში მყოფ ხალხს ვეხმარებით - ან ჩვენ ვაგვარებთ, ან არასამთავრობოები ბევრჯერ შეგვიწუხებია. ვიცით, ვინ რას აგვარებს. ვამისამართებთ, მივყვებით.“

/ მონაწილე ზუგდიდში გამართული საჯარო მოხელეების ფოკუს ჯგუფიდან /

ამავდროულად, მდგრად და გრძელვადიან შედეგზე ორიენტირებული პროგრამების დანერგვის პარალელურად, აუცილებელია საქველმოქმედო საკოორდინაციო სისტემის შემუშავება (რათა ნელ-ნელა გაიმიჯნოს თვითმმართველობისა და საქველმოქმედო ორგანიზაციების საქმიანობა) და უფრო სრულყოფილი სოციალური დაცვის სისტემის ფორმირება სახელმწიფო დონეზე (რაშიც, დევნილების საკითხებზე მომუშავე ინსტიტუციებს შეუძლიათ ღირებული ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი და მიწოდება ცენტრალური ხელისუფლებისათვის რეკომენდაციების სახით, სათანადო რესურსებისა და კვლევის მეთოდებზე გადამზადების ხელმისაწვდომობის პირობებში).

„ერთი ძირითადი პრობლემა ისაა, რომ ერთჯერადი გასაცემლები გვაქვს, რაც ვერ უზრუნველყოფს პრობლემის მოგვარებას - აი, მაგალითად, კომუნალურების დაფინანსება, რომელიც ერთჯერადია და პრობლემას საერთო ჯამში ვერ აღმოფხვრის, თუნდაც ერთჯერადად 300-400 ლარიანი დახმარება არაფერია. მე ვფიქრობ, რომ გრძელვადიან შედეგზე უნდა იყოს გათვლილი პროგრამები და არა მხოლოდ ერთჯერადზე. მწოლიარე მოხუცების შემთხვევაში, მაგალითად. რეალურად, მათ მხარდაჭერ პირებს სჭირდებათ მორგებული პროგრამები, ვინც ვერ დადიან სამსახურში და მუდმივად ოჯახში უვლიან მოხუცს - მათთვის საჭიროა მხარდაჭერა, მათ შორის, შინ მოვლის პროგრამები. კიდევ ერთი კარგი მაგალითი არსებობს - ლიეტუვის დაფინანსებით, მზის პანელის გადახურვები კეთდება, რათა ეკოლოგიურად სუფთა უფასო ელექტროენერჯია მიეწოდოს მოსახლეობას. ეს შეამცირებს ერთჯერადი გასაცემლების ხარჯს კომუნალურ მომსახურებაზე და გრძელვადიან შედეგზე იქნება ორიენტირებული. მსგავსი მიდგომა უფრო სწორი და ეფექტიანია.“

/ მონაწილე თბილისში გამართული საჯარო მოხელეების ფოკუს ჯგუფიდან /

„ვცდილობთ, რომ სოციალური პროგრამები თანხვედრაში იყოს და გადაფარვა არ ხდებოდეს, ან სამედიცინო თანადაფინანსებაში ხდება შევსება - როდესაც პაციენტი დაფინანსებულია სადაზღვეო კომპანიის მიერ, ან რეფერალურით, ან სხვა ნებისმიერი დაზღვევა აქვს, პაციენტის დასაფარი რაც რჩება - 50% ჩვენ ვუფინანსებთ.“

/ მონაწილე წყალტუბოში გამართული საჯარო მოხელეების ფოკუს ჯგუფიდან /

აღსანიშნავია, რომ გამოკვლეულ მუნიციპალიტეტებში, დიდ წილად, პროგრამების დაგეგმვა ეფუძნება თვითდინებით შემოსული განაცხადების მიხედვით საჭიროებების შეფასებას, რაც შესაძლოა არ ასახავდეს ნამდვილ სურათს (განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც სხვადასხვა დაშორებულ დასახლებებს არ ჰყავთ მუნიციპალიტეტთან დაახლოებული და/ან აქტიური წარმომადგენელი ან არ აქვთ წვდომა ინფორმაციაზე).

*„ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში - მოთხოვნა რაზეც იყო, მედიკამენტებზე, ვთქვით, ან უფასო სასადილოში ბენეფიციართა რაოდენობის ზრდა, ეს წინადადებები თავისთავად განხილულ იქნა.“*

*/ მონაწილე წყალტუბოში გამართული საჯარო მოხელეების ფოკუს ჯგუფიდან /*

არ არსებობს სისტემური კოორდინაციის მექანიზმები და პრაქტიკა, დევნილების საკითხებზე მომუშავე სხვადასხვა ინსტიტუციებს შორის - კოორდინაცია და ინფორმირებულობა განსხვავდება იმის მიხედვით, თუ როგორია კონკრეტული საჯარო მოხელის სანაცნობო ქსელი თუ პირადი ინიციატივით აქტიურობა (არ არსებობს ერთიანი მექანიზმი, სტანდარტი ან პრაქტიკა, ეფექტური კოორდინაციისთვის უწყებებს შორის). საჯარო მოხელეებმა ახსენეს, რომ ისურვებდნენ თითოეულ ახალ პროგრამასთან დაკავშირებით, ინფორმაციის ავტომატურად მიღებას/განახლებას რაიმე ფორმით.

*„მუდმივად თვალს ვადევნებ გვერდებს, ვცდილობ გავეცნო, მეგობრები მყავს, ვცდილობ არ მოხდეს გადაფარვა, ვფიქრობ რომ... აი, მაგალითად, მედიკამენტის დახმარების პროგრამა - ვიცით რომ სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამებია, სადაც უზრუნველყოფილია სოც. დაუცველი ოჯახები - კარგია, თუ ავტომატურად მივიღებთ ინფორმაციას პროგრამების განახლების და შემოტანის შესახებ.“*

*/ მონაწილე წყალტუბოში გამართული საჯარო მოხელეების ფოკუს ჯგუფიდან /*

*„მთავარი, რაშიც ყველას ვეთანხმები - კოორდინირებული მუშაობა არ გვაქვს, თითოეული მინუციპალიტეტი ბოლომდე იხარჯება მაგრამ, ურთიერთობის ნაწილში მოვიკოჭლებთ. პროგრამები დუბლირებაშია ზოგჯერ. ასეთი შეხვედრები ამისთვისაა მნიშვნელოვანი, რომ ერთად დავეჯდეთ და დუბლირება არ მოხდეს, ერთობლივი ძალებით უნდა გავაკეთოთ.“*

*/ მონაწილე ზუგდიდში გამართული საჯარო მოხელეების ფოკუს ჯგუფიდან /*

ამავდროულად, ადგილობრივი თვითმმართველობისთვის საკოორდინაციო მექანიზმებთან ერთად, საჭიროა მოქალაქეების განცხადებების დახარისხების სისტემა (იმის მიხედვით, თუ რამდენად სასწრაფოა, ვის ეხება, რა საკითხს ეხება და რა მასშტაბის პრობლემაა - ერთ მოქალაქეს ეხება თუ მოქალაქეთა ჯგუფს), რათა უფრო სწრაფად და ეფექტურად მოხდეს საჭიროებებზე რეაგირება და თვითმმართველობის წარმომადგენლებისათვის უფრო მარტივი იყოს საქმიანობა. პარალელურად, აუცილებელია მოსახლეობის ცნობიერების ზრდა იმის თაობაზე, თუ რომელ ინსტიტუციას/ორგანიზაციას რა მანდატი/ვალდებულებები გააჩნია



კანონმდებლობით, რათა უფრო მეტად მოწესრიგდეს განცხადებების ნაკადი და მათი მართვა.

*„ყოველდღე 200-300 შეტყობინებას ვიღებ, ტელეფონით თუ სმს-ით, რისი მოგვარებაც შეიძლება, ისე ვაგვარებთ, რაც ვერა ისე გავდივართ. დღის მეორე ნახევარში ვხვდები მოქალაქეებს. ხშირად მოდის სხვა სოფლებიც, მიცნობენ და სხვა სიტუაციაა. შევჭამეთ, მაგრამ ყველა განყოფილების უფროსს ვუკავშირდებით. ჯანმრთელობის ხარჯზე ვახერხებ 300 სმს-ის წაკითხვას, უძილობით ცუდად გავხდები. მოდიან განყოფილების უფროსები და უგვარებენ.“*

*/ მონაწილე ზუგდიდში გამართული საჯარო მოხელეების ფოკუს ჯგუფიდან /*

**დევნილთა 45-ლარიანი დახმარება და სოციალური დაცვა:** უკვე არაერთი წელია დევნილთა 45 ლარიან დახმარებასთან დაკავშირებით რეფორმის განხორციელება იგეგმება, თუმცა რა სახით განხორციელდება ცვლილებები, რა თქმა უნდა, ფართო მსჯელობის საგანი უნდა იყოს.


პირველ რიგში, მნიშვნელოვანია მოხდეს დევნილთა საჭიროებების შესწავლა და მათი მოსაზრებების იდენტიფიცირება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. შესაბამისად, ფოკუს ჯგუფების მსვლელობისას და რაოდენობრივ კითხვარში 45 ლარიან დახმარებას ცალკე ადგილი დაეთმო.

მიუხედავად არაერთი მცდელობისა, დღემდე ვერ განხორციელდა დაწყებული “რეფორმის” ბოლომდე მიყვანა. სამწუხაროდ, ვერ გამოვლინდა ის ობიექტური კრიტერიუმები, რომლებიც რეფორმის შემთხვევაში დევნილის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას არ გააუარესებდა და არ შელახავდა მის უფლებებს.

45 ლარიანი დახმარების , სტატუსიდან საჭიროებაზე გადასვლის მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს მიდგომა, რომლის თანახმადაც დევნილის შემწეობის გაცემა დაკავშირებულ იქნა ყოველთვიურ შემოსავალთან, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1250 ლარს.

დევნილთა სააგენტოდან გამოთხოვილ ინფორმაციაზე დაყრდნობით , 2022 წლის დეკემბრის მონაცემებით 23 919 დევნილს არ ეძლეოდა 45 ლარიანი დახმარება 1250 ლარზე ზემოთ შემოსავლის ქონის მიზეზით. 2021 წლის დეკემბრის მონაცემებით, მსგავსი დევნილების რიცხვი 19 008 იყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს მაჩვენებელი ცვალებადია თვეების მიხედვით.

იმ დევნილების რაოდენობა წლების მიხედვით, რომელსაც 45 ლარიანი დახმარება არ ეძლეოდა 1250 ლარზე ზემოთ შემოსავლის ქონის მიზეზით




ამ ცვლილებამ პირველივე დღიდან გამოიწვია არაერთგვაროვანი დამოკიდებულება როგორც თვით დევნილებში, ასევე სხვადასხვა არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციებში. სახელმწიფომ ვერ განმარტა, თუ რა დაედო საფუძვლად 1250 ლარის ზღვრულ დონედ განსაზღვრას, როგორც განვლილმა წლებმა აჩვენა, არც დიდი საბიუჯეტო დანაზოგის ეფექტი ჰქონია მსგავს შეზღუდვას და ცვლილებამ დევნილთა მხრიდან ძირითადად უარყოფითი გამოხმაურება გამოიწვია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სანაცვლოდ დევნილებისთვის სხვა ალტერნატიული პროგრამები არ ყოფილა შეთავაზებული.

დევნილებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფების შედეგად კვლავინდებურად გამოიკვეთა რეფორმის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება. თუმცა აქვე ხაზგასასმელია, რომ დევნილები ისურვებდნენ მეტი ამომწურავი ინფორმაციის მიღებას და მათი მონაწილეობით მსჯელობას 45 ლარიანი დახმარების რეფორმის საკითხთან დაკავშირებით.

რაოდენობრივი კვლევის რამდენიმე კითხვა ასევე შეეხო დევნილთა 45-ლარიან დახმარებასთან დაკავშირებული ცვლილებების ინიციატივას.

**შედეგად:** რესპოდენტების 65% თვლის, რომ „45-ლარიანი დახმარება არის სტატუსის სიმბოლო, დაკავშირებული დაბრუნების იმედთან და ნიშანი, რომ სახელმწიფოს კვლავ ვახსოვართ“. 32% თვლის, რომ „45-ლარიანი დახმარება არის მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება ჩვენთვის“. პასუხების ღია ველში, რამდენიმე დევნილი უთითებს, რომ 45-ლარიანი დახმარება მათ შიმშილისგან დაცულობასთან და საერთო იმედთან არის დაკავშირებული. ის ნაწილი ვინც „სხვა“-ში თავად მიუთითა თავისუფალი კომენტარი, თვლის, რომ 45-ლარიანი დახმარება იმდენად მცირეა, რომ ღირსების შელახვის ტოლფასია დევნილებისათვის და საჭიროა მისი გაზრდა.


### რას ნიშნავს თქვენთვის 45 ლარიანი ფულადი დახმარება?



რესპოდენტების 76% თვლის, რომ დევნილთა დახმარება გასაზრდელია, 15% მიიჩნევს რომ ის უნდა ჩანაცვლდეს სხვა, საჭიროებებზე მორგებული, ინდივიდუალური პროგრამებით. ამდენად, საერთო ჯამში, დაუშვებელია დევნილთა 45-ლარიანი დახმარების შემცირება/გაუქმება დევნილთა საჭიროებების სიღრმისეული შესწავლისა და მათთან მჭიდრო, ფართო დიალოგის გარეშე.

ფოკუს ჯგუფების დისკუსიების დროს დევნილები ხშირად ახსენებდნენ, რომ 45-ლარიანი დახმარების განსაზღვრა ინდივიდუალური შემოსავლის მიხედვით (თვეში 1250 ლარზე ნაკლები შემოსავლის მქონე პირებისთვის) არასწორია, რადგანაც, შესაძლოა, საჭიროებების მხრივ, განსხვავებული მდგომარეობა იყოს (კონკრეტული დევნილის შემოსავალზე შესაძლოა მეტი ადამიანი იყოს დამოკიდებული, განსახლების მხრივ, შესაძლოა უფრო მძიმე ვითარება იყოს, და ა.შ.).

როგორ შეიძლება განხორციელდეს 45 ლარიანი დახმარების ცვლილება?




გასულ წლებში გავრცელებული მოსაზრებით, დევნილები უნდა იყვნენ ერთიანი სოციალური დაცვის სისტემის შემადგენელი ნაწილი და შესაბამისად უნდა განხორციელდეს დევნილი ოჯახების შეფასება, რის შემდეგაც გამოიკვეთება სოციალურად დაუცველი დევნილი ოჯახები და მათ, შესაძლოა, საერთო წესის შესაბამისად მიეცეთ მიზნობრივი სოციალური დახმარების პაკეტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე დევნილებს ვკითხეთ მიუმართავთ თუ არა სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის შეფასებისა და სოციალურად დაუცველის სტატუსის მისაღებად.

**პასუხები** გადანაწილდა შემდეგი სახით:


მივმართავთ თუ არა სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის შეფასებისა და სოციალურად დაუცველის სტატუსის მისაღებად?



■ არა, არ მიმმართავს 45% ■ დიახ, მივმართე და უარი მივიღე 33% ■ დიახ, მივმართე და სტატუსი მივიღე 22%

**კითხვა: თქვენი აზრით რამდენად ობიექტურად ხდება სოციალურად დაუცველობის სტატუსის მინიჭება?**

თქვენი აზრით რამდენად ობიექტურად ხდება სოციალურად დაუცველობის სტატუსის მინიჭება?



სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ გვერდზე განთავსებულ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით 2023 წლის სექტემბრის თვის მონაცემებით ბაზაში რეგისტრირებული დევნილთა რაოდენობა 83 506 ია (31089 ოჯახი), რომელთა შორის შემწეობის მიმღებია 50 297 დევნილი . 2023 წლის იანვარში იმავე სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით ბაზაში რეგისტრირებული იყო 82364 დევნილი (30873 ოჯახი), მათგან დახმარების მიმღები იყო 49 945 დევნილი.

აღნიშნული მონაცემები მიუთითებს, რომ დევნილთა მოწყვლადობა ჯერ კიდევ მაღალია, მზარდია სოციალურად დაუცველთა რიცხვი, რაც კიდევ ერთხელ ამყარებს კვლევის მიგნებას, რომ დევნილების სრულფასოვანი ინტეგრაცია და სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება 30 წლის შემდეგაც არ განხორციელებულა, და ისინი აუცილებლად საჭიროებენ მხარდაჭერას.

რესპოდენტების აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ დაუშვებელია დევნილის დაყენება არჩევანის წინაშე - დევნილთა შემწეობას მიანიჭოს უპირატესობა, თუ სოციალურად დაუცველობის სტატუსს.

*„არჩევანის წინაშე არ უნდა იყოს - დევნილი თუ სოციალური - დილემის წინაშე არ უნდა დააყენო დევნილი, რომ აირჩიოს ერთ-ერთი“*  
*/ მონაწილე თეთრიწყაროში გამართული დევნილთა ფოკუს ჯგუფიდან /*

*„ვინც მარტოხელაა - სოციალური შემწეობა ან დევნილთა დახმარება 45 ლარი და პენსია აქვთ მხოლოდ. ამით ყიდულობენ ყველაფერს.“*  
*/ მონაწილე წყალტუბოში გამართული დევნილთა ფოკუს ჯგუფიდან /*

კვლევის პროცესში ასევე გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტებს შორის სხვაობა და სერვისების მოცულობის/ხელმისაწვდომობის ასიმეტრიულობა იწვევს მიგრაციას მუნიციპალიტეტებს შორის - მოსახლეობა ცდილობს იმ მუნიციპალიტეტში რეგისტრაციას, სადაც უფრო მოცულობითი სოციალური პროგრამებია, რაც იწვევს ქალაქების/დასახლებების ხელოვნურ ზრდას და ხელოვნურ მიგრაციას, რაც შესაძლოა, არ იყოს თანხვედრაში მოსახლეობის რეალურ საჭიროებებთან.

გამოწვევად გამოვლინდა ასევე სამიზნე მუნიციპალიტეტებში ( ზუგდიდი, ფოთი, წყალტუბო, გორი თეთრიწყარო) დევნილთა გაზრდილი რაოდენობის ფონზე - მუნიციპალური ბიუჯეტის არა შესაბამისი ზრდა , რაც მუნიციპალიტეტების ტკივილად აღიქმება, მაგრამ ზეგავლენის ბერკეტი ნაკლებად აქვთ.

### **შშმ პირებისთვის განკუთვნილი პროგრამები**

ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური მიმართულებაა პროგრამების ხელმისაწვდომობა შშმ პირებისთვის: რესპოდენტთა 38% უთითებს, რომ მზრუნველობის სერვისები (დღის ცენტრები და/ან შინ მოვლის ცენტრები) შშმ პირებისთვის „საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი“, ხოლო 19% უთითებს რომ „რთულად ხელმისაწვდომია“. ამავდროულად, შშმ პირებისთვის განკუთვნილი პროგრამები შეზღუდულია ასაკობრივად: თითქმის ყველა არსებული პროგრამა ხელმისაწვდომია 18 წლამდე ასაკის ბავშვებისა და მოზარდებისთვის, თუმცა, არ არსებობს ან/და არასაკმარისია სერვისები და პროგრამები 18 წელს გადაცილებული შშმ პირებისთვის, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან დაბრკოლებას მათთვის და მათზე მზრუნველი პირებისთვის.

*„სანამ გავარკვეით, სად შეიძლებოდა ეს სერვისი მიგველო, გავიდა დრო - უფრო ადრე რომ მიგვესწრო, გაივლიდა რეაბილიტაციას და დღეს შეძლებდა დამოუკიდებლად გადაადგილებას.“*

*/ მონაწილე თეთრიწყაროში გამართული დევნილთა ფოკუს ჯგუფიდან /*

*მოთხოვნა შშმ პირების მშობლებისგან - ვინც 18 წელზე მეტისაა - 18-მდე აქვს სახელწმიფოს აბილიტაცია-რეაბილიტაცია, მაგრამ უფროსები ჩაკეტილები არიან, არ აქვთ შესაძლებლობა რამე გააკეთონ - სამეწარმეო, შემსწავლელი კურსები, ან თუნდაც დასაქმება.“*

*/ მონაწილე ზუგდიდში გამართული დევნილთა ფოკუს ჯგუფიდან /*

## **2.4. ინფრასტრუქტურა**

### **2.4.1. დევნილთა დასახლებები: უსაფრთხოება და ღირსეული საცხოვრისის სტანდარტებთან შესაბამისობა**

ერთ-ერთი ძირეული პრობლემა დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში (როგორც უკვე პრივატიზებულ, ასევე დაურეგისტრირებელ ფართებში) არის სხვადასხვა სახის უსაფრთხოების საკითხები და შენობის მინიმალურ სტანდარტებთან შეუსაბამობა. უსაფრთხოების მხრივ, სხვადასხვა შეხვედრაზე დასახელდა ბევრი პრობლემა - მათ შორის, მრავალი თვის განმავლობაში გახეთქილი კანალიზაცია, რომელიც ქმნის დაავადებების გავრცელების საფრთხეს, სახანძრო უსაფრთხოების სისტემების არარსებობა, ასევე, მრავალჯერ დასახელდა თავად შენობის კონსტრუქციული სიმყარე, ხოლო რიგ დასახლებებში (განსაკუთრებით ფოთში) - ადგილობრივ კლიმატთან შეუსაბამობა და მაღალი ნესტიანობის პირობებისთვის შეუფერებელი მშენებლობის ხარისხი.

*„კანალიზაციის პრობლემა დიდი ხანია- ორი თვეა კანალიზაცია გახეთქილია, დიდი საფრთხეა ბავშვების დაავადების. ერთჯერადად გაწმინდეს, წავიდნენ - ვის მივმართო? ადგილობრივი მუნიციპალიტეტი ქურთაზე ამისამართებს - ყველა უნდა ჩაერთოს? თიღვა, ერედვიც? იქ ხომ ყველანი ერთად ვცხოვრობთ?!*

*/ მონაწილე გორში გამართული დევნილთა ფოკუს ჯგუფიდან /*

*ჩასახლების დღიდან ითხოვს მოსახლეობა - გადმოგვეცით კერძო საკუთრებაში საერთო ფართები, მიწის ნაკვეთს ვგულისხმობ. ზოგმა ხილი ჩარგო, და ა.შ. ვის მივმართოთ და რა უნდა გაკეთდეს ამისთვის? “*

*/ მონაწილე ზუგდიდში გამართული დევნილთა ფოკუს ჯგუფიდან /*

*„სახანძრო უსაფრთხოება არ არის დაცული - სათადარიგო კიბე ან რამე გადაკეტილია, წყლის ჩასაქრობი არაა. შანსი , ვინმე გადარჩეს კვამლით რომ გაივსოს.“*

*/ მონაწილე წყალტუბოში გამართული დევნილთა ფოკუს ჯგუფიდან /*

*„ავადმყოფი წევს ცინკარებს შორის - ორი მხრიდან წყალი შემოდის, ჭაღს ვერ ვანთებ, პირდაპირ მანდ ჩამოდის.“*

*/ მონაწილე წყალტუბოში გამართული დევნილთა ფოკუს ჯგუფიდან /*

უსაფრთხოდ მიიჩნევენ კორპუსების მიმდებარე გარემოს დევნილები სხვადასხვა მუნიციპალიტეტში. მაგ. ფოთში მშვიდობის ქუჩა "აიეტის" დევნილთა დასახლების ტერიტორიაზე დევნილები წლებია ითხოვენ ნგრევადი შენობის დემონტაჟს, რათა საფრთხე არ შექმნას ეზოში მყოფ ბავშვებს, მოზარდებს. თუმცა შენობა კერძო მესაკუთრეს ეკუთვნის და ვერ ხერხდება საკითხის მოკლე დროში გადაჭრა.

შედარებისთვის, მონაცემები დაჯგუფებულია დასახლების ტიპის მიხედვით: კერძო სექტორში მცხოვრები (რომელიც მოიცავს საკუთარი სახსრებით შეძენილ საცხოვრებელს და ქირით/ნათესავთან მაცხოვრებლებს), სახელმწიფოს მიერ გადმოცემულ პრივატიზებულ საცხოვრებელში მცხოვრები დევნილები და დევნილთა კოლექტიურ დასახლებაში მცხოვრები დევნილები. თითოეული ტიპის დასახლებაში საცხოვრებლის ხარისხი შეფასდა 17 კატეგორიის მიხედვით. საშუალოდ, ყველა კატეგორიაში, ჯამურად „მალიან ცუდი“ და „ცუდი“ მდგომარეობით, კერძო სექტორში 11% აფასებს საცხოვრებელს, სახელმწიფოს მიერ გადაცემულ პრივატიზებულ საცხოვრებელში - 48%, ხოლო კომპაქტურ არაპრივატიზებულ ( განსასახლებელი) დასახლებაში - 41%, რაც ადასტურებს ფოკუს ჯგუფების დროს გაჟღერებულ მოსაზრებას, რომ სახელმწიფოს მიერ გადაცემულ პრივატიზებულ სექტორში, ყველაზე მძიმე მდგომარეობაა, რასაც მოსდევს კომპაქტური დასახლებები.

სამივე სექტორში ინფრასტრუქტურული კუთხით ყველაზე მწვავე პრობლემებს შორისაა (რესპოდენტებს შეეძლოთ ერთდროულად მოენიშნათ რამდენიმე პასუხი):



**კანალიზაცია, 56%**



**შენობის ადგილობრივ კლიმატთან შეუსაბამობა/ნესტიანობა, 51%**



ლიფტების გაუმართავი მდგომარეობა 51%



შშმ პირებზე ადაპტირება 69%



სადრენაჟო / წყალსადინრების სისტემა 64%



მიუსაფარი ძაღლები 88%



კრიმინალი 35 %

დამატებით, კოლექტიურ (მათ შორის ძველ კოლექტიურ და ამჟამად პრივატიზებულ) დასახლებებში განსაკუთრებით პრობლემურია შენობის გადახურვა (43%), სასმელი წყალი (46%), შენობის სიმყარე (45%), ასევე შენობის მიმდებარე ტერიტორია და მისი უსაფრთხოება (51%).

*„დეცენტრალიზაცია აქ ძალიან მნიშვნელოვანია - ცენტრალური განაგებს, გავიგეთ, მაგრამ ბიუჯეტი უნდა იყოს დევნილებისთვისაც - დევნილთა სამინისტრო აღარაა, სსიპს აღარ აქვს ხშირად საშუალება გაუკეთოს დევნილებს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული რეაბილიტაციის პროგრამები- და პრივატიზება არ ნიშნავს, რომ დევნილები გაძლიერდნენ - სახურავიც და ყველაფერი გასაკეთებელია. მუნიციპალიტეტს უნდა ჰქონდეს თანხები, რომ გააკეთოს რაღაცა - რამდენი შეიძლება ერედვს ვთხოვოთ. საერთო ფართები საერთოდ არაა გადაცემული - არც იცის ბევრმა.“*

*/ მონაწილე თეორიისწარმოში გამართული დევნილთა ფოკუს ჯგუფიდან /*

*„გავაუღერებ წუხილს დევნილთა ხშირი შეხვედრებიდან - გრძელვადიანი განსახლების საკითხი. ჯერ ერთი, პრობლემა დაუსრულებელია და მეორე - კონტროლის მექანიზმი არაერთხელ გაუღერდა - ახალ გადაცემული ბინები რატომაა სარემონტო ისევ? საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა ერთხელ უკვე გაკეთებულ ბინებზე, ერთი წლის გადახურულში, კანალიზაციის მილი, სახურავი, რატომ ფუჭდება ერთ წელში ისევ? ამაზე იხარჯება ჩვენი თანხა, ამაზე კონტროლის მექანიზმი, შეფასებაა საჭირო! ეს არის ყველაზე მწვავე საკითხი.. რა უნდა ქნა? ითხოვს, 2 წლის გადაცემულიც არაა და უკვე წყალი ჩადის და 60'000 ჯდება გადახურვა.“*


*/ მონაწილე წყალტუბოში გამართული დევნილთა ფოკუს ჯგუფიდან /*

## 2.4.2. ტრანსპორტი: მობილობა, როგორც უფლებების რეალიზების მექანიზმი

ფინანსურად და გეოგრაფიულად ხელმისაწვდომი, რეგულარული და უსაფრთხო ტრანსპორტი მობილობის ერთადერთი მექანიზმია ისეთ დასახლებებში, როგორცაა დევნილთა კოლექტიური დასახლებები და ცენტრებიდან დაშორებული სოფლები, განსაკუთრებით მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში, როდესაც კერძო ტრანსპორტი არ არის ხელმისაწვდომი (არც ეფექტიანი, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით). მობილობა - ადამიანის უნივერსალური უფლებების განხორციელების ძირეული წინაპირობაა და პირდაპირ გავლენას ახდენს ისეთი უფლებების რეალიზებაზე, როგორცაა განათლება, დასაქმება, ჯანდაცვა, პირადი განვითარება, ინფორმაციის მიღება, უსაფრთხოება, საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობა და სხვა. თუმცა, წინამდებარე კვლევის როგორც ხარისხობრივ, ისე რაოდენობრივ ნაწილებში გამოიკვეთა არასათანადო წვდომა საზოგადოებრივ ტრანსპორტზე, რაც საგრძნობლად უზღუდავს დევნილებს წვდომას საბაზო სერვისებზე, რაც შეიძლება მივიჩნიოთ ირიბი ფორმის დისკრიმინაციად და ძირითადი უფლებების დარღვევად (სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა შექმნას ხელშემწყობი გარემო ადამიანის უნივერსალური უფლებების განხორციელებისთვის, რაშიც მობილობა ერთ-ერთი საბაზო წინაპირობაა). წინამდებარე კვლევის რესპოდენტთა მეოთხედი (26.5%) მიუთითებს, რომ საჯარო ტრანსპორტი მათ სახლთან ხელმისაწვდომია „ძალიან იშვიათად“ ან „საერთოდ არ არის“.

- ◆ სისტემატიურად და დროულად 140
- ◆ მეტნაკლებად სისტემატიურად 86
- ◆ საშუალოდ სისტემატიურად 68
- ◆ ძალიან იშვიათად 54
- ◆ საერთოდ არ არის 52

რამდენად სისტემატიურად და დროულად არის ხელმისაწვდომი საჯარო ტრანსპორტი თქვენს საცხოვრებელთან?



სხვადასხვა ტიპის დასახლებაში, დევნილები ახსენებენ, რომ ნაკლებად ხელმისაწვდომია საზოგადოებრივი ტრანსპორტი (თეთრიწყარო, გორი, წყალტუბო), ხოლო კერძო მიკროავტობუსები თვითნებურად აწესებენ ტარიფებს. აღსანიშნავია, რომ რესპოდენტების 82% შემოსავლის 20%-მდე ხარჯავს ტრანსპორტირებაში, 15% - შემოსავლის 21-დან 40%-მდე, ხოლო 3% - შემოსავლის 51-დან 90%-მდე. ამავდროულად, კითხვაზე „ბოლო ორი წლის განმავლობაში, ჩამოთვლილთაგან,



რომელი ვერ შეიძინეთ/ვერ ისარგებლეთ, არასაკმარისი სახსრების გამო?“ – რესპოდენტების 16%-მა უპასუხა „ტრანსპორტი“, ხოლო 4%-ს ბოლო ორი წლის განმავლობაში ტრანსპორტისთვის დასჭირდა თანხის სესხება. საერთო ჯამში, აღნიშნული მიუთითებს დევნილი მოსახლეობის „სატრანსპორტო სიღარიბეზე“<sup>45</sup>. ამავდროულად, კერძო ტრანსპორტი არ არის რეგულარული და გათვლადი, რაც შეუძლებელს ხდის, მოსახლეობამ დაგეგმოს ნებისმიერი მიზნით მგზავრობა (ჯანდაცვა, პროფესიული განვითარება, დასაქმება, და ა.შ.). გარკვეულ დასახლებებში, ტრანსპორტი ემსახურება სკოლის მოსწავლეებს, თუმცა ნებისმიერი სხვა მიზნით, ტრანსპორტი მაინც არ არის ხელმისაწვდომი (რაც განსაკუთრებით პრობლემურია, დაშორებულ დასახლებებში, მაგალითად, ერგნეთში, სადაც ადგილზე თითქმის არ არსებობს საჯარო სერვისები და საბაზო სოციალური ობიექტები).

*„მუნიციპალური ტრანსპორტი რომ იყოს მასწავლებლებისთვის კარგი იქნებოდა. დღეში 5 ლარი ჯდება მგზავრობა. ხელფასი რა გაქვს, რომ გეყოს? კერძოები არიან მხოლოდ. მასწავლებლები რაიონებში ვართ დასაქმებული. ტრანსპორტი გინდა სტუდენტებისთვისაც. შარშან ბავშვი სწავლობდა ყოველდღე, იტანჯებოდა, ფეხიც გაყინული ჰქონდა. შეიძლება 1 საათი უნდა ისწავლოს და მთელი დღე ელოდება ტრანსპორტს ან 10 ლარი უნდა დახარჯო უშლის ხელს მაგრად, ბევრი ბავშვია, ვინც ამის გამო ვერ იღებს მონაწილეობას სწავლა-განათლებაში.“*

*/ მონაწილე გორში გამართული დევნილთა ფოკუს ჯგუფიდან /*

*„ერგნეთში 80% დევნილია და არაფერია - თონე, აფთიაქი, არაფერი - კვირაში ერთხელ ექიმი თუ ამოვა. ტრანსპორტი გავსებაზეა - გორში თუ არ აივსო არ ამოდის. შაბათ კვირას ისედაც არ დადის“.*

*/ მონაწილე გორში გამართული დევნილთა ფოკუს ჯგუფიდან /*

*„სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პრიორიტეტად მიგვაჩნია ტრანსპორტი და გზა - ვთქვათ ოპერაცია, მედიკამენტი გჭირდება. გზა არ არის, სასწრაფო ვერ მოვა, ამ ეტაპზე გზას განვიხილავთ პრიორიტეტად, საავადმყოფო არ არის, ბალი არ არის, სოფელში მომართვიანობაა მაღალი“.*

*/ მონაწილე წყალტუბოში გამართული დევნილთა ფოკუს ჯგუფიდან /*

ტრანსპორტზე მსჯელობისას თეთრიწყაროს დევნილთა ფოკუს ჯგუფში აღინიშნა, რომ არც კოდის დევნილთა დასახლებებიდან არც სოფელ წინწყაროდან ტრანსპორტი არ არის მორგებული მოსახლეობის საჭიროებებს. განსაკუთრებით გაუარესდა მობილობის კუთხით მდგომარეობა კოდის დევნილთა ჩასახლებაში, სადაც ადრე ხელმისაწვდომი იყო კერძო მიკროავტობუსები, რომლებმაც მგზავრობა გადაყვანა შეწყვიტეს.

45. „სატრანსპორტო სიღარიბე და მისი საზიანო გავლენა სოციალურ მდგომარეობაზე“ - ლუკას კარენი, მატეოლი გიულიო, ვერლინგიერი ერსილია. და გუზმანი ალვარო, 2016 Leeds უნივერსიტეტის გამოცემა, [იხ. სრულად](#) ინგლისურად;

*„ჩვენთან უამრავი სტუდენტი ცხოვრობს. არიან თბილისში დასაქმებული ადამიანები, რომლებსაც ყოველდღიურად უწევთ გადაადგილება. მაგრამ ტრანსპორტი აღარ დადის, რაც გვირთულებს გადაადგილებას“.*

*/ მონაწილე თეთრიწყაროში გამართული დევნილთა ფოკუს ჯგუფიდან /*

### 2.4.3. საცხოვრისის უფლება

#### საცხოვრისის უფლების მიმოხილვა საერთაშორისო სამართალში

იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილთა) უფლებების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, სახელმწიფოები ვალდებული არიან მიიღონ ყველა შესაძლო ზომა „შესაბამისი საცხოვრისის“ უზრუნველსაყოფად, ხოლო შესაბამისობა განისაზღვრება არსებული ვითარებიდან გამომდინარე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების თანახმად, „საცხოვრისი“ მიჩნეულია „სამართლებრივად დაცული ინტერესის სფეროდ“. ამდენად, საქმეში ჯეიმს და სხვები დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ „თანამედროვე საზოგადოებაში საცხოვრისი მიიჩნევა ძირეულ სოციალურ საჭიროებად, რისი რეგულირებაც არ შეიძლება მივანდოთ საბაზრო ძალებს“, როდესაც საქმე ეხება ისედაც მოწყვლად ჯგუფებს, როგორცაა დევნილები<sup>46</sup>.

ამავდროულად, ხელმისაწვდომობა „ადეკვატურ საცხოვრებელზე“ პირველად განისაზღვრა ადამიანის უფლებათა უნივერსალურ დეკლარაციაში, სადაც ნახსენებია, რომ „ყველა ადამიანს აქვს უფლება, ჰქონდეს ისეთი ცხოვრების სტანდარტი, რომელიც შესაფერისია ადამიანის და მისი ოჯახის ჯანმრთელობის, კეთილდღეობისთვის, რაც მოიცავს მათ შორის, ხელმისაწვდომობას საკვებზე, სამოსზე, საცხოვრებელზე, სამედიცინო და სოციალურ დახმარებაზე, უმუშევრობის შემთხვევაში სოციალურ დაცვაზე; ავადობის, შეზღუდული შესაძლებლობის, ქვრივობის, ასაკის ან სხვა გარემოებებში დაცვაზე“<sup>47</sup>. საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ (მუხლი 11/1) ასევე განმარტავს, რომ „სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას, ჰქონდეთ ადეკვატური საცხოვრებელი სტანდარტი საკუთარი თავისა და ოჯახის წევრებისთვის, რაც მოიცავს წვდომას ადეკვატურ კვებაზე, სამოსსა და საცხოვრისზე, ასევე მუდმივ შესაძლებლობაზე გაიუმჯობესონ საცხოვრებელი მდგომარეობა.“ საქართველო ორივე მექანიზმის ხელმომწერია, შესაბამისად, ორივეს გააჩნია სამართლებრივი ძალა საქართველოში მცხოვრები დევნილებისთვის<sup>48</sup>.

46. იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვა: სახელმძღვანელო ეროვნული უფლებადამცველი ინსტიტუციების; UNCHR, UN Human Rights Special Rapporteurs, GANHRI, UNDP, 2021.

47. მუხლი 25/1 ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაციიდან

48. გვერდი 15 <https://gyla.ge/files/news/gamocemebi2012-2013/IDP%27s%20right%20to%20adequate%20housing.pdf>

აღსანიშნავია ასევე, რომ 1991 წელს, გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტმა გამოსცა ოთხი ძირითადი კომენტარი, სადაც დაზუსტებულია პაქტის მე-11/1 მუხლით გათვალისწინებული „ადეკვატური საცხოვრისის“ სტანდარტები. კერძოდ, კომიტეტი განმარტავს, რომ არსებობს განსხვავება „საცხოვრისსა“ და „ადეკვატურ საცხოვრისს“ შორის, კერძოდ, კომიტეტი მიიჩნევს, რომ დაუშვებელია საცხოვრისის უფლების ვიწროდ განმარტება, და აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ საცხოვრისის უფლება არ მოიცავს მხოლოდ „ჭერსა და ოთხ კედელს“, არამედ გულისხმობს სხვადასხვა კრიტერიუმის ერთობლიობას, როგორცაა:

- ◆ სამართლებრივი სიცხადე (დევნილი უნდა იყოს დარწმუნებული საცხოვრისის სტაბილურ ფლობაში/საკუთრებაში, რათა სტაბილურად განავითაროს საკუთარი ცხოვრება არსებულ საცხოვრისში);
- ◆ პირადი სივრცის დაცულობა;
- ◆ ადეკვატური ზომა ოჯახის ყველა წევრისთვის;
- ◆ შესაბამისი დაცულობა;
- ◆ ადეკვატური განათება;
- ◆ ადეკვატური განიავება;
- ◆ ადეკვატური საბაზო ინფრასტრუქტურა;
- ◆ საცხოვრებელი ვარგისი უნდა იყოს (არ უნდა იყოს რაიმე ხელისშემშლელი გარემოება, როგორცაა სინესტე, ან სხვა საზიანო გარემოებები);
- ◆ ადეკვატური ლოკაცია (ხელმისაწვდომობა ძირითად გარე ინფრასტრუქტურაზე, სოციალურ სერვისებთან, დასაქმების ადგილებთან, და ა.შ.);
- ◆ კულტურული ადეკვატურობა - საცხოვრებელი უნდა შეესაბამებოდეს ძირეულ კულტურულ ნორმებს (მათ შორის, ადამიანის ღირსების შესაბამისი პირობების არსებობა).

ამავდროულად, საქმეში საღინამე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა საცხოვრისის სამართლებრივ მნიშვნელობაზე და მიუთითა, რომ დევნილები დაცული უნდა იყვნენ იძულებით გამოსახლებისგან. სასამართლომ მიუთითა, რომ „დაუშვებელია დევნილის გამოსახლება მისი ნების საწინააღმდეგოდ ისე, რომ არ იყოს შეთავაზებული მსგავსი ალტერნატიული საცხოვრისი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია.“

თავის მხრივ, საქმეში მ.ს.ს. ბელგიისა და საბერძნეთის წინააღმდეგ, მოსარჩელე ლტოლვილი აღმოჩნდა უსახლკაროდ, ყოველგვარი რესურსებისა და საბაზო პირობების გარეშე. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ამ პირობებმა გამოიწვია „შიშის, ძლიერი ტანჯვისა და არასრულფასოვნების განცდა, რაც იწვევს სასოწარკვეთილებას, შესაბამისად, მართალია ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლი პირდაპირ ვერ იქნება გამოყენებული, რათა სახელმწიფოს დაავალდებულოს განმცხადებლისთვის შესაბამისი პირობების შექმნა, თუმცა, განმცხადებლის ამ მდგომარეობაში გახანგრძლივებულად ყოფნითა და სახელმწიფოების უმოქმედობით დგინდება მე-3 მუხლის დარღვევა“, რაც გამოიხატება ღირსების შემლახავ, არაადამიანურ მოპყრობასა და წამებაში.

შესაბამისად, მე-3 მუხლის დარღვევიდან გამომდინარე, ირიბად დგინდება შესაბამისი საცხოვრისის შექმნის ვალდებულება. ამავდროულად, სასამართლო პრაქტიკა აჩვენებს, რომ თუ სოციალური დახმარება ან პენსია მიჩნეულია „არასაკმარისად“, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით შესაძლოა დადგინდეს კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული წამება და/ან არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა<sup>49</sup>.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ანგარიშში (#13507) „დევნილთა და ლტოლვილთა შეუსაბამო კოლექტიური ცენტრების ალტერნატივები ევროპაში“ განმარტებულია, რომ საქართველოსა და ბალკანეთში 1990 წელს შექმნილი დროებითი კოლექტიური ცენტრები შეუსაბამოა დევნილთა საბაზო უფლებებთან, მათ შორის, ევროპის სოციალური ქარტიის 31-ე მუხლთან („შესაბამისი საცხოვრისის უფლება“). ქარტიის 31-ე მუხლით, სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, განახორციელონ ზომები, რათა ხელი შეუწყონ „ხელმისაწვდომობას ადეკვატური სტანდარტის საცხოვრისზე; შეამცირონ უსახლკარობა; მათთვის, ვისაც არ აქვს შესაბამისი რესურსი, ხელმისაწვდომი გახადონ საცხოვრისზე წვდომა.“ თავის მხრივ, შესაბამისი საცხოვრისზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა მნიშვნელოვანი ბარიერია „დევნილებისთვის გრძელვადიანი გამოსავლის“ ძიებაში და გავლენას ახდენს სხვა უფლებების რეალიზებაზე.

სამიზნე მუნიციპალიტეტებში განსახლებასა და საცხოვრისის უფლებაზე ფოკუს ჯგუფებში მსჯელობისას აღინიშნა, რომ სააგენტო განსახლების პროცესს უნდა გეგმავდეს დევნილთა ინტერესებიდან გამომდინარე.

*„მე რომ წლები წყალტუბოში ვიცხოვრე, ავად თუ კარგად ხომ ვიცხოვრე, იქაურობას შევეგუე, დავსაქმდი, მერე კი ფოთში გადამსახლეს. ისევ თავიდან მომიწია ყველაფრის დაწყება, მაგრამ ზოგი ვერ შეეგუა და უკან დაბრუნდა“.*

*/ მონაწილე ფოთში გამართული დევნილთა ფოკუს ჯგუფიდან /*

დევნილებმა იმსჯელეს იმ განსახლების პროგრამებთან დაკავშირებით, რომლებსაც სახელმწიფო ახორციელებს და აღნიშნეს, რომ თავისთავად მისასალმებელია პროგრამების არსებობა, მაგრამ ისინი უფრო მრავალფეროვანი უნდა იყოს. გამოითქვა მოსაზრებები, რომ სოფლად სახლის პროგრამა არ ემსახურება დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზანს, რადგან ამ პროგრამით გათვალისწინებული თანხები იმდენად მცირეა, რომ რეალურად სახლის შეძენა ვერ ხერხდება, გარდა იმ შემთხვევისა როცა დევნილი თავად არ ამატებს თანხას. ამის შესაძლებლობა კი ყველა დევნილს არ გააჩნია.

*„22 000 ლარად რა უნდა იყიდო ? გინდაც 45 000 ლარად. ვინ რას მოგყიდის ამ ფასში ნორმალურს. გამოდის ისევ უნდა ისესხოს, ვალი აიღოს დევნილმა, თუ მართლა უნდა სახლი. მაგრამ უმეტესად მე რაც შემხვედრია, დევნილები ნათესავებისგან ყიდულობენ სახლებს, მერე კი ისევ უკან აბრუნებენ. გამოდის ისევ უსახლკაროდ რჩებიან“*

*/ მონაწილე ზუგდიდში გამართული დევნილთა ფოკუს ჯგუფიდან /*

49. 488 Budina v. Russia, No. 45603/05 (dec.), 18/06/2009; see also Larioshina v. Russia, No. 56869/00 (dec.) 23/04/2002, “the Court considers that a complaint about a wholly insufficient amount of pension and the other social benefits may, in principle, raise an issue under Article 3 of the Convention which prohibits inhuman or degrading treatment”.

მიუხედავად მსგავსი შეფასებისა, როგორც დევნილთა სააგენტოს წარმომადგენელმა ფოკუს ჯგუფების მსვლელობისას აღნიშნა, „სოფლად სახლის პროგრამა“ მოთხოვნად პროგრამად რჩება დევნილებში.

**მოსახლეობის გაღარიბება: დასახლების ტიპის რადიკალური ცვლილება, ხელოვნური მიგრაცია და ასიმეტრიული განვითარება:**

გამოკითხულ დევნილთა 32% მიიჩნევს, რომ განსახლება უმთავრესი პრობლემა და გამოწვევაა დევნილებისთვის (რასაც მოსდევს ჯანდაცვა 27%). ერთ-ერთი ძირეული პრობლემა დევნილებისთვის განსახლების პროცესში არის მათთვის ჩვეული გარემოს რადიკალური და თვისობრივი შეცვლა, მათ შორის, თითქმის 30-წლიანი ცხოვრებისა და ადაპტაციის შემდგომ (რაც ურთულესს დევნილებს ახალი შემოსავლის წყაროს ძიებას, სასკოლო-საბავშვო ბაღის სივრცესა და სხვა სოციალურ სივრცეებში თავიდან ადაპტაციას). აღნიშნული პრობლემურია განსაკუთრებით, როდესაც დევნილი მორგებულია სპეციფიურად სოფლის ტიპის ან ურბანული ტიპის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოს და უწევს ამ გარემოს საფუძვლიანი შეცვლა. რამდენიმე მონაწილის თქმით, ადაპტაციის სირთულემ შესაძლოა დევნილების უფრო გაღარიბება გამოიწვიოს:

*„მომხრე ვიქნებოდი, რომ, როგორც წალენჯიხიდან ზუგდიდში მოხდა ჯგუფის გადმოყვანა - ამ მასშტაბით არ მოხდეს მათი გაყვანა და მოხერხდეს ისე, რომ კონკრეტულ ლოკაციაზე მორგება შევძლოთ. ზოგიერთი სოფელში უფრო არის ადაპტირებული, ვიდრე ქალაქში ან პირიქით. ამიტომ აუცილებელია ადამიანის აზრის გათვალისწინება მოხდეს - არა მარტო ფართის მიცემა. როგორც აღვნიშნე, ვინც მიჩვეულია სოფლის მეურნეობას, ქალაქში დამკვიდრება ვერ იქნება მარტივი.“*

*/ მონაწილე ზუგდიდში გამართული საჯარო მოხელეების ფოკუს ჯგუფიდან /*

*„სოფელში საქმიანობა რომ კარგად გამოდის, როცა შესთავაზეს განსახლება-ალტერნატივა არ ჰქონდა - წლები უნდა დალოდებოდა კიდევ ახალ შესაძლებლობას, ან მიეღო ბინა. ბევრი დევნილი გეუბნება - ბინა გამაყიდინე, სოფელში მაყიდინე სახლი. ესე იგი, რაღაც ხარვეზია პროგრამების განხორციელებისას ხო?!.“*

*/ მონაწილე ზუგდიდში გამართული საჯარო მოხელეების ფოკუს ჯგუფიდან /*

ამავდროულად, არაერთი დევნილი ახსენებს, რომ აუცილებელია საჭიროებებზე და ინდივიდუალურ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე განსახლების პროგრამების მორგება, რათა განსახლების პროცესი უფრო მდგრადი იყოს და არ გამოიწვიოს დევნილთა ხელოვნური მიგრაცია. დადებითად შეფასებულია დანიის ლტოლვილთა საბჭოს პროგრამა, დევნილთა საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე სახლის მშენებლობისთვის.


ფოკუს ჯგუფების დროს დევნილები აღნიშნავენ, რომ განსახლების პროცედურები და კრიტერიუმები მათთვის ხშირად ბუნდოვანია, პროცედურები კი რთულად გასაველი. რაც დადასტურდა რაოდენობრივი კვლევის მაჩვენებლებითაც.

კერძოდ, ჯამურად, რესპოდენტების ნახევარი ან მეტი „საერთოდ არ ეთანხმება“ ან „არ ეთანხმება დებულებას“:

- ◆ კრიტერიუმები და პროცედურები მკაფიო და გასაგებია - 50%
- ◆ პროცედურები იოლად გასავლელია - 57%
- ◆ ხელმისაწვდომობა თანასწორი და სამართლიანია - 60%

**კითხვაზე:** რა ტიპის განსახლების პროგრამებს მიანიჭებდით უპირატესობას. რესპოდენტთა პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა. (რესპოდენტს შეეძლო ერთდროულად აერჩია რამდენიმე პასუხი):

რა ტიპის განსახლების პროგრამას მიანიჭებდით უპირატესობას?  
(რესპოდენტს შეეძლო ერთდროულად რამდენიმე პასუხის მონიშვნა)



ამავდროულად, კვლევის რაოდენობრივ კომპონენტში ნათლად ჩანს, რომ გამოკითხულთა 26%-ს საკუთრებაში აქვს მიწის ნაკვეთი, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი წინაპირობა აღმოჩნდეს სოფლად სახლის პროგრამის განვრცობისთვის (თუმცა, კვლევის შეზღუდვიდან გამომდინარე, უცნობია რესპოდენტების საკუთრებაში არსებული მიწების ვარგისიანობა საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად).

სხვადასხვა ჯგუფებთან დისკუსიის შედეგად, ასევე გამოვლინდა საჭიროება, რომ სახელმწიფოს მხრიდან გადაწყვეტილების მიღების პროცესის წარმართვა განსახლების მიმართულებით მოხდეს უფრო მეტად დეტალურ მონაცემებზე დაყრდნობით. სხვადასხვა რესპოდენტის თქმით, არ ხდება დაწვრილებითი ანალიზი, თუ რამდენად ხელმისაწვდომია ამა თუ იმ ლოკაციაზე სხვადასხვა საბაზო სერვისები - საბავშვო ბაღები, სკოლები, ამბულატორიები, და სხვა. რამდენიმე საჯარო მოხელის თქმით, მსგავსი მონაცემების ნაკლებობა იწვევს საბავშვო ბაღების, სკოლების, ამბულატორიების ხელოვნურ გადატვირთვას. რამდენიმე რესპოდენტის თქმით, რუხის ტერიტორიაზე მზარდი განვითარება კარგ გარემოს ქმნის ახალი დასახლებების განვითარებისთვის.

საჯარო მოხელეების თქმით, ტერიტორიის შერჩევა ახალი დასახლებების მშენებლობებისთვის შეირჩევა მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით. მათი თქმით, როდესაც მშენებლობა სრულდება, ვებ-გვერდზე გამოქვეყნებით დევნილებს მიეწოდება ინფორმაცია, რომ განსახლების მიზნით კონკრეტულ მუნიციპალიტეტში დაიწყო ბინის მიღების მსურველთა აპლიკაციების მიღება. რის შემდეგაც შემოსული განაცხადების შეფასების, მონიტორინგის და შერჩევის პროცესი წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით მიმდინარეობს. თუმცა აღნიშნულ

პროცესებთან დაკავშირებით დევნილებში კითხვები ჩნდება რამდენიმე მიმართულებით:

- ◆ რამდენად საკმარისია არსებული მონაცემები და ინდიკატორები მუნიციპალიტეტებში საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობებისთვის მიწის ნაკვეთების შერჩევისას?!
- ◆ რამდენად მიზანშეწონილია ერთიდაიმავე მუნიციპალიტეტებში დევნილთა დიდი რაოდენობის განსახლება?!
- ◆ რამდენად უწყობს ხელს არსებული მასშტაბური მშენებლობები და დევნილთა კომპაქტურად განსახლება, მათ ინტეგრაციას მასპინძელ თემში?!
- ◆ როგორია საცხოვრებლის უსაფრთხოებისა და ხარისხის მონიტორინგის პროცესი?!
- ◆ რამდენად საკმარისია ის ვადები, რაც განსაზღვრულია დევნილებისათვის აპლიკაციების შესავსებად?!
- ◆ იმ პირობებში, როდესაც დევნილების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ სოციალური სტატუსი/ქულა უსამართლოდ ითვლება ან საერთოდ არ მიუმართავს სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის, რამდენად სამართლიანია განსახლების პრიორიტეტულობის მორგება აღნიშნულ ინდიკატორზე?!

ფოკუს ჯგუფების მსვლელობისას გამოიკვეთა ასევე, რომ დევნილებისთვის მნიშვნელოვანია აპლიკაციების წარდგენის პროცესი უფრო გამარტივებული იყოს. კერძოდ, შესაძლებელი გახდეს აპლიკაციების ელექტრონული შევსება, არსებულ შესაძლებლობებთან ერთად.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა განსახლების პროცესში არის მოსახლეობაში ძლიერი უსამართლობის განცდა განსახლების რიგითობასთან დაკავშირებით. ყურადღება გამახვილდა სხვადასხვა თაობის დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხზე და აღინიშნა, რომ პირველი თაობის დევნილების საცხოვრებლით უზრუნველყოფა სახელმწიფოსთვის პრიორიტეტი უნდა იყოს, რადგან ამ ადამიანებმა უშუალოდ, საკუთარ თავზე განიცადეს კონფლიქტის ნეგატიური შედეგები.

არაერთი დევნილი ასევე მიუთითებს, რომ კერძო სექტორში მცხოვრები დევნილები დისკრიმინაციულ მდგომარეობაში არიან და, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა უფრო მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში ცხოვრობდნენ, მათ ან არ აქვთ შესაძლებლობა (რადგან მათი განაცხადები მაინც არ განიხილება) საცხოვრისით უზრუნველყოფაზე განაცხადის გაკეთების, ან ქირით/ნათესავთან ცხოვრება დიდ ზეგავლენას ვერ ახდენს მათი განსახლების პროცესის დადებითად გადაწყვეტაზე.

*„მოქალაქეს უთხრეს: გაქვს საცხოვრისიო - არადა, არ აქვს. კითხვაზე პასუხი ვერ მივიღე, რატომ ხდება დიფერენცია?“*  
*/ მონაწილე ზუგდიდში გამართული დევნილთა ფოკუს ჯგუფიდან /*

*„ბევრია, ვისაც ეკუთვნის და არ აძლევენ საცხოვრებელს. კრიტერიუმების და მდგომის შეცვლაა საჭირო... ზუსტად სისტემის პრობლემაა რომ ნორმალურად არ ითვლის ქულას.“*  
*/ მონაწილე წყალტუბოში გამართული დევნილთა ფოკუს ჯგუფიდან /*

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა განსახლების პროცესში არის **ბუნდოვანი და დაგვიანებული კომუნიკაცია მოსახლეობასთან**, რაც მოიცავს მრავალ ელემენტს:

- ◆ **ზოგადი ფორმულირების ადმინისტრაციული დაპირებები**, რომლებიც წერილობით მიეწოდათ დევნილებს, არ აზუსტებენ დაკმაყოფილების ვადებს ან კონკრეტულ პირობებს, რაც გაურკვეველობას ქმნის დევნილებში;
- ◆ **საცხოვრისზე უარის დაუსაბუთებლობა** - დევნილები აღნიშნავენ, რომ წერილები, რომლებსაც ისინი იღებენ დევნილთა სააგენტოდან ხშირად შაბლონურია და ნათლად არ არის განმარტებული და დასაბუთებული საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე უარის მიზეზები.
- ◆ **დროში გაჭიანურებული სასამართლო წარმოება** - დევნილები გულისტკივილს გამოთქვამენ, რომ უარის გასაჩივრება მათთვის დიდ თანხებთანაა დაკავშირებული, თუმცა მაშინაც კი, როდესაც ახერხებენ სასამართლო დავის დაწყებას, დევნილთა სააგენტო ცდილობს საქმე განხილულ იქნას სამივე ინსტანციაში, რაც ისედაც გაჭიანურებულ სასამართლო განხილვის პროცესს კიდევ უფრო ხანგრძლივს ხდის.
- ◆ **დევნილთა სააგენტოს მიერ 2023 წლის 6 აპრილს მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით 2020-2022 წლებში სასამართლოში განიხილებოდა 1000 საქმე. მათგან დაახლოებით 600 საქმე მიმდინარეა, დაახლოებით 230 საქმეზე სარჩელი დაკმაყოფილდა. დარჩენილი 170 საქმიდან დაახლოებით 70 საქმეზე მოსარჩლეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე. 80 საქმეზე სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა, 20 საქმეზე კი სასამართლოში წარმოება შეწყდა სარჩელზე უარის თქმის ან მოსარჩელის მიერ სარჩელის გაწვევის გამო.**
- ◆ **არაერთგვაროვანი და არასისტემური მიდგომა** - რიგ შემთხვევაში დევნილები ახსენებენ, რომ ადმინისტრაციულ დაპირებაში მიუთითა მთლიანი რეგიონი, თუმცა აღნიშნული რეგიონის კონკრეტულ მუნიციპალიტეტში განსახლების გამოცხადებისას, მათ უარი ეთქვათ განაცხადის მიღებაზე (რესპოდენტისთვის მიწოდებულ ადმინისტრაციულ დაპირებაში „იმერეთი“ იყო მითითებული, თუმცა მისთვის ჩვეულ ტერიტორიაზე - წყალტუბოში უარი ეთქვა ბინის შეძენაზე და ზეპირად განემარტა, რომ მხოლოდ ქუთაისში შეძლებდა ბინის მოთხოვნას). აღნიშნული ბუნდოვანება და განსხვავება წერილობით და ზეპირ კომუნიკაციას შორის დამატებით გაურკვეველობას ქმნის მოსახლეობისთვის;
- ◆ **ერთი და იგივე რაოდენობის ქულების მქონე დევნილებს შორის უპირატესობის მინიჭება ერთ-ერთისთვის**, რაც ასევე გაუგებრობას იწვევს დევნილებში.

*„მეც 6 ქულა მქონდა, ჩემს ნაცნობსაც. თუ შევადარებთ - მე უფრო მძიმე მდგომარეობა მაქვს. მშობლები მომაკვდავები არიან. იმან მიიღო, მე - არა. რატომ მეთქვა უარი ვერავინ ვერ მიხსნის. სახალხო დამცველმაც დაადგინა ჩემი უფლებების დარღვევის ფაქტი. შედეგი - ნული.“*

*/ მონაწილე ზუგდიდში გამართული დევნილთა ფოკუს ჯგუფიდან /*

- ◆ **არ ხდება მკაფიო კომუნიკაცია ბინების გადაცემასთან დაკავშირებით** (რამდენიმე დევნილის თქმით, ვებ-გვერდზე გამოცხადებული ბინების რაოდენობა სრულად არ გადანაწილებულა, რაც მათ უქმნის დამატებით ეჭვებს კორუფციასთან



დაკავშირებით - მკაფიო და ღია ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მსგავს შემთხვევებში გააუმჯობესებდა ნდობის ხარისხს).

- ♦ **დროში გაწეილი საკუთრებაში გადაცემის პროცესი** - დევნილების მოსაზრებით, გადაცემული სახლების რეესტრში გატარების პროცესი ხშირად დროში გაწეილია და მიზეზები კი მათთვის გაურკვეველი.
- ♦ **მონიტორინგის პროცესი**- განსახლების ნაწილში ერთ-ერთ გამოწვევად დასახელდა მონიტორინგის პროცესი, შემოწმება ცხოვრობს თუ არა დევნილი მითითებულ მისამართზე და როგორია მისი საყოფაცხოვრებო პირობები.

**ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს რამდენიმე საკითხს:**

- ⇒ მონიტორინგის ბუნდოვანი ვადები- დევნილების გადმოცემით გაურკვეველია აპლიკაციის შევსებიდან რამდენ ხანში უნდა განხორციელდეს მონიტორინგი.

*„რამდენი ხანია ველოდები.ნ თვე გავიდა უკვე, მეტი თუ არა. არც იმას მეუბნებიან, როდის მოვა მონიტორინგი, არც იმას, რატომ არ მოდის.“*

*/ მონაწილე წყალტუბოში გამართული დევნილთა ფოკუს ჯგუფიდან /*

- ⇒ მრავალჯერ, სხვადასხვა ჯგუფში, აღინიშნა, რომ ხშირია ე.წ. „ღამის ვიზიტები“, ან გაუფრთხილებელი ვიზიტები, რა შემთხვევაშიც არ ხდება დამატებით გარემოებების გადამოწმება და რეალური საჭიროების მქონე დევნილები უარს იღებენ განსახლებაზე. არაერთი გარემოება მოწმობს, რომ განსაკუთრებით ძველ, ამორტიზირებულ შენობებში მცხოვრები დევნილები გაუსაძლისი საყოფაცხოვრებო პირობების გამო იძულებულნი ხდებიან გავიდნენ ნათესავთან, ქირით ან თავშესაფრის სხვა შესაძლებლობა მოძებნონ, რის გამოც მონიტორინგზე მოსულ ჯგუფს დევნილი შესაძლოა ადგილზე არ დახვდეს. მსგავსი შემთხვევები აუცილებლად საჭიროებს საკითხის დამატებით შესწავლას, რათა არ შეიღახოს დევნილის უფლება საცხოვრისზე.
- ⇒ ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა მხრიდან ცალსახად აღინიშნა მონიტორინგის ჯგუფის წევრების არასათანადო დამოკიდებულების შესახებ დევნილების მიმართ.

*„რომ მოდიან, ისე აგდებულად გვესაუბრებიან. კითხვები ხშირად დამამცირებელია. არ შეიძლება ასე მოქცევა. ჩვენ ხომ ადამიანები ვართ. ათასი გასაჭირი გამოგვივლია.“*

*/ მონაწილე ზუგდიდში გამართული დევნილთა ფოკუს ჯგუფიდან /*

მსგავსი მიდგომა შეიძლება ღირსების შემლახავად მივიჩნიოთ და აუცილებელია სრულყოფილი მეთოდოლოგიის ჩამოყალიბება საცხოვრებლის გადამოწმებისთვის, რომელიც, ერთი მხრივ, სრულყოფილი და სარწმუნო ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობას იძლევა, ხოლო, მეორე მხრივ, არ გამოიხატება სავარაუდოდ ღირსების შემლახავ მოპყრობაში.

ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც შეეხო თეთრიწყაროში მცხოვრებ დევნილებს, არის გაურკვეველი მდგომარეობა საცხოვრებლის საკუთრებასთან დაკავშირებით: რამდენიმე ოჯახი დროებით დაასახლეს საქართველოდან ემიგრირებული ბერძნების კერძო სახლებში, თუმცა მოგვიანებით, საკუთრება ძველ მესაკუთრეს დაურეგისტრირდა, მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივად, დევნილი ოჯახი ცხოვრობს მისამართზე. ასეთ შემთხვევაში, ირღვევა როგორც მესაკუთრის, ისე ფაქტობრივი მფლობელის საკუთრების უფლება და აუცილებელია, დევნილთა ამ ჯგუფის გათვალისწინება განსახლების პროცესში იმგვარად, რომ არ მოხდეს არც ერთი მხარეს საკუთრების უფლების დარღვევა.

*„წინწყაროში კოდორიდან დევნილებია ჩასახლებული, ბერძნების სახლებში. მიწის რეფორმის დროს ვერ წარადგინეს საბუთები - უარი მიიღეს, შემდეგ ისევ ძველ ბერძნებს დაუკანონეს, მაგრამ რეალურად დევნილი ხალხი ცხოვრობს, ამუშავენ მიწას. დღის წესრიგში როდის დადგება საკითხის გადაჭრა, არ ვიცი. მიწერილზე დღემდე პასუხი არ გვაქვს. დღემდე, ორჯერ დევნილი მოსახლეობა რიგშია - მით უფრო, როდესაც სხვა არანაირი საკუთრება არ აქვთ, უდიდესი პრობლემაა ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის.“*

*/ მონაწილე თეთრიწყაროში გამართული დევნილთა ფოკუს ჯგუფიდან /*

საერთო ფართები /ამხანაგობები/-ერთი-ერთი ის საკითხია, რომელიც არაერთ გამოწვევასთან არის დაკავშირებული. ხშირ შემთხვევებში, საერთო სივრცეები არ არის მოწყობილი უსაფრთხოდ, რაც ხელს უშლის მოსახლეობას რომ შეიკრიბოს, საფრთხეს უქმნის ბავშვებს და მოზარდებს (რამდენიმე ჯგუფში ნახსენები იყო მანქანების გამავალ გზასთან სიახლოვე, რა დროსაც ბავშვის დაშავების ალბათობა იყო მაღალი). ფოკუს ჯგუფებში მსჯელობისას აღინიშნა, რომ შიდა საერთო ფართების ე.წ დაკანონების პროცესი უფრო მარტივად და აქტიურად ხორციელდება, თუმცა გამოწვევაა გარე ფართების, წითელ ხაზებს მიღმა არსებული მიწის ნაკვეთების გადაცემა ამხანაგობისთვის. ზოგიერთ მუნიციპალიტეტში გამოიკვეთა მუნიციპალიტეტის მხრიდან ამხანაგობებისთვის წითელი ხაზების დადგენის და შესაბამისი მიწის ნაკვეთის ამხანაგობისთვის გადაცემის მზაობა, შეიქმნა შესაბამისი პროგრამაც, ( ზუგდიდი) თუმცა პროცესის დასრულება ვერ მოხერხდა, რადგან ხშირია შემთხვევები, როდესაც დევნილთა დასახლებების მიმდებარე ტერიტორია სხვადასხვა დროს, სხვადასხვა საერთაშორისო დონორების დახმარებით შემოიღობა და კეთილ მოეწყო, თუმცა აზომვითი სამუშაოების და წითელი ხაზების დადგენის შედეგად გამოვლინდა, რომ შემოკავებული და კეთილმოწყობილი ფართები სცილდება ნორმით განსაზღვრულს (ზოგჯერ ცვლილება ერთი ან ორი მეტრია). სამწუხაროდ, ამ მიწის ნაკვეთების დათმობა დევნილთა ამხანაგობებისთვის სახელმწიფოს მხრიდან არ ხდება. ( მიწის ნაკვეთები ხშირად ეკონომიკის სამინისტროს, ან სხვა სამინისტროების ბალანსზეა და არა მუნიციპალიტეტის, რის გამოც პრობლემის მოგვარება უფრო გართულებულია) .

*„დანის ლტოლვილთა საბჭომ წლების წინ შემოღობა ჩვენი დასახლების ეზო, გააკეთა საბავშვო მოედანი. ეხლა გაირკვა, რომ თუ გვინდა წითელი ხაზების გავლება და მიწის გადაცემა ამხანაგობისთვის, ეს ღობე უნდა მოვშალოთ, საბავშვო მოედანიც მოიშალოს. რატომ? იმიტომ, რომ მიწა ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა.“*

*/ მონაწილე ზუგდიდში გამართული დევნილთა ფოკუს ჯგუფიდან /*

*„ჩვენს დასახლებას, რომელიც ფოთში არზიანის 8 ნომერში მდებარეობს აქვს მოშენება, რომელსაც აწვიმს. შენობა იშლება და ჩვენს გვიქმნის საფრთხეს, მივმართეთ მუნიციპალიტეტს მაგრამ აღმოჩნდა რომ მიშენება ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა. მასაც მივწერეთ მაგრამ მეორე წელია პასუხი არ მიგვიღია, გვეშინია უბედურება არ დატრიალდეს*

*/ მონაწილე ფოთში გამართული დევნილთა ფოკუს ჯგუფიდან /*

ამხანაგობებზე საუბრისას გამოიკვეთა დევნილთა ინფორმირებულობის ნაკლებობაც ამხანაგობების ჩამოყალიბების და მართვის მნიშვნელობაზე. დევნილებს არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია, რატომ არის მნიშვნელოვანი ამხანაგობის შექმნა, რატომ უნდა აირჩიონ თავმჯდომარე და თავადაც აქტიურად იყვნენ ჩართული ამხანაგობის მართვაში.

ასევე გამოწვევაა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამების არ არსებობა მუნიციპალურ დონეზე. მუნიციპალიტეტებს აქვთ ამხანაგობების დახმარების პროგრამები ინფრასტრუქტურული კუთხით, თუმცა გამოყოფილი თანხები საკმაოდ მცირეა და ვერ წვდება მრავალბინიანი კორპუსების პრობლემების მოგვარებას, მათ შორის, თანადაფინანსებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის პროცესში სხვადასხვა საბიუჯეტო უწყებების პროგრამების შესწავლამ აჩვენა, რომ ამხანაგობების თანადაფინანსების პროგრამები ხორციელდება როგორც მუნიციპალიტეტების, ასევე დევნილი მუნიციპალიტეტების, დევნილთა სააგენტოს და აფხაზეთის სამთავრობო უწყებების მიერ, თუმცა ამ პროგრამების განხორციელებისას კოორდინაცია პრობლემის გადასაწყვეტად მინიმალურია უწყებებს შორის, რის გამოც დასახლებებში გამოწვევები ან მძიმე ტვირთად მხოლოდ მუნიციპალიტეტს აწვება, ან ძირითადად ვერ გვარდება საკმარისი რესურსების არ არსებობის გამო.

*„ამხანაგობა კი გვაქვს. მივწერეთ კიდეც ამხანაგობის სახელით მერიას, მაგრამ სულა სე გვეუბნებიან რიგს დაელოდეთო. როდისაა ეს ჩვენი რიგი? ალბათ დევნილთა კორპუსები პრიორიტეტული არაა!“*

*/ მონაწილე ფოთში გამართული დევნილთა ფოკუს ჯგუფიდან /*

## 2.5. სიღარიბე დევნილ მოსახლეობაში

მსოფლიო ბანკის განმარტებით, „უკიდურეს სიღარიბედ“ მიიჩნევა დღეში 2.15 აშშ დოლარზე ნაკლები თანხის ხარჯვა. თუმცა, 2010 წელს გაეროს განვითარების პროგრამამ და ოქსფორდის სიღარიბისა და ადამიანის განვითარების ინიციატივით, შემუშავდა „გლობალური მრავალფაქტორული სიღარიბის ინდექსი“, რომელიც სიღარიბის განსაზღვრისას, ზომავს, მათ შორის, ჯანდაცვაზე, განათლებაზე ხელმისაწვდომობას და ცხოვრების ხარისხის სხვა მაჩვენებლებს. ინდექსის ათი ინდიკატორია:


- ◆ საკვები;
- ◆ ბავშვთა სიკვდილიანობა;
- ◆ სასკოლო განათლების სისრულე;
- ◆ სკოლაში დასწრებადობა;
- ◆ ხელმისაწვდომობა;
- ◆ სანიტარია/ჰიგიენა;
- ◆ ელექტროენერჯია;
- ◆ საცხოვრებელი
- ◆ კერძო საკუთრების არსებობა.
- ◆ საკვების მოსამზადებლად აუცილებელი გაზის/ ელექტროენერჯიის;

იმ შემთხვევაში, თუ ჩამოთვლილთაგან ადამიანს აქვს შეზღუდული წვდომა სამ ან მეტ კომპონენტზე, მისი მდგომარეობა მრავალფაქტორულ სიღარიბედ მიიჩნევა.

აღნიშნულ კვლევაში, მართალია, არ მივყვებით გაეროს მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიას არსებული დროის და კვლევითი რესურსების შეზღუდვებიდან გამომდინარე, თუმცა რაოდენობრივი და ხარისხობრივი გამოკითხვის კომპონენტები მოიცავდა იგივე და/ან მსგავს ინდიკატორებს, დევნილების მდგომარეობის კომპლექსური შეფასებისთვის.

თუ გავითვალისწინებთ 2023 წლის მაისში არსებულ გაცვლით კურსს (დაახლოებით, 2.5 ლარი 1 აშშ დოლარზე), გამოდის, რომ იმისთვის, რომ ადამიანი „უკიდურეს სიღარიბეში“ არ იყოს, ოჯახის თითო წევრზე თვეში უნდა იხარჯებოდეს 161 ლარი. თუ ვივარაუდებთ ოჯახის საშუალო სიდიდეს (3 ადამიანი), მაშინ სამი ადამიანისგან შემდგარი ოჯახისთვის, თვეში 483 ლარზე ნაკლები თანხის ხარჯვა საბაზო საჭიროებებზე შეიძლება მივიჩნიოთ უკიდურეს სიღარიბედ. წინამდებარე კვლევაში გამოყენებულია შემოსავლის კატეგორიზაცია სამ ჯგუფად: ოჯახის შემოსავალი მინიმალური საარსებო კალათის მიხედვით (300 ლარამდე), დევნილის დახმარებისთვის კვალიფიციური რესპოდენტები (1250 ლარამდე შემოსავლის მქონე პირები) და 1250 ლარზე მეტი შემოსავლის მქონე პირები და მათი ოჯახები.

### დაახლოებით რამდენს შეადგენს თქვენი ოჯახის შემოსავალი?



გამოკითხულ დევნილთა ოჯახების მხოლოდ 16%-ის შემოსავალი აღემატება 1250 ლარს; ოჯახების უმრავლესობის შემოსავალი (გამოკითხულთა 62%) მერყეობს 301-დან 1250 ლარამდე და ოჯახების დაახლოებით მეხუთედის (გამოკითხულთა 22%) შემოსავალი 300 ლარამდეა. იმ ოჯახების რაოდენობა, ვინც დიდწილად ან სრულად დამოკიდებულია მცირე შემოსავლიან ან/და არასტაბილურ წყაროებზე შემდეგია:

- ♦ გამოკითხულთა 8%-სთვის „თვითდასაქმება მძიმე ფიზიკურ საქმეზე (მშენებლობა, მომვლელი, ტაქსი, და ა.შ.)“ შეადგენს ოჯახის შემოსავლის 61-დან 100%-მდე, რაც ნიშნავს, რომ ოჯახების დაახლოებით მეათედი მაინც არასტაბილურ ეკონომიკურ მდგომარეობაშია და პირდაპირ დამოკიდებულია დასაქმებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე;
- ♦ გამოკითხულთა 12%-სთვის „პენსია“ შეადგენს ოჯახის შემოსავლის 61-დან 100%-მდე (იგივე რაოდენობაა კატეგორიაში: „თვითდასაქმება სოფლის მეურნეობაში“).

აღნიშნული შედეგებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გამოკითხული დევნილების დაახლოებით მეხუთედი - უკიდურესი სიღარიბის პირობებში ცხოვრობს (იმ დაშვებით, რომ ოჯახების საშუალო შემადგენლობა - სამი ადამიანია). იმ შემთხვევაში, თუ გავითვალისწინებთ იმ ჯგუფებსაც, ვისაც 300 ლარზე მეტი შემოსავალი აქვთ, მაგრამ აქვთ სხვა ვალდებულებები და შესაძლოა ვერ ხარჯავენ მინიმალურ თანხას - ასეთი ოჯახებიც შეიძლება მივიჩნიოთ უკიდურეს სიღარიბეში მყოფ მოსახლეობად, თუმცა მოცემული კვლევის ფარგლებში, ზუსტი მონაცემები შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ არ შეგროვებულა, კვლევის შეზღუდვებიდან გამომდინარე.

ამავდროულად, ძალიან დაბალია დევნილების ჩართულობა ციფრულ ეკონომიკაში და ჯამში, რესპოდენტების მხოლოდ 1%-სთვის „თვითდასაქმება დისტანციურ (ციფრულ) მომსახურებაში“ შეადგენს ოჯახის შემოსავლების 31%-ზე მეტს. 2022 წელს სახელმწიფოს მიერ მიღებულ სახელმწიფო განვითარების სტრატეგიის („ხედვა 2030“) პუნქტი 2.2.8. ამოცანად ისახავს საქართველოს ციფრული ეკონომიკის განვითარებას, კერძოდ, საქართველოს დამკვიდრებას რეგიონულ ციფრულ ჰაბად. ამ მიმართულებით, სასურველია, სტრატეგიული ხედვის ეს ნაწილები ასახული იყოს დევნილების საკითხებზე განსაზღვრულ სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში, და შესაბამისად აისახოს მათთვის განკუთვნილ სახელმწიფო პროგრამებსა და ბიუჯეტებში. ციფრულ ეკონომიკაში ჩართვა განსაკუთრებით გააძლიერებს მხარდამჭერ/ მომვლელ პირებს, ვისთვისაც სახლის გარეთ მუშაობა სირთულეებთან არის დაკავშირებული. შედარებისთვის, კითხვაზე: „რამდენად ხელმისაწვდომია შემდეგი ტიპის დღის ცენტრები/შინ მოვლის მომსახურება“, „საერთოდ არ არის“ ან „რთულად ხელმისაწვდომია“, პასუხობენ:

- ◆ შშმ პირებისთვის - რესპოდენტების 19%;
- ◆ მოხუცებისთვის - რესპოდენტების 58%;
- ◆ დღის ცენტრები ან/და საგანმანათლებლო-გასართობი წრეები ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის - რესპოდენტების 48%.

შედარებისთვის, გამოკითხულთა 61% მიიჩნევს, რომ მსგავსი მზრუნველობის სერვისები/ცენტრები უარყოფით გავლენას ახდენს ქალების (მზრუნველი პირების) დასაქმების შესაძლებლობაზე.


კვლევის პროცესში ასევე შეფასდა იმ საბაზო საჭიროებებზე ხელმისაწვდომობა, რაც საერთაშორისო პრაქტიკით, მიიჩნევა სოციალური დაცვის ნაწილად. კერძოდ, **კითხვაზე:** „ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩამოთვლილთაგან, რომელი ვერ შეიძინეთ/ისარგებლეთ, არასაკმარისი სახსრების გამო? (შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე პასუხი)“ რესპოდენტების შემდეგი წილი უთითებს:

- ◆ წამლები/სამედიცინო მომსახურება - 39%
- ◆ სესხის გადახდა - 29%
- ◆ ტრანსპორტი - 16%
- ◆ საკვები - 15%
- ◆ კომუნალური გადასახადები - 13%
- ◆ ინტერნეტი/კომუნიკაცია - 10%

- ◆ ჰიგიენის საშუალებები - 8%
- ◆ სტუდენტისთვის ქირა უცხო ქალაქში - 7%
- ◆ სტუდენტის საუნივერსიტეტო საფასური - 5%
- ◆ საცხოვრებლის ქირა - 3%

გამოკითხულთა მხოლოდ მეხუთედს (22%) არ ჰქონია გადახდისუნარიანობის პრობლემა საბაზისო საჭიროებებთან დაკავშირებით.

ბოლო ორი წლის განმავლობაში, ჩამოთვლილთაგან რომელი ვერ შეიძინეთ/ისარგებლეთ, არასაკმარისი სახსრების გამო? (რესპოდენტებს შეეძლოთ ერთდროულად მოენიშნათ რამდენიმე პასუხი)




- \* გამოკითხულთა 22%-ს არ აქვს სესხი
- \* 67%-ს აქვს სესხი ბანკიდან,
- \* 15%-ს - მიკროსაფინანსოდან,
- \* 10%-ს - ახლობლისგან,
- \* ხოლო 2%-ს - უცხო პირისგან.
- \* რესპოდენტთა 41% უთითებს, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში, წამლებისთვის/სამედიცინო საჭიროებებისთვის დასჭირდათ სესხის აღება.

სოციალური დაცვის კუთხით, კვლევამ აჩვენა საყურადღებო შედეგი: გამოკითხული დევნილებიდან 79% უთითებს, რომ „საერთოდ არ აქვს“ დანაზოგი მცირე კრიზისული შემთხვევისთვის (როგორცაა სახლის სახურავის შეკეთება, სამედიცინო საჭიროება და სხვა მსგავსი), 21% უთითებს, რომ „მცირედი დანაზოგი“ აქვს, და 400 რესპოდენტიდან მხოლოდ 3 ადამიანი (0%) უთითებს, რომ საკმარისად აქვთ დანაზოგი მსგავსი მცირე კრიზისისთვის. ეს, თავის მხრივ, საგანგაშო მონაცემია, რადგანაც ნიშნავს, რომ სოციალური მდგომარეობის გაუარესებისგან ოჯახების თითქმის ოთხ მეხუთედს აშორებს მცირედი საყოფაცხოვრებო პრობლემაც კი. გარდა ამისა, უმეტეს შემთხვევაში, ხდება სესხის აღება ან კერძო საკუთრების გასხვისება, (უკიდურეს შემთხვევაში ან/და სესხის გადაუხდელობის დროს), რაც არსებული საკანონმდებლო ცვლილებების მიუხედავად, უსახლკარობის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად შეგვიძლია მივიჩნიოთ .

სწორედ ზემოთ აღწერილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, არ არის გასაკვირი, რომ გამოკითხულთა 198 რესპოდენტი ფიქრობს ან უფიქრია ქვეყნიდან ემიგრაციაზე. 45 რესპოდენტმა არ იცის, წავა თუ არა ემიგრაციაში, 157 რესპოდენტს არ უფიქრია ემიგრაციაზე. თავის მხრივ, გასათვალისწინებელია საქართველოდან გამგზავრებული მოქალაქეების გამოცდილება: ხშირ შემთხვევაში, არსებული გამოცდილებით, ემიგრანტები მიემგზავრებიან და/ან მუშაობენ საზღვარგარეთ არა დოკუმენტირებული ფორმით, რაც თავის მხრივ, კიდევ უფრო ზრდის სოციალურ-ეკონომიკურ რისკებს (არა დოკუმენტირებულ მიგრანტებს აქვთ შეზღუდული წვდომა ჯანდაცვაზე, უსაფრთხოებაზე; დიდი ნაწილი ვერ ახერხებს ინვესტირებისთვის საკმარისი დანაზოგის მოპოვებას, ხოლო მათ მიერ შეძენილი გამოცდილებისა და ცოდნის არაფორმალური ხასიათი არ აღირიცხება და სამშობლოში დაბრუნებისას, და შედეგად, შრომისუნარიანი წლების მიწურულს, ემიგრანტები კვლავაც დაუცველ მდგომარეობაში არიან). აღსანიშნავია, რომ რესპოდენტთა 31%-ს ერთი ოჯახის წევრი მაინც უკვე ემიგრაციაშია.

სამომავლოდ პროგრამული პრიორიტეტების დასაგეგმად, კვლევის ფარგლებში, დაისვა კითხვა: „რა გააუმჯობესებდა თქვენს ფინანსურ-მატერიალურ მდგომარეობას“; რაზეც უდიდესი ნაწილი პასუხობს - „მცირე დანადგარები ბიზნესისთვის“.

რა გააუმჯობესებდა თქვენს ფინანსურ-მატერიალურ მდგომარეობას?  
(რესპოდენტებს შეეძლოთ ერთდროულად რამდენიმე პასუხის მონიშვნა)




## 2.6. ჯანდაცვა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების თანახმად, სახელმწიფოები ვალდებული არიან შეიმუშაონ რეგულაციები როგორც კერძო, ისე საჯარო საავადმყოფოებისათვის, რათა მიღებული იყოს შესაბამისი ზომები პაციენტების სიცოცხლის დასაცავად. მაგალითად, საქმეში მეჰმეტ სენტურქ და ბექირ სენტურქ თურქეთის წინააღმდეგ, სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მეორე მუხლი (სიცოცხლის უფლება), რადგანაც ქალბატონი სენტურქი გარდაიცვალა სამედიცინო სერვისებისთვის აუცილებელი ფინანსური რესურსის უქონლობის გამო. ამ შემთხვევაში, სასამართლომ დაადგინა, რომ

კონვენციის მეორე მუხლით შესაძლოა განისაზღვროს ჯანდაცვაზე შესაბამისი ხელმისაწვდომობის ვალდებულება. ასევე ნახსენებია, რომ ევროპული სოციალური ქარტიის<sup>50</sup> მე-11 მუხლი (უფლება ჯანდაცვის ხელმისაწვდომობაზე) ავსებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მესამე მუხლებს (დაცვა არაადამიანური მოპყრობისა და წამებისგან).

გამოკითხულთა 69% უთითებს, რომ ექიმთან ვიზიტი ჰქონდა 1-დან 12 თვემდე, 24% უთითებს, რომ დაახლოებით 2-5 წლის წინ და დაახლოებით 7% უთითებს რომ ბოლოს ექიმთან იყო 5 ან მეტი წლის წინ. ამავდროულად, გამოკითხულთა 21% სარგებლობს კერძო დაზღვევით, ხოლო 79% - არ სარგებლობს კერძო დაზღვევით. თუმცა, ყველაზე საყურადღებოა შემდეგი მონაცემები - **კითხვაზე**: „როგორ მართავთ თქვენს ჯანმრთელობას?“, პასუხების რაოდენობა გადანაწილდა:

როგორ მართავთ თქვენს ჯანმრთელობას?



- რეგულარულად ვიღებ სამედიცინო დახმარებას და ვიღებ მედიკამენტებს 14%
- კარგად და ჯანმრთელად ვგრძნობ თავს, არ მჭირდება სამედიცინო სერვისები 24%
- მაქვს ქრონიკული დაავადება, თუმცა ვერ მივდივარ ექიმთან უსახსრობის გამო 13%
- მაქვს ჩვილები, თუმცა ვერ მივდივარ ექიმთან უსახსრობის გამო 49%

შესაბამისად, თუ ჯამში რესპოდენტების 38% არ მიიჩნევს რომ სჭირდება სამედიცინო სერვისები, მოსახლეობის ნახევარზე მეტი, ჯამში, 62%, მიიჩნევს, რომ საჭიროებს სამედიცინო დახმარებას და უსახსრობის გამო ვერ იღებს მას სრულყოფილად.

მენტალური ჯანმრთელობის მხრივ გამოკითხულთა 53% მიიჩნევს, რომ უკრაინაში ომის შემდეგ საჭიროება ფსიქოლოგიურ მხარდაჭერაზე ქართველი დევნილებისათვის „გაიზარდა“ ან „ძალიან გაიზარდა“. ამავდროულად 47% მიუთითებს, რომ საჭიროებს ფსიქოლოგიურ მომსახურებას, თუმცა, უსახსრობის ან სხვა მიზეზის გამო, მათთვის ეს სერვისი არ არის ხელმისაწვდომი.

ფოკუს ჯგუფებისა და ინტერვიუების დროს გაჟღერებული მოსაზრებების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მძიმე ან სპეციფიკური ტიპის ჯანდაცვის სერვისები არასაკმარისად ფინანსდება სახელმწიფოს მხრიდან (რამდენიმე მაგალითად შეიძლება

50. Georgia ratified the Revised European Social Charter 22/08/2005, accepting 63 of the Revised Charter's 98 paragraphs. Georgia has not yet ratified the Additional Protocol providing for a system of Collective Complaints. [Hyperlink](#) to Council of Europe website.



მოვიყვანოთ: კარდიოქირურგიული ჩარევები, ონკოლოგია, აუტისტური სპექტრის ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის აბილიტაცია/რეაბილიტაციის პროგრამები და სხვა).

სპეციფიური გამოწვევა გამოვლინდა აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვების მოცდის პერიოდის მიმართულებით: მუნიციპალური სამსახურების თქმით, სერვისის მისაღებად ხელოვნური მიგრაციისა და ბიუჯეტის ხარჯვის შესაბამისი ზრდის თავიდან ასაცილებლად, გარკვეული ტიპის სერვისებზე, როგორცაა აბილიტაცია/ რეაბილიტაციის პროგრამები, აუტისტური სპექტრის ბავშვებისა და მოზარდებისთვის ფინანსდება გარკვეული მოცდის პერიოდის შემდეგ (ზეპირი ინტერვიუების დროს რესპოდენტებმა ახსენეს, რომ თბილისში მოცდის პერიოდია 3 წელი, ფოთში - 1 წელი). ამ შემთხვევაშიც, მნიშვნელოვანია სერვისების შემღებებისდაგვარად ერთგვაროვანი მიწოდება, რისთვისაც ინტერმუნიციპალური თანამშრომლობა ან/და ჯანდაცვის სისტემის დაფარვის გაფართოება შესაძლოა ეფექტური გამოსავალი იყოს (რადგანაც მსგავსი ტიპის სერვისების დაგვიანებამ შესაძლოა გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ადამიანის ჯანმრთელობას/ კეთილდღეობას).

დევნილები ასევე საუბრობენ გარკვეულ დისკრიმინაციულ მიდგომებზეც: მათი ვარაუდით, სასწრაფო სამედიცინო მომსახურების გამოძახების დროს, ხდება დიფერენცირება და დევნილები/სოციალურად მოწყვლადი ჯგუფები არ ნაწილდებიან შედარებით მაღალი ხარისხით ცნობილ სამედიცინო დაწესებულებებში, რის გამოც დევნილები ხშირ შემთხვევაში თავს არიდებენ სასწრაფო სამედიცინო სერვისის გამოძახებას. სამედიცინო დაფინანსების მხრივ პრობლემურია ასევე ერთიანი მართვის და საინფორმაციო სისტემის არარსებობა უწყებათაშორისი კოორდინაციისთვის: მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების თქმით, იმისათვის, რომ გაორება არ იყოს, მუნიციპალურ სამსახურებს წარედგინება ცნობა სხვა უწყებებიდან იმის თაობაზე, რომ იგივე სერვისი/მედიკამენტი არ არის უკვე დაფინანსებული. ერთი მხრივ, გაორების თავიდან ასაცილებლად, თავისთავად აუცილებელი პროცედურაა, თუმცა, მეორე მხრივ, ჯანდაცვის სფეროში, სადაც დროს შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს, საბუთების მოგროვებისთვის აუცილებელი მოცდის პერიოდის შემცირება იქნებოდა სასურველი, რისთვისაც რაიმე ფორმის საინფორმაციო-საკოორდინაციო ბაზის არსებობა შესაძლოა ეფექტიანი ყოფილიყო (თუმცა, ერთ-ერთი გამოწვევაა პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების საკითხი).

*„შიდა მირგაცია არის პროგრამების გამო. ბევრი სოფლიდან გადმოეწერა, რომ პროგრამით ესარგებლა. ინსტრუმენტალური იყო თუ სხვა სამედიცინო საჭიროება“.*  
*/ მონაწილე ფოთში გამართული საჯარო მოხელეების ფოკუს ჯგუფიდან /*

ჯანდაცვის სერვისებზე საუბრისას გამოიკვეთა რეგიონებში სამედიცინო დაწესებულებებზე ნაკლები ხელმისაწვდომობა. სკრინინგ პროგრამების პერიოდულობა, გარკვეული პროფილის მედპერსონალის (ლოგოპედი, გინეკოლოგი, ფსიქიატრი) ადგილზე ნაკლები ხელმისაწვდომობა .

## 2.7. ინტეგრაცია და სოციალური კაპიტალი

**მესამე სივრცე: სოციალური კაპიტალი და მენტალური ჯანმრთელობა**

*სოციალური კაპიტალის* თეორიის თანახმად, სოციალური ურთიერთობები, ნდობა, თანამშრომლობისა და დიალოგის უნარი, საზიარო ინტერესები და ღირებულებები

ერთობლივად ქმნის სოციალურ კაპიტალს, რომელიც მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, ინდივიდის პირადი განვითარებისა და მენტალური ჯანმრთელობისთვის, ხოლო. მეორე მხრივ - აქტიური მოქალაქეობის, სოციალური აქტივიზმისა და შესაბამისად, დემოკრატიისთვის აუცილებელი ნაწილია. თავის მხრივ, *მესამე სივრცის*<sup>51</sup> თეორიის თანახმად, არაფორმალური სოციალური ურთიერთობებისთვის განკუთვნილი სივრცეები (კაფეები, სკვერები, ბიბლიოთეკები და სხვა - წარმოადგენს „საზოგადოებრივი ცხოვრების ღერძს“ და სოციალური კაპიტალის განვითარების „საამქროს“. ე.წ. მესამე სივრცის დანიშნულებაა - სტრესისგან თავისუფალ გარემოში განტვირთვა, ემოციური თვითრეგულირება და მენტალური ჯანმრთელობისთვის აუცილებელი სოციალური ურთიერთობების (მეგობრები, ნაცნობები) განვითარება.

*“„მეგობარი“ ძალიან კარგი სივრცეა - სოციალური საწარმოს სტატუსითაა, ბევრი შეხვედრა იმართება - პატარა სივრცეა, ვისურვებდი გაიზარდოს და მეტი შესაძლებლობა იყოს. ბევრ ახალგაზრდას დიდ შესაძლებლობას აძლევს, შეხვედრები ტარდება მანდ, სერტიფიკატები, ინფორმაციული შეხვედრები - ძალიან უწყობს ხელს სოციალიზაციას.“*

*/ მონაწილე ზუგდიდში გამართული დევნილთა ფოკუს ჯგუფიდან /*

*“ჩვენს დასახლებაში არის ცარიელი ფართი, რომელიც სავსეა სამშენებლო ნარჩენებით და დაბინძურებულია. გაწმენდა გვინდოდა , გარემონტება და იქ ქალებისთვის, ახალგაზრდებისთვის, ხანდაზმულებისთვის შეკრების ადგილის, ე.წ.სათემო ოთახის მოწყობა. მუნიციპალიტეტიც ვვიჭერდა მხარს, არასამთავრობო ორგანიზაციაც მაგრამ ფართი ადრე დევნილთა სამინისტროს ბალანზე იყო, ეხლა არც ვიცი რა ხდება. ამიტომაც არავინ მოგვცა შესაძლებლობა ეს ფართი აკვეთისებინა მიზნობრივად.“*

*/ მონაწილე ზუგდიდში გამართული დევნილთა ფოკუს ჯგუფიდან /*

აღსანიშნავია, რომ ცალკეული გამონაკლისის გარდა, დევნილთა დასახლებების უდიდეს ნაწილში არ არის ხელმისაწვდომი ე.წ. „მესამე სივრცე“, შესაბამისად, დევნილები ძირითად დროს სახლში (ან სამსახურში) ატარებენ. ეს ვითარება, ერთის მხრივ, მძიმედ შეიძლება აისახოს მენტალურ კეთილდღეობაზე და, მეორე მხრივ, ხელს უშლის დევნილებში თვითორგანიზებას და სოციალური კაპიტალის განვითარებას.

ღია კითხვაზე, „სამსახურის და სახლის გარდა, სად ატარებთ ყველაზე მეტ დროს?“, 178 რესპოდენტის პასუხი შეიძლება ჩავსვათ კატეგორიაში „არსად“ (ჯამურად იმ პასუხების ერთობლიობა, სადაც ღია კითხვაზე უპასუხეს „სახლში“, „სამსახურში“, ან მსგავსი ტიპის პასუხები). 110 რესპოდენტის პასუხი შეიძლება ჩავსვათ კატეგორიაში „სტუმრად“ (ჯამურად იმ პასუხების ერთობლიობა, სადაც ღია კითხვაზე უპასუხეს „სტუმრად“, „ნათესავებთან“, „სამეზობლოში“, სხვა ქალაქში ოჯახის წევრებთან, ან მსგავსი ტიპის პასუხები). 46 რესპოდენტის - ერთიანდება კატეგორიაში „ეზო“ (რომელიც მოიცავს „ეზოში“, „კორპუსთან“, „ბაღჩაში“ და სხვა მსგავს პასუხებს). 16 რესპოდენტი უთითებს „უნივერსიტეტი“. ეკლესიას 15. სხვა 35 პასუხი გადანაწილდა ისეთ სივრცეებზე, როგორცაა: სათემო ცენტრი , ბაზარი , მოგზაურობა , ბიბლიოთეკა, თევზაობა, ფიტნეს კლუბი, ღია სტადიონი, სასაფლაო, ბოტანიკურ ბაღში, საჯარო სკვერში, კაფეში, მაღაზიაში .

51. The Great Good Place: Cafes, Coffee Shops, Bookstores, Bars, Hair Salons, and Other Hangouts at the Heart of a Community, 1999, Ray Oldenburg.

# გენდერული განზომილება (Gender Mainstreaming)

## 3.1. გენდერული განზომილების ვალდებულებები და რეკომენდაციები საქართველოსთვის

გენდერული განზომილების ჩართვა პოლიტიკის შემუშავებისა და სახელმწიფო მართვის პროცესში წარმოადგენს საქართველოს ვალდებულებას, რომელიც სხვადასხვა ფორმით ასახულია სხვადასხვა საერთაშორისო და ეროვნულ პოლიტიკურ-საკანონმდებლო ჩარჩოში, მათ შორის, ევროკავშირის კანდიდატობის სტატუსის მისაღებად გამოქვეყნებულ მე-9 რეკომენდაციაში, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებში, შშმ პირთა შესახებ კონვენციასა და მის დამატებით ოქმში, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის შესახებ კონვენციაში (ე.წ. სტამბულის კონვენცია). გარდა ამისა, სახელმწიფო დონეზე შემუშავებულია სახელმწიფო კონცეფცია გენდერული თანასწორობის შესახებ, ეროვნული სამოქმედო გეგმები - ტრეფიკინგის წინააღმდეგ, ქალების მშვიდობასა და უსაფრთხოების შესახებ, სამოქალაქო სერვისების ბიუროს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა გენდერული თანასწორობის მიმართულებით, საგარეო საქმეთა სამინისტროს გენდერული თანასწორობის სტრატეგია, საერთაშორისო შრომითი ორგანიზაციის კონვენციები, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონი და სხვა.

დევენილი ქალები მიეკუთვნებიან „ინტერსექციული მოწყვლადობის“ ჯგუფს, რომელიც გულისხმობს იმ სოციალურ-ეკონომიკური გარემოებებისა და სისტემური დაბრკოლებების ერთობლიობას, რაც კიდევ უფრო ამძიმებს უკვე არათანასწორ მდგომარეობაში მყოფი ქალების მდგომარეობას. 2023 წლის 28 თებერვლის საქართველოს შესახებ, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის ანგარიშის თანახმად, აუცილებელია განსაკუთრებული ძალისხმევა დევნილი ქალების უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მათ შორის:

- ♦ მოწყვლადი და მარგინალიზებული ქალებისთვის ინფორმაციისა და სამართლებრივი დახმარების მიწოდების აუცილებლობა (10/c რეკომენდაცია);
- ♦ აფხაზეთსა და ცხინვალში ძალადობის გავრდილი რისკის ქვეშ მყოფი ქალებისთვის მხარდაჭერი სერვისების მიწოდება (11/b რეკომენდაცია);
- ♦ სასამართლო საქმეებში სტატისტიკის ჩაშლა გენდერული და ინტერსექციული საჭიროებების მიხედვით (11/b რეკომენდაცია);
- ♦ ინტერსექციული მოწყვლადობის მქონე ქალების (მათ შორის, დევნილების) ეფექტური დაცვა (16/a რეკომენდაცია);
- ♦ სამართლებრივი დახმარების მიწოდების აუცილებლობა მოწყვლადი ჯგუფებისთვის, მათ შორის, დევნილებისთვის (16/d);
- ♦ გენდერული გავლენის შეფასების სავალდებულოდ შემოტანა (18/d), რომელიც ამ დროისთვის სავალდებულოა გარკვეული სახის საკანონმდებლო

ინიციატივებისთვის, თუმცა არასაკმარისია უნარ-ჩვევები და პრაქტიკა მისი ჩატარებისთვის;


- ◆ ქალების ეფექტური ჩართულობის ზრდა გაეროს უსაფრთხოების საბჭოს 1325 რეზოლუციის მონიტორინგის პროცესში (32 რეკომენდაცია);
- ◆ ცნობიერების ამაღლება და გენდერული სტერეოტიპების გადალახვა განათლებაში (34/a რეკომენდაცია);
- ◆ ასაკისთვის შესაფერისი, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ცნობიერების ამაღლება (34/ბ);
- ◆ ქალების მონაწილეობის გაზრდა ეკონომიკურ საქმიანობაში (36/a);
- ◆ არაფორმალურ ეკონომიკაში ჩართული ქალების საჭიროებების შეფასება (36/d);
- ◆ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კონცეფციის მიღება (40/a) - აღნიშნული ასევე მიღებულია, თუმცა ის არ ასახავს რამდენიმე ძირეულ საერთაშორისო პრინციპს და არ არის ინტეგრირებული სხვა, დევნილებთან უშუალოდ დაკავშირებულ პოლიტიკურ-საკანონმდებლო ჩარჩოსთან.

ზემოხსენებული რეკომენდაციების მიხედვით, კვლევის შედეგები შეიძლება შევაჯამოთ შემდეგი მიმართულებებით: დევნილი ქალების ეკონომიკური მდგომარეობა, დევნილი ქალების ჯანდაცვა და მენტალური ჯანმრთელობა, სოციალური დაცვა და ოჯახში ძალადობის რისკები და დევნილი ქალების რეპროდუქციული ინფორმირება.

### 3.2. დევნილი ქალების ეკონომიკური მდგომარეობა

გამოკითხული დევნილი ქალების 78% მიუთითებს რომ „საერთოდ არ აქვს“ დანაზოგი მინიმალური საყოფაცხოვრებო კრიზისული მდგომარეობისთვის. გამოკითხული ქალებიდან მხოლოდ 1 ქალი (0%) უთითებს, რომ საკმარისად აქვს დანაზოგი მსგავსი შემთხვევებისთვის, და 22% უთითებს „მცირედი მაქვს“. გამოკითხული ქალების 40% ფიქრობს ემიგრაციაზე.

გაქვთ თუ არა დანაზოგი კრიზისული შემთხვევებისთვის?



მათ შორის, ვინც უპასუხა, რომ ფიქრობს ემიგრაციაზე, ასაკობრივად წარმოდგენილია ყველა ჯგუფი: 24%-ის ასაკი მერყეობს 18-28 წელს შორის, 29%-ის ასაკი მერყეობს 29-39 წელს შორის, 21%-ის ასაკი მერყეობს 40-50 წელს შორის, 19%-ის ასაკი მერყეობს 51-61 წელს შორის და 7%-ის ასაკი მერყეობს 62-72 წელს შორის. აღსანიშნავია, რომ თუ შევადარებთ მათ, ვინც უპასუხა, რომ არ ფიქრობს ემიგრაციაზე და მათ, ვინც ფიქრობს ემიგრაციაზე, საგრძნობლად დიდია იმ რესპოდენტების რაოდენობა, ვისაც გარკვეული სახის გადახდისუნარიანობის პრობლემა ჰქონდა (რაც მიუთითებს, რომ ემიგრაციის ძირეული მოტივატორია ფინანსური პრობლემები). შედარებისთვის, მათ შორის, ვინც უპასუხა, რომ ფიქრობს ემიგრაციაზე, მხოლოდ 7%-ს არ ჰქონია გადახდისუნარიანობის პრობლემა ბოლო 2 წლის განმავლობაში; შედარებისთვის, ვინც უპასუხა, რომ არ ფიქრობს ემიგრაციაზე - 33%-ს არ ჰქონია გადახდისუნარიანობის პრობლემა (გადახდისუნარიანობის პრობლემის მქონე დევნილ ქალებს შორის შვიდჯერ უფრო მეტია ემიგრაციის სურვილი, ვიდრე იმ დევნილ ქალების შორის, ვისაც არ ჰქონია გადახდისუნარიანობის პრობლემა). განათლების კუთხით, არ დაფიქსირებულა რაიმე მნიშვნელოვანი განსხვავება ემიგრაციის მსურველ დევნილ ქალებს შორის (ემიგრაციის სურვილზე მიუთითებენ, როგორც სრული, ისე არასრული სასკოლო განათლების, უმაღლესი და პროფესიული განათლების დევნილი ქალები). თუმცა, გარკვეული რისკის შემცველია ის ფაქტორი, რომ მათ შორის, ვინც უპასუხა, რომ ფიქრობს ემიგრაციაზე, 28% (თითქმის მესამედს) აქვს მხოლოდ არასრული ან სრული სასკოლო განათლება, რაც იმას ნიშნავს, რომ მაღალი ალბათობით, ემიგრაციის შემთხვევაში, აღნიშნული ჯგუფი ჩაერთვება მძიმე ფიზიკურ შრომაში (მაგ. ფართოდ გავრცელებული მომვლელის ან დიასახლისის საქმე), რაც გრძელვადიან პერსპექტივაში არ არის მდგრადი სოციალური დაცვის შესაქმნელად (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსგავსი ტიპის სამუშაოზე დასაქმებული ვერ ახერხებს ინვესტიციისთვის საკმარისი დანაზოგის შექმნას და მისი გამომუშავებული თანხა უფრო გადარჩენაზეა ორიენტირებული, ხოლო ძირითადად არა დოკუმენტირებული სტატუსის გამო, ემიგრაციაში მყოფი პირი ვერ ახერხებს გამოცდილების/ცოდნის დადასტურებას სამშობლოში დაბრუნებისას და მისი შრომისუნარიანი წლების მიწურულს, ის კვლავ დამოკიდებული ხდება პენსიაზე ან სოციალურ დახმარებაზე, რაც ვერ აკმაყოფილებს საბაზო საჭიროებებს). შესაბამისად, დევნილ ქალებს შორის მაღალია სისტემური გადარიბების რისკები.


### 3.3. დევნილი ქალების ჯანდაცვა, სოციალური დაცვა და ოჯახში ძალადობის რისკები

გამოკითხული დევნილი ქალების ჯამურად 67% უთითებს, რომ აქვს ჯანმრთელობის პრობლემები, თუმცა ან ექიმთან ვერ მიდის ან ექიმთან მისვლის შემთხვევაში, არ აქვს საკმარისი სახსრები შემდგომი მკურნალობისთვის. გამოკითხული დევნილი ქალების 22% არ ყოფილა ექიმთან ბოლო 2-5 წლამდე, ხოლო 8%-ის ექიმთან ბოლო ვიზიტიდან გასულია 5 ან მეტი წელი (თუ გავითვალისწინებთ საერთაშორისო ჯანდაცვის რეკომენდაციებს, ქალებისთვის რეკომენდირებულია წელიწადში ერთხელ მაინც სამედიცინო გამოკვლევის ჩატარება). გამოკითხული დევნილი ქალების 79% არ სარგებლობს კერძო დაზღვევით.

გამოკითხული დევნილი ქალების ნახევარზე მეტი (53%) მიუთითებს, რომ საჭიროებს ფსიქოლოგის მომსახურებას, თუმცა უსახსრობის ან სხვა დაბრკოლების გამო, არ აქვს ხელმისაწვდომობა ფსიქოლოგის მომსახურებაზე (უსახსრობას, როგორც დაბრკოლებას ფსიქოლოგიური მომსახურების მისაღებად, მიუთითებს გამოკითხული დევნილი ქალების 19%).

მენტალური ჯანმრთელობის მხრივ აღსანიშნავია, რომ ქალებისთვის არ არის ხელმისაწვდომი ე.წ. „მესამე სივრცე“ განტვირთვისა და მენტალური ჯანმრთელობისთვის, მაშინ, როდესაც სწორედ ქალები ერთვებიან უწყვეტ სამინაო შრომასა და ძირითადი მომვლელიც/მზრუნველი პირებიც ქალები არიან. გამოკითხული დევნილი ქალების ნახევარი (50%) მიუთითებს, რომ სახლის და/ან სამსახურის გარდა, „არსად“ ატარებს დროს, მესამედი (36%) მიუთითებს „სტუმრად“ (რაც მოიცავს ნათესავებს, ოჯახის წევრებს და მეგობრებს), დაახლოებით მეათედი (8%) მიუთითებს „ეზოში“ (რაც ფაქტობრივად, სამეზობლოს გულისხმობს) და დაახლოებით 6% უთითებს უნივერსიტეტს. საინტერესოა, რომ კაცებთან შედარებით, სამჯერ მეტი ქალი უთითებს, რომ სახლის და სამსახურის გარდა, ყველაზე მეტ დროს ატარებს უნივერსიტეტში.

### სამსახურისა და სახლის გარდა სად ატარებთ ყველაზე მეტ დროს (ქალები)?



ამავდროულად, გამოკითხული დევნილი ქალების ჯამურად 63% მიიჩნევს, რომ მზრუნველობის ცენტრების/ახალგაზრდული კლუბების/ბალების ნაკლები ხელმისაწვდომობა გავლენას ახდენს მათ დასაქმებაზე. 34% (მესამედი) მიუთითებს, რომ მზრუნველობის სერვისების ნაკლები ხელმისაწვდომობა „ძალიან დიდ გავლენას“ ახდენს ქალების დასაქმებაზე, ხოლო 3 პროცენტი კი ფიქრობს რომ არანაირ გავლენას არ ახდენს. თუ გავითვალისწინებთ ბოლო პერიოდის კვლევებს, რომლების თანახმად კოვიდ-19 პანდემიის დროს, სახლში დარჩენის პერიოდის ზრდა დაუკავშირდა ოჯახში ძალადობის ზრდის შემთხვევებს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დევნილ ქალებში ოჯახში ძალადობის რისკი მაღალია, მათ შორის, მათთვის მესამე სივრცის ხელმისაწვდომობის ნაკლებობის გამო.

*“ვიცი, რომ ყველა მოძალადის ოჯახში ირიბად თუ პირდაპირ ყველა წევრი მსხვერპლია - ყველას სჭირდება ფსიქოლოგიური სერვისის დანერგვა, სკოლებშიც და სხვაგანაც. სტრესი ყველას აქვს რა ჯანსაღიც არ უნდა იყოს. ოჯახიდანაა წასული ბევრი, სტრესია. ფსიქოლოგები არასაკმარისია. ბავშვები სოციალურ მუშაკსაც არ უყვებიან პრობლემებს.”*

*/ მონაწილე ზუგდიდში გამართული საჯარო მოხელეების ფოკუს ჯგუფიდან /*

ფოკუს ჯგუფებში აღინიშნა რომ ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე მხარდაჭერის პროგრამები არსებობს, თუმცა რესპოდენტებმა აქვე ახსენეს, რომ არსებული სერვისები არასაკმარისია და/ან არასრულად ფარავს საჭიროებებს. ცალკე აღნიშნას საჭიროებს, რომ განსახლების პროცესში არ არის გათვალისწინებული გენდერული განზომილება. ხშირ შემთხვევაში, ოჯახში სავარაუდო ძალადობის შემთხვევებზე მსხვერპლი არ საუბრობს და განსახლების დროსაც მხოლოდ ფორმალური განქორწინება მიიღება მხედველობაში (მაგ. ერთ-ერთ ჯგუფში ნახსენები შემთხვევა, რომ ე.წ. „ღამის მონიტორინგის“ დროს ამოწმებდნენ წყვილის თანაცხოვრების ფაქტს).


### 3.4. დევნილი ქალების რეპროდუქციული ინფორმირება

გამოკითხული დევნილი ქალების 18% მიუთითებს, რომ ინფორმაცია რეპროდუქციულ/გინეკოლოგიურ ჯანმრთელობაზე „საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი“, 20% მიუთითებს „არ ვიცი“, 55% „მეტნაკლებად ხელმისაწვდომია“ და 7% - „იოლად ხელმისაწვდომია“.


ფეხმძიმობის მონიტორინგზე, მშობიარობასთან დაკავშირებულ და მშობიარობის შემდგომი მზრუნველობის სერვისებზე ხელმისაწვდომობის შესახებ, გამოკითხული დევნილი ქალების 13% მიუთითებს „საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი“, 22% „არ ვიცი“, 53% - „მეტნაკლებად ხელმისაწვდომი“ და 12% - „იოლად ხელმისაწვდომი“.

ჰიგიენურ საშუალებებზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, 9% მიუთითებს „საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი“, 10% - „არ ვიცი“, 50% - „მეტნაკლებად ხელმისაწვდომი“ და 31% - იოლად ხელმისაწვდომი.


ხელმისაწვდომია თუ არა ინფორმაცია რეპროდუქციულ/გინეკოლოგიურ ჯანმრთელობაზე?



ხელმისაწვდომია თუ არა ფეხმძიმობის მონიტორინგზე, მშობიარობასთან დაკავშირებულ და მშობიარობის შემდგომი მზრუნველობის სერვისები?



ხელმისაწვდომია თუ არა ჰიგიენური საშუალებები?





### 3.5. გენდერული სტატისტიკა

გამოკითხული მუნიციპალიტეტებისა და საჯარო უწყებების უმრავლესობაში, საუკეთესო შემთხვევაში, მონაცემები არსებობს ქალებისა და კაცების რაოდენობების, შშმ პირების ან სხვა საჭიროების მქონე პირების შესახებ. თუმცა, სტატისტიკა დიდ წილად თვითდინებით შემოსული განცხადებების საფუძველზე იქმნება და არ ასახავს სრულ სურათს. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე რესპოდენტმა მუნიციპალიტეტებიდან უპასუხა, რომ არ ჰყავთ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალი, ხოლო მუნიციპალიტეტის დიდ ნაწილში არ არსებობს მრავალფაქტორული სტატისტიკური მონაცემები ქალებზე და იმ ინდიკატორებზე, რაც შესაძლოა მიუთითებდეს ოჯახში ძალადობის მაღალ რისკზე (მათ შორის, სიღარიბე, ხელმისაწვდომობა „მესამე სივრცეზე“, დასაქმება, განათლება, ინტერსექციული მოწყვლადობა და სხვა). უმეტეს შემთხვევაში, დამატებითი სტატისტიკური ინფორმაციის საჭიროებისას, მუნიციპალიტეტები მიმართავენ სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს (გეოსტას), თუმცა, გეოსტატში შეგროვებული ინფორმაციის უდიდესი ნაწილი მაკრო პარამეტრებს მოიცავს (მაშინ, როდესაც, მუნიციპალიტეტი ყველაზე ახლოს არის ადგილობრივ მოსახლეობასთან და უფრო მეტად უნდა იცნობდეს მის საჭიროებებს). გამოკითხულ მუნიციპალიტეტებში არ არის დანერგილი გენდერული სტატისტიკის შეგროვების რაიმე სისტემა.

# რეკომენდაციები

განხორციელებულმა კვლევამ კიდევ ერთხელ ანახა, რომ დევნილები დღემდე რჩებიან ერთ-ერთ მოწყვლად ჯგუფად, რომლებიც ინტეგრაციის, სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების, პოლიტიკური თუ კულტურული უფლებების რეალიზების ხელშეწყობის კუთხით აუცილებლად საჭიროებენ სახელმწიფოსგან მხარდაჭერას.

შედეგად, ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე რეკომენდაცია, რომელიც მიმართულია საბიუჯეტო (როგორც ცენტრალური ასევე მუნიციპალური) ინსტიტუტების მიმართ და რომელთა გათვალისწინებამ ხელი უნდა შეუწყოს დევნილთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

## რეკომენდაციები:

- ◇ გადაიხედოს დევნილთა მიმართ არსებული სახელმწიფო სტრატეგია და მოხდეს მისი დაახლოება ამჟამინდელ რეალობასთან.
- ◇ გაუმჯობესდეს და სისტემური გახდეს მუნიციპალური და ცენტრალური საბიუჯეტო უწყებების კოორდინირებული მუშაობა.
- ◇ შემუშავდეს დევნილთა ინფორმირებულობის მრავალფეროვანი მექანიზმები, მათ შორის, შეიქმნას ერთიანი საინფორმაციო პლატფორმა დევნილთა ინფორმირებულობის უზრუნველსაყოფად.
- ◇ გარკვეული პერიოდულობით განახლდეს დევნილთა სატელეფონო ბაზები, რაც ხელს შეუწყობს მათ სწრაფ ინფორმირებულობას.
- ◇ მუნიციპალიტეტების მხრიდან მეტი ყურადღება გამახვილდეს დევნილთა მონაწილეობით პროცესებში ჩართულობაზე.
- ◇ საბიუჯეტო უწყებების მიერ შემუშავდეს მოსახლეობის, მათ შორის დევნილების, ინფორმირებულობის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესებისთვის კომუნიკაციის დოკუმენტი / გზამკვლევი.
- ◇ სისტემური გახდეს დევნილებთან შეხვედრების დეტალური დაოქმება იმგვარად, რომ ინფორმაცია არ დაიკარგოს და შესაძლებელი იყოს მისი სისტემური შეგროვება, დამუშავება, რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზი და ინტერპრეტაცია, პროაქტიული გამოქვეყნება და, შესაბამისად, შემდგომ დაგეგმვის პროცესში გამოყენება.
- ◇ სისტემურად განხორციელდეს დევნილთა საჭიროებების იდენტიფიცირება ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით.
- ◇ დევნილთა საჭიროებების ანალიზი და ამოცანები საფუძვლად დაედოს შემუშავებულ პროგრამებს, ბიუჯეტებს, გადაწყვეტილებებს, პოლიტიკის დოკუმენტებსა და საკანონმდებლო ინიციატივებს.
- ◇ დაინერგოს გრძელვადიან შედეგზე ორიენტირებული პროგრამები და სერვისები.

- ◇ პროგრამების შემუშავება მოხდეს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომით.
- ◇ სტატუსიდან საჭიროებაზე გადასვლის საკითხზე დევნილთა თემთან გაიმართოს დისკუსიები.
- ◇ მოხდეს დევნილთათვის კორპუსების მშენებლობის/რეაბილიტაციის პროცესის აქტიური მონიტორინგი და მასში დევნილთა ჩართულობის უზრუნველყოფა.
- ◇ მშენებლობის პროცესის დროს გათვალისწინებული იყოს არა მხოლოდ ამჟამად არჩეული მუნიციპალიტეტები, არამედ სხვა მუნიციპალური ერთეულები, სადაც დევნილები ისედაც წლებია ცხოვრობენ.
- ◇ გაიზარდოს ბიუჯეტი ( როგორც მუნიციპალურ დონეზე, ასევე ცენტრალურ საბიუჯეტო უწყებებში) დევნილთა კორპუსების ხარისხიანი რეაბილიტაციისთვის.
- ◇ უზრუნველყოფილ იქნას დევნილთა ამხანაგობების მხარდაჭერა და განვითარება, მათ შორის საერთო ფართების (მიწის ნაკვეთები) გადაცემა.
- ◇ განახლდეს დევნილთა განსახლების კრიტერიუმები .
- ◇ დაიხვეწოს და მოწესრიგდეს განსახლების პროცესის მიმდინარეობისას დევნილი ოჯახების მონიტორინგის პროცესი.
- ◇ ხელი შეეწყოს განსახლების პროცესის ღიაობას.
- ◇ განსახლების საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული იყოს დევნილის საუკეთესო ინტერესები.
- ◇ მოხდეს დევნილთა პოლიკლინიკების გაძლიერება და აღჭურვა.
- ◇ შემუშავებულ იქნას დევნილთა სპეციფიურ საჭიროებებს მორგებული ჯანდაცვის პროგრამები.
- ◇ დევნილთა განსახლების ადგილებში სათემო სივრცეების გათვალისწინება და კეთილმოწყობა
- ◇ პროგრამების დაგეგმვისას ყურადღება გამახვილდეს გენდერულ საკითხებზე .
- ◇ დევნილ ქალთა გაძლიერების მიზნით განხორციელდეს ეკონომიკური გაძლიერების პროგრამები.
- ◇ სამინისტროებმა და მუნიციპალიტეტებმა აწარმოონ მრავალფაქტორული გენდერული სტატისტიკა

## ფოტო-სურათები დევნილთა დასახლებებიდან



### ქ. ზუგდიდი, დემურის ქ. 3.

ოთახები დევნილთა დასახლებაში, რომელის მოწესრიგებასაც დევნილები არაერთი წელია ითხოვენ. ადგილზე სურთ სათემო ოთახის მოწყობა.




### თეთრიწყაროს მინიციპალიტეტი, ფარნავაზის ქუჩა 5

ყოფილი საავადმყოფოს შენობა, სადაც განსახლებული არიან დევნილები, შენობა არის დაზარალებული, კედლები დანესტიანებული, რაც საფრთხეს უქმნის მაცხოვრებელთა ჯანმრთელობას.



### ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, ინგირის დევენილთა დასახლება

ამორტიზებული საკანალიზაციო სისტემა. წვიმიან ამინდში წყალარინების არ არსებობის გამო იტბორება ეზო.




### ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, ინგირის დევენილთა დასახლება

საბავშვო მოედანი და შემოღობვა, რომელიც შენობის წითელ ხაზებს მიღმა რჩება და შესაძლოა საჭირო გახდეს მისი მოშლა თუ საერთო ფართი ამხანაგობას საკუთრებაში გადაეცემა.



ქ. ფოთი, მშვიდლობის ქუჩა "აიეტის" დევენილთა დასახლება.

ტერიტორიაზე მდებარეობს ამორტიზირებული შენობა, რომელიც საფრთეს უქმნის დასახლებაში მაცხოვრებლებს. დევენილები ითხოვენ დემონტაჟს.



ქ. გორი, შავშვების დევენილთა დასახლება

კოტეჯებში დალპა იატაკი, რის გამოც მოსახლეობის ნაწილი იატაკის გარეშე დარჩა.



### წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, 9 აპრილის მე-3 შესახვევი, სახლი #8

დასახლებაში დაზიანებულია სახურავი და საჭიროებს შეცვლას. შენობაში საცხოვრებელი ოთახები დანესტრილია, რაც შეუძლებელს ხდის ადგილზე ცხოვრებას.






## წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, დევნილთა დასახლება

სპორტული მოედანი საჭიროებს რეაბილიტაციას, დაზიანებულია საფარი და ინფრასტრუქტურა

# ინფორმაცია ვებ გვერდის შესახებ



იცოდეთ შენი უფლებები და იყავი დაცული !!!



ვებ გვერდი **devnilebistvis.ge** შექმნილია ასოციაცია „თანხმობა“ს მიერ და მისი მიზანია დევნილთა ინფორმირებულობის ხელშეწყობა იმ პროგრამებისა თუ სერვისების შესახებ, რომელსაც საქართველოში ახორციელებენ სახელმწიფო უწყებები, მუნიციპალიტეტები და არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციები.

ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია შესაძლებლობას აძლევს თითოეულ დევნილს გაეცნოს და იცოდეს რა პროგრამებით და სერვისებით შეუძლია ისარგებლოს საქართველოს ტერიტორიაზე, ვის უნდა დაუკავშირდეს პროგრამით/ სერვისით სარგებლობისას, სად მდებარეობს ტერიტორიულად ის ორგანიზაციები/ უწყებები, რომელთაც დევნილთა დახმარება შეუძლიათ.

ვებ გვერდის მეშვეობით, დევნილებს შესაძლებლობა აქვთ დევნილთა საკითხებთან დაკავშირებით გამოგზავნონ ჩატში კითხვები და მიიღონ შესაბამისი პასუხები.

ვებ გვერდი ზრუნავს დევნილთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობაზე

კვლევა განხორციელდა ქალთა ასოციაცია „თანხმობას“ მიერ, პროექტის „დევილთა ხელმისაწვდომობის გაზრდა სერვისებზე“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდებოდა „Expertise France“-თან თანამშრომლობით.

კვლევის ანგარიშში მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია იგპ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“ და შესაძლოა რომ, იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

 [www.devnilebistvis.ge](http://www.devnilebistvis.ge)

 IDP Women Association "Consent"

 [www.idpwa.org](http://www.idpwa.org)

 თბილისი, თამარ მეფის გამზ. #20